# ლელო

№053
(12 123)

6 მარტი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

# აბა, ვაკეში გვნახეთ, ვინცა ვართ!

დღეს თასის მეოთხედფინალის მეორე რაუნდია





**ოცნების ფინალი შედგა: გოგშელიძემ კურტანიძე დაამარცხა**

მედლები ტაშკენტიდან 11



დუშან უჰრინი



გიორგი ჩიხრაძე



## მთავარი დინამო-ამერია

საპასუხო მატჩების წინათქმა

**2-3**

ამ გუნდების გლდანურ მატჩს დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. რა მოხდება ვაკეში?



**ტოპიოლერი ბუნდესლიგაზე მსჯელობს: კლაუსის ფავორიტი შალკეა** 10

**პიტცფელდი: მაპატიეთ, მაგრამ უნდა წავიდე**

რიიკაარდს ხუანდე რამოსი შეცვლის? 9

# შეტევა და არაფერი, შეტევის გარდა



## ბარსელონა სევილიად უნდა იქცეს

## ინტერისთვის ვალენსია უკვე ფინალია

ჩემპიონთა ლიგა. საპასუხო მერვედფინალების წინ 6



**ინტერის ზარბაზანი მწყობრიდან გამოვიდა: მესტალიაზე, ადრიანოს გარეშე**

## დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშება XVII

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები



მერანთან ხელმოცარული კახა ჩხეტიანი (17) და ზესტაფონი დღეს შეეცდებიან მოგებას

ფოტო www.fc.zestafoni.ge

# მთავარი ამბები ვაკესა და ქუთაისში

დღეს, ვაკეში, სეზონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მატჩს ვიხილავთ. "დინამოსა" და "ამერის" პირველ მეოთხედფინალურ ჭიდილს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა, რამაც საპასუხო შეხვედრის მოლოდინი კიდევ უფრო გაამძაფრა. იმედია, დღევანდელი თამაში პირველს მხოლოდ მაღალი საფეხბურთო დონით დაემსგავსება და ნახევარფინალისტი მშვიდობიანად და სამართლიანად გამოვლინდება. "მიხეილ მესხზე" ქართული მასშტაბის სუპერმატჩს უნდა ველოდოთ. როგორც იცით, დინამოურ-ამერული შერკინება შაბათსაც გაიმართება, უკვე ჩემპიონატის ეგიდით.

შეგახსენებთ, ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილებამ "დინამოს" მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და განმეორებით მეოთხედფინალებს მსაჯთა იგივე ბრიგადები მოემსახურებიან, რომლებმაც 18 თებერვალს იმუშავეს.

კიდევ ორი გუნდი, რომელთა წყვილშიც პასუხგაუცემელი კითხვები მრავლადაა, ქუთაისში შეერკინება ერთმანეთს. ბათუმში გამართულმა მატჩმა ბევრი ვერაფერი გაარკვია, "ტორპედოსა" და "ბათუმის" ერთადერთი საევროპე შანსი თასის გათამაშებაა, ასე რომ, ამ მატჩს განსაკუთრებული ფასი ადევს.

ერთი შეხედვით, იოლი ამოცანის გადაჭრა მოუწევთ "სიონსა" და "ზესტაფონს", მაგრამ ჩემპიონატის გასულმა ტურმა ისე გაგვაოცა, წინდაწინ ვერც ეს გუნდები დაიგულებენ თავს ნახევარფინალში.

### ტორპედო–ბათუმი

6 მარტი

ქუთაისი. ცენტრალური. 15:00

პირველი მატჩი: 0:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

ტორპედო: ქვილითაია, კილასონია, გურული, ფარულავა, რ. ბარაბაძე, ზივზივაძე, კვეტენაძე, ნადირაძე, კირკიტაძე, ჭედია, იმედაძე

დისკვალიფიკაცია: ლალაძე

ბათუმი: სომხიშვილი, თედორაძე, გალოგრე, ლობჟანიძე, დუმბაძე, ხოხონიშვილი, შალამბერიძე, ნერგაძე, ბეჟანიძე, დარჩიძე, ვ. კვარაცხელია

არბიტრი: ფანიაშვილი

ასისტენტები: ჯვარიძე, ერქვანია

ბათუმელებმა საკმაოდ სერიოზული დანაკარგი განიცადეს – გუნდის გამოცდილმა ახალწვეულმა **გიორგი თურმანიძემ** ლავიწის ძვალი გაიტეხა და, სავარაუდოდ, ამ სეზონში ველარ ითამაშებს. ცხადია, ფაქტი საწყენია, მაგრამ **ამირან გოგიტიძეს** მის გარეშეც ბრძოლისუნარიანი გუნდი ჰყავს, რაშიც ჩემპიონატის გასულმა ტურმაც დაგვარწმუნა.

ამ წყვილის შანსები თავიდანვე 50/50-ზე შეფასდა და ვფიქრობთ, ნახევარფინალისტის პროგნოზირება განმეორებითი დაპირისპირების წინაც ერთობ რთული უნდა იყოს. ქუთათურებს საკუთარი კედლები შემატებს ძალებს, ბათუმელთა წისქვილზე კი ის გარემოება დაასხამს წყალს, რომ შედეგიანი ფრეც ჰყოფნით და ერთი გოლით მოწინაალმდეგეს ურთულეს მდგომარეობაში ჩააგდებენ.

"ტორპედომ" ჩემპიონატის ორ შეხვედრაში ოთხ ქულას მოუყარა თავი და ვნახოთ, წინსვლას განაგრძობს თუ წამყვან სათასო კვარტეტში მოხვედრას "ბათუმი" იზეიმებს. პირველი მატჩების შედეგებიდან გამომდინარე, მეორე ცენტრალური თამაში ქუთაისში ჩატარდება.

**გიორგი კიკნაძე** (ტორპედო): *"ბათუმთან" უშეღავათო ბრძოლა გველის. სტუმრად ურიგოდ არ გვითამაშია და შევეცდებით, საკუთარ მოედანზე კიდევ უკეთესი შთაბეჭდილება დავტოვოთ. თასის გათამაშებაში მაქსიმალური წარმატებისთვის ვიბრძვით და იმედი მაქვს, რომ მეოთხედფინალურ ბარიერსაც დამაჯერებლად დავძლევთ".*

**ამირან გოგიტიძე** (ბათუმი): *"ქუთაისში დიდი შემართებით ვითამაშებთ. ვფიქრობ, მომდევნო ეტაპზე გაღწევის შანსები ორივე გუნდს თანაბარი აქვს. ნახევარფინალში გასასვლელად შეიძლება, ერთი გოლიც კი გვეყოს. რასაკვირველია, მეტად ძლიერი მეტოქე გვყავს. "ტორპედომ" ჯგუფურ ეტაპზე "ვიტ ჯორჯიას" აჯობა, რაც დამეთანხმებით, მრავლისმეტყველია".*

### ზესტაფონი–ბორჯომი

6 მარტი

ზესტაფონი. ცენტრალური. 15:00

პირველი მატჩი: 2:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, რ. ონიანი, სანტოსი, ვიეირა, გ. ჭელიძე, ფიფია, იონანიძე

ბორჯომი: კოდალაევი, მემარნიშვილი, ქარქუზაშვილი, ლ. მერებაშვილი, ნადირაშვილი, თ. ლონლაძე, კვერნაძე, გრიგალაშვილი, კოშკაძე, შ. ჯიქია, კაიდარაშვილი

დისკვალიფიკაცია: ავალიანი, ბენდელიანი

არბიტრი: სილაგავა

ასისტენტები: მიქელაძე, ურუშაძე

"მერანთან" შინ დაკარგული ქულები ზესტაფონელებს, შესაძლოა, ძალიან ძვირი დაუჯდეთ. სანამ ჩემპიონატში დაკარგულს აინაზღაურებენ, **თემურ მახარაძესა** და მის შეგირდებს მნიშვნელოვანი სათასო შეხვედრა ელით. მართალია, "ზესტაფონმა" ბორჯომში ერთბურთიანი სხვაობით გაიმარჯვა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ეს ერთი ამოსუნთქვით შეძლო.

იმერელთა განაცხადში ჯერაც არ შეუყვანიათ ბრაზილიელი ახალწვეული **ლეანდრო**, სამაგიეროდ, დღეს თამაშის უფლება აქვს მის თანამემამულე ჟონატასს. მასპინძლებს ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავთ.

წყვილის უდავო ფავორიტი, ბუნებრივია, "ზესტაფონია". პარასკევის წაფორხილებისთვის ფეროელებს გულშემატკივართა თვალში რეაბილიტაცია მართებთ. თავის მხრივ, ბრძოლისუნარიანობით გამორჩეულ ბორჯომელებს "მერანის" სახით, თავგანწირვის შესანიშნავი მაგალითი აქვთ...

**პაატა ლურსმანაშვილი** (ზესტაფონი): *"სერიოზული შეხვედრა გველის სერიოზულ გუნდთან. "ბორჯომს" ძლიერი მწვრთნელი და ძლიერი მოთამაშეები ჰყავს. მართალია, სტუმრად მოვიგეთ, მაგრამ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. მით უფრო, რომ მეტოქის შეუფასებლობამ "მერანთან" ძალიან დაგვაზარალა. ასე რომ, იოლ გასეირნებას არ ველით".*

**ვლადიმერ ხაჩიძე** (ბორჯომი): *"აქცენტს ჩემპიონატზე ვაკეთებთ, მაგრამ არც ზესტაფონში ვითამაშებთ ნაკლები მობილიზებით. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ რევანშის დიდი შანსი გვაქვს, მაგრამ ნახევარფინალისთვის მაინც ვიბრძოლებთ. დასაკარგი არაფერი გვაქვს, დარწმუნებული ვარ, გულშემატკივარი მეტად საინტერესო შეხვედრას იხილავს".*

### სიონი–ჩიხურა

6 მარტი

ბოლნისი. თ. სტეფანია. 15:00

პირველი მატჩი: 3:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

სიონი: მამალაძე, ექონია, ბოიომო, ორბელაძე, რაქვიაშვილი, კორღალიძე, ბაბუნაშვილი, სილაგაძე, სანიკიძე, დარასელია, ჩასემი

ჩიხურა: სტურუა, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, თავბერიძე, ქუხილავა, ბარამიძე, სტეფნაშვილი, მახარაძე, ბუცხრიკიძე, ქუცურუა, დვალი

დისკვალიფიკაცია: გ. მიქაძე

არბიტრი: ვადაჭკორია

ასისტენტები: ელიკაშვილი, გ. დოგრაშვილი

მომდევნო ეტაპზე გასასვლელად, ბოლნისელებმა ნახევარზე მეტი საქმე საჩხერეში გააკეთეს და ნახევარფინალამდე ბევრი აღარაფერი აშორებთ. ნათელია, რომ "სიონი" თამაშიდან თამაშამდე უმატებს და წესით, იმერელთა დაჯაბვნა არც დღეს უნდა გაუჭირდეს.

როგორც გახსოვთ, "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩში **ვიტალი დარასელია** დაშავდა. მან ვარჯიში უკვე განაახლა, მაგრამ გამორიცხული არაა, მწვრთნელებმა არ გარისკონ და ის დაასვენონ. მასპინძელთა დანარჩენი ფეხბურთელები სრულ მზადყოფნაში არიან.

"ჩიხურას" რაც შეეხება, გუნდის მთავარი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. საჩხერელები სეზონის მეორე ნახევარს იმდენი პრობლემით შეხვდნენ, ძნელი წარმოსადგენია, ძალები ორივე ფრონტზე ეყოთ. დაგვეთანხმებით, ამ წყვილის გამარჯვებულის წინასწარმეტყველება არცთუ რთულია, ვფიქრობთ, ეს ის შემთხვევაა, სადაც სენსაციას ნაკლებად უნდა ველოდოთ, თუმცა კი ბოლნისელები შესანიშნავად უწყიან, რომ მოვლენებს წინ არ უნდა გაუსწრონ. "ჩიხურა" ექსდინამოელი **დავით გიგაურით** გაძლიერდა.

**გიორგი ყიფშიძე** (სიონი): *"მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად გავიმარჯვეთ, ნახევარფინალში გასასვლელად მეორე სერიოზული ბრძოლის გამართვა მოგვიწევს. მართალია, უკეთესი შანსები ჩვენ გვაქვს, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, "ჩიხურასგან" დიდ წინააღმდეგობას ველით. "სიონის" თითოეული ფეხბურთელი მოედანზე ბოლომდე დაიხარჯება".*

**ხვიჩა ქასრაშვილი** (ჩიხურა): *"გუნდის მზადებაზე ბევრს აღარ ვისაუბრებ, ყველამ კარგად იცის, რომ ახალი ფეხბურთელები ზედ სეზონის განახლების წინ დავიმატეთ და ჯერაც შეთამაშების პროცესში ვართ. "სიონი" სერიოზული მეტოქეა, მაგრამ თავს არ დავზოგავთ იმისთვის, რომ ბოლნისში რევანში ავიღოთ. ნახევარფინალში გასვლის შანსი არ დაგვიკარგავს".*

**ლევან ჯანეზაშვილი**
**ავთო ცეცხლაძე**



გრიგოლ იმედაძე (ბურთით) ტორპედოში შედეგიანად ათამაშდა



ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა





ფეიქრიშვილისა და ბოლქვაძის გლდანში დაწყებული ბრძოლა ვაკეში გაგრძელდება

# დიღმურ-გლდანური კვირა: პირველი რაუნდი

**დინამო–ამერი**
6 მარტი
თბილისი. მ. მესხი. 15:00
პირველი მატჩი: 1:2
**სავარაუდო შემადგენლობები**
დინამო: ლორია, შ.კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, ფეიქრიშვილი, გ. მერებაშვილი, ხმალაძე, კობახიძე, დიღმელაშვილი, იაშვილი
ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დოლიძე, ბოლქვაძე, დობროვოლსკი, ჯელაძე, დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი
არბიტრი: კვარაცხელია
ასისტენტები: ჩიგოგიძე, მენთეშაშვილი

**დუშან უჰრინი** (დინამო): "სამწუხაროა, რომ წილისყრამ ეს გუნდები მეოთხედფინალში შეახვედრა ერთმანეთს. ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ ეს წყვილი ფინალურ მატჩსაც დაამშვენებდა.

მართალია, პირველ შეხვედრაში დასანანი მარცხი ვიწვნიეთ, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსებს თანაბრად გავანაწილებდი. ჩვენ ამ მატჩისთვის ოპტიმალური შემადგენლობით ვემზადებით და ცხადია, ნახევარფინალში გასვლისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ.

ზამთრის პაუზის შემდეგ, ჩემი გუნდის თამაში ოპტიმისტურად განმაწყობს, "დინამოს" ბევრის მიღწევა ძალუძს. მჯერა, ამ მატჩს ბევრი გულშემატკივარი დაესწრება. ვიმედოვნებ, რომ ქართველი ქომაგები საინტერესო საფეხბურთო სანახაობას იხილავენ.

იმედია, პირველი მატჩისგან განსხვავებით, მსაჯობა ობიექტური, სამართლიანი იქნება და ჭეშმარიტი საფეხბურთო ზეიმის მონაწილენი და თვითმხილველნი გავხდებით. საბოლოო გამარჯვება კი უძლიერესს დარჩება".

**გიორგი ჩიხრაძე** (ამერი): "ჩვენი გუნდი შეკრებაზეა გადასული. გუნდში ჯანსაღი ატმოსფერო და საბრძოლო განწყობაა. პირველი მატჩი მოგებული გვაქვს და ყველანაირად ვეცდებით, ნახევარფინალში გავიდეთ. მართალია, "ბათუმთან" მატჩში ფრეს დავჯერდით, მაგრამ ამასაც თავისი ახსნა აქვს – დისკვალიფიკაციის გამო, რამდენიმე ნაყვანი ფეხბურთელი გვაკლდა. მეტოქე ძლიერი გვყავს. ვფიქრობ, "დინამო" აგრესიულად ითამაშებს და სასურველი შედეგის მისაღწევად თავდაუზოგავად იბრძოლებს.

ერთადერთი გიორგი დეკანოსიძე გვყავს ტრავმირებული. სხვა ფეხბურთელები მწყობრში არიან. არბიტრთა მისამართით აუგს არასდროს ვამბობ. ნუ დაგვავიწყდება, რომ მსაჯებიც ადამიანები არიან და ზოგჯერ ისინიც შეიძლება ისევე შეცდნენ, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი. თუმცა, მჯერა, რომ ხვალინდელ მატჩში მსაჯთა შეცდომები არ იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი თამაში მოგებული გვაქვს, საპასუხო შეხვედრაში სასურველი შედეგისთვის მაინც დიდი ბრძოლა მოგვიწევს. სათასო თამაშები სპეციფიკურია და შანსებს თანაბრად გავანაწილებდი".

**დავით ცაბაძე**
**ლევან ჯანეზაშვილი**

ევრო 2008

# დელეგატები და დამკვირვებლები გამოგვიწერეს

ორ კვირაზე ოდნავ მეტი და ეროვნული ნაკრები შოტლანდიასთან გასვლითი მატჩით, ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლს განაახლებს. ამ შეხვედრიდან 4 დღეში კი თბილისში ფარერებს უმასპინძლებს. ფედერაციაში გუშინ უეფადან მოსული ფაქსის თანახმად, ამ თამაშების დელეგატთა და მსაჯების დამკვირვებელთა ვინაობა გაირკვა.

შოტლანდია-საქართველოს მატჩზე დელეგატი ესპანელი **ედუარდო დერვიშასი** იქნება, ხოლო მსაჯთა დამკვირვებელი შვედი **კარლ-ერიკ ნალსონი**. შეგახსენებთ მსაჯებსაც, რომლებიც დანიელები არიან. მთავარი არბიტრი **ნიკოლაი ვოლკარცი**, თანამსაჯები - **ტორბენ იენსენი** და **ბო აბალდგაარდი**, მეოთხე მსაჯი კი **თომას ვეილგაარდია**.

საქართველო-ფარერების შეხვედრის დელეგატი ფრანგი **რონალდ კოკუა**, ხოლო მსაჯთა დამკვირვებელი ბერძენი **ხრისტაკის სკაპულისი**. რაც შეეხება არბიტრებს, ისინი ყაზახეთიდან იქნებიან. მთავარი მსაჯი **პაველ სალია**, თანამსაჯები **რუსლან დუზმამბეტოვი** და **ოლეგ სოკოლოვი**. მეოთხე არბიტრი კი **აკმალხან ხოლმატოვი** გახლავთ.

**დავით ცაბაძე**

სტუმრები

# კმაყოფილები დარჩნენ

ხვალ, 7 მარტს, უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** პირველი სამუშაო ვიზიტით საქართველოს ეწვევა. პლატინიმდე კი საქართველოს ფიფადან და უეფადან მაღალჩინოსნები ეწვივნენ. უკვე საკმაო პერიოდია, რაც საქართველო მათ პროგრამებში, შესაბამისად, "გოლსა" და "ჰეთ თრიკში" მონაწილეობს. სტუმრების ვიზიტიც სწორედ ამ საკითხს უკავშირდებოდა. ჩვენ მიერ მოპოვებულ ცნობათა თანამხად, ფიფას პროგრამა "გოლი2"-ისა და უეფას "ჰეთ თრიკის" ხელმძღვანელებმა, შესაბამისად, **ვალერი ჩუხრიმ** და **ბრუნო ვოლფისბერგმა**, გუშინ და გუშინწინ ლამის მთელი საქართველო მოიარეს. ეს ცნობა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამა** დაგვიდასტურა, რომელიც სტუმრებს მეგზურობას უწევდა. როგორც შევიტყვეთ, ჩუხრიმ და ვოლფისბერგმა რეგიონული ფეხბურთის ფედერაციების ახალი ოფისები, ხელოვნურსაფარიანი მინი-მოედნები დაათვალიერეს და კმაყოფილნი დარჩნენ. ვალერი ჩუხრი თბილისიდან დღეს გაემგზავრება. ბრუნო ვოლფისბერგი კი ორიოდე დღე დარჩება და საქართველოს მიშელ პლატინისთან ერთად დატოვებს.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# კვირკველია უხეშობით გამოირჩა

კიევის "დინამოს" ძირითად გუნდში ამჟამად არც **კახა ალადაშვილს** უთამაშია და არც თავდამსხმელ **ოთარ მარცვალაძეს**. უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრის განახლებამდე კიევის "დინამომ" ღია ვარჯიში ჩაატარა, რომლის დროსაც მარცვალაძე ძირითად ჯგუფში არ იყო, ინდივიდუალური გეგმით ემზადებოდა.

კახა ალადაშვილმა ზაპოროჟიეს "მეტალურგის" დუბლების წინააღმდეგ ითამაშა, გოლიც გაიტანა ჩინებული საჯარიმო დარტყმით და გუნდში საუკეთესო შეფასება - 6,5 ქულა სამ თანაგუნდელთან ერთად დაიმსახურა.

გუნდის ოფიციალური ინტერნეტ-გვერდიდან შევიტყვეთ, რომ კახამ დაცვის მარჯვენა ფლანგზე ითამაშა. მატჩი "დინამომ" 5:0 მოიგო.

ძირითადი გუნდების შეხვედრაშიც კიეველებმა იმარჯვეს - 3:1. "დინამოს" წინააღმდეგ ზაპოროჟიელებმა საკმაოდ უხეშად ითამაშეს და თუკი უკრაინულ მედიას დავუჯერებთ, განსაკუთრებით გამოუჩენია თავი მეტალურგთა ქართველ ნახევარმცველს დათო კვირკველიას.

მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა კომენტარი გააკეთა: *"შეკრებაზე ძალიან კარგად ვთამაშობდით. ასეთი თამაში კიეველებთან მხოლოდ მეორე ტაიმში ვაჩვენეთ. შედეგზე დიდი გავლენა სწრაფმა გოლმა მოახდინა. მეორე ტაიმში კარის ასაღებად კარგი მომენტები კი გვქონდა. თუმცა როდესაც სამ ბურთს ვუშვებთ, დაცვის თამაშზე კომენტარი უადგილოა".*

**დათო მეფარიშვილი**

ინტერვიუ სანდრო კობახიძესთან

# ნახევარფინალში გავალთ!

**თუკი** ვინმეა გამორჩეული წლეულს "დინამოში", ერთ-ერთი მათგანი უთუოდ სანდრო კობახიძეა. თუკი პირველ წრეში სანდრომ მხოლოდ ჟინიანი თამაშით, მწვავე ფლანგური გარღვევებითა და საჯარიმოში სახიფათო ჩაწოდებებით დაგვამახსოვრა თავი, სეზონის განახლების მერე მარცხენა ნახევარმცველი გოლისა და საგოლე პასის ავტორადაც მოგვევლინა.

... ასე გააგრძელა, მიღწეულით არ დაკმაყოფილდა და ზრდა არ შეწყვიტა, ძალიან ბევრს შეუძლია მიაღწიოს – არაერთისგან გვსმენია.

საინტერესოა, რას ფიქრობს ყოველივე ამაზე თავად ფეხბურთელი. მასთან საუბარი "ამერთან" თასის საპასუხო მატჩით დავიწყეთ:

- კი წავაგეთ პირველ მატჩში, მაგრამ ეს მხოლოდ ორრაუნდიანი ბრძოლის პირველი ეტაპი იყო. საპასუხო შეხვედრაში ჩვენ ვართ მასპინძლები და ყველანაირად შევეცდებით ნახევარფინალში გავიდეთ. ბოლო-ბოლო მინიმალური ანგარიშით მოგებაც გვაწყობს.

**- მაშინ გოლი არ უნდა გაუშვათ...**

- კი ეგრეა და ჩვენ საამისო რესურსი მართლაც გაგვაჩნია. დაცვაში გამოცდილი ზელიჩი, საიმედო კრშკო, ეროვნული ნაკრების წევრი შაშიაშვილი და "დინამოს" სტაჟიანი მცველი კაშია გვყავს.

**- "ამერი" სულაც არაა ხელწამოსაკრავი გუნდი. როგორ თამაშს ელი?**

- დაძაბული და შეიძლება ითქვას, დრამატული მატჩი გველის. მეტოქეს გამოცდილი და სტაბილურად მოთამაშე ფეხბურთელები ჰყავს. თუმცა ჩვენ მეტი თუ არა, ნაკლები შემადგენლობა ნამდვილად არ გვყავს.

**- შანსებს როგორ გაანაწილებდი?**

- თანაბრად, თუმცა გააჩნია ვინ რამდენად გამოიყენებს თავის წილ შანსს.

ერთსაც დავამატებდი, ფეხბურთს ქომაგი ამშვენებს და ძალიან კარგი იქნება, თუკი ხვალ სტადიონზე ბევრი ქომაგი მოვა. ჩვენიც და "ამერისაც".

**- როგორ ფიქრობ, გამარჯვებულის გამოსავლენად 90 წუთი საკმარისი იქნება?**

- ვფიქრობ კი. თუ არა და დამატებითი დროისა და პენალტების სერიისთვისაც მზად ვართ. მთავარია, მსაჯობა იყოს ობიექტური.

**- პირველი წრის შემდეგ უკეთ ათამაშდი, გოლისა და საგოლე პასის ავტორადაც მოგვევლინე. ეს რას მივაწეროთ?**

- მართალია, პირველ წრეში გოლი არ გამიტანია. მეორე ნახევარი კი ბევრად უკეთ დავიწყე. არ ვიცი, რით, ავხსნა. კარგად გამიგეთ, საკუთარ თავზე საუბარი არც მჩვევია და მიჭირს კიდეც. ისე კი ძალიან მინდა ხვალაც გავიტანო და ჩვენი გუნდის წარმატებაში წვლილი შევიტანო.

**- ამბობენ კობახიძე დუშან უჰრინმა გახსნაო. ამ მოსაზრებას თუ ეთანხმები?**

- ფეხბურთელისთვის მწვრთნელის ნდობა ბევრს ნიშნავს. უჰრინი მაღალი დონის მწვრთნელია, ჩემამდე ბევრი აათამაშა უკეთ და რა გასაკვირია, რომ მეც მომიძებნა გასაღები. რაღა თქმა უნდა მწვრთნელის როლი მნიშვნელოვანია, მაგრამ ალბათ სხვა ფაქტორებიც არ უნდა დავივიწყოთ.

**- რას გულისხმობ?**

- თანაგუნდელებს და საერთოდ კონტინგენტს. ზამთრის პაუზისას რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელი დაგვემატა და "დინამო" ახლა უფრო უკეთესი გუნდია.

**- რამდენად შეგიძლია საკუთარ თავზე მუშაობა, რათა ზრდა არ შეწყვიტო?**

- შემიძლია. ფეხბურთში ჯერჯერობით რაიმე განსაკუთრებულისთვის არ მიმიღწევია. გარწმუნებთ თავში არ ამივარდება და მიღწეულით არ დავკმაყოფილდები. ძალიან მინდა მაღალ დონეზე ვითამაშო და მჯერა შევძლებ კიდეც.

**- ეროვნულ ნაკრებში უკვე გქონდა დებიუტი...**

- დიახ, ურუგვაისთან ბოლო 10 წუთი მომიწია თამაში და უზომოდ ბედნიერი ვიყავი. კლაუს ტოპმიოლერმა შემაქო და მითხრა, საკუთარ თავზე მუშაობა არ შეწყვიტოო. მჯერა, რომ ზრდას გავაგრძელებ.

**დავით ცაბაძე**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გია მესხელთან

# პარლამენტმა უნდა გაგვარკვიოს

**ქართული** ფეხბურთის ერთ-ერთი უმთავრესი სატკივარი ფინანსური პრობლემაა. სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი ახალციხის "მესხეთის" პრეზიდენტმა გია მესხელმა პრობლემა თავად გამოაჩინა. სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი კლუბები ხომ გამოჩენას ერიდებიან, ვინმეს რამე არ ვაწყენინოთო. მესხელმა კი ეს ტრადიცია დაარღვია და სხვების სატკივარი გაითავისა.

ბატონ გიას გუშინ დავუკავშირდით, რომ კლუბში მიმდინარე მოვლენებზე და სიახლეებზე გვესაუბრა, თუმცა ძირითადად სწორედ სახელმწიფოსა და ფეხბურთის ურთიერთობაზე შევჩერდით.

**- ბატონო გია, რა სიახლეებია "მესხეთში"?**

- მეორე წრის დასაწყისში მხოლოდ ორი ფეხბურთელი დავიმატეთ - ილურიძე და მუშკუდიანი. ძირითადი ბირთვი შენარჩუნებულია და ვფიქრობ, ეს სასურველიც არის, რადგან პირველ წრეში საკმაოდ კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ და რაც მთავარია, გუნდი შეთამაშდა. ასეთ დროს განსაკუთრებული ცვლილებები საჭირო არაა.

**- "მესხეთი" უმაღლესში გადასვლის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. თუმცა ასეთ შემთხვევაში კლუბს სულ სხვაგვარი მოთხოვნების შესრულება მოუწევს. ახალციხის სტადიონი მზად არის უმაღლესი ლიგის თამაშების სამასპინძლოდ?**

- სხვათა შორის, ჩვენ უკვე გვითხრეს, რომ ასეთ მოედანზე არ გვათამაშებენ და გადასვლის შემთხვევაში საშინაო თამაშების ბორჯომში ჩატარება მოგვიწევს. ახლა გამგეობა სტადიონის შერემონტებას და საფარის შეცვლას აპირებს, თუმცა ეს გარკველწილად უკავშირდება იმ პრობლემას, რომელიც სახელმწიფოსა და საფეხბურთო სამყაროს ურთიერთობაში დღეს არსებობს.

**- რას გულისხმობთ?**

- ჩემი აზრით, სახელმწიფომ ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის უფრო თამამი ნაბიჯები უნდა გადადგას. გეტყვით, რა პრობლემაც არსებობს. ახალციხეში ბუნებრივი საფარის დაგება შეუძლებელია. თუკი თანხა გამოიყოფა, ასეთ შემთხვევაში, ხელოვნური ხალიჩის დაგება მოგვიწევს. უკვე გაგვაფრთხილეს, რომ ჩვენი მხარის მკაცრი ბუნების პირობებში ბალახი ვერ იხარებს. ამას სოლიდური თანხა სჭირდება, დღევანდელი კანონმდებლობით მკაფიოდ არ არის გარკვეული, შეუძლია თუ არა სახელმწიფო სტრუქტურას გუნდის დაფინანსება. ვთქვათ, ახალციხეში აფინანსებენ "მესხეთს" და მე არ გამოვრიცხავ, რომ ხვალ, ზეგ ამის გამო რევიზია ჩაატარონ და გამგეობას პასუხი მოსთხოვონ - რატომ აფინანსებდითო.

საქართველოს ზოგიერთ რეგიონშიც ასე ხდება, გუნდებს აფინანსებენ ახალციხეში, ზუგდიდსა და კიდევ რამდენიმე ქალაქში. ლანჩხუთის "გურიას" კი დოტაციაზე უარი უთხრეს იმ მიზეზით, რომ ამის უფლება არ გააჩნიათ. არადა "გურიას" "მესხეთზე" ბევრად მდიდარი ტრადიცია გააჩნია და გული მწყდება, ეს გუნდი უპატრონოდ რომ დატოვეს. გამოსავალი, ალბათ, პარლამენტის გადაწყვეტილება უნდა გახდეს.

ნორმალური გუნდის შენახვა მინიმუმ 400-500 ათასი ლარი ჯდება. ხვალ და ზეგ ამის გამო გამგეობას ბრალი რომ არ დასდონ, ეს თანხა სოციალურ საკითხებში რატომ არ დახარჯეო, პარლამენტმა უნდა მიიღოს დადგენილება, რომლის მიხედვითაც რაიონებს საფეხბურთო და სპორტული კლუბების შენახვის უფლება მიეცემათ.

**- კი, მაგრამ ყველა რაიონია ისეთი შეძლებული, 400 ათასი ლარი სპორტს მოახმაროს? ახალციხეში ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი გადის და რაიონს შემოსავალი გააჩნია. ბევრი ამ ფუფუნებას მოკლებულია.**

- იცით, ბოლო დროს საქართველოში ფული გამოჩნდა და დარწმუნებული იყავით, რომ ეს თანხა ნებისმიერ რაიონს გააჩნია.

დღეს ყველა ქართული ფეხბურთის გადარჩენაზე საუბრობს, მაგრამ რეალური საქმეებია საჭირო. ისევე როგორც ახალციხეში, სხვაგანაც შეიძლება კლუბის პატრონობა. ელემენტარულად, ყველა რაიონში სტადიონები და მოედნები რომ მოაწესრიგონ, ესეც დიდი საქმე იქნება. მარტო საფარის შეცვლა საკმაოდ დიდ თანხებს უკავშირდება. ჩვენ რომ ეს პრობლემა არ გვაწუხებდეს, თანხას მთლიანად გუნდს მოვახმარდით. არადა, ხომ გითხარით, უმაღლესში გადასვლის შემთხვევაში ახალციხის ნაცვლად საშინაო მატჩების ჩატარება ბორჯომში მოგვიწევს. ჩვენ კი ეს არ გვაწყობს, რადგან უმაღლესში გადასვლა და თამაში ახალციხელების გასახარებლად გვჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**



ვიტალი დარასელიამ (შუაში) კარიაკა აათამაშა

# კარიაკა: გოგუა მაგარი ბიჭია

## რუსი ნახევარმცველი დარასელიას ემადლიერება

რამენსკოეს "სატურნმა" სეზონის დაწყებამდე მნიშვნელოვანი ტრანსფერები განახორციელა. მათ შორის გამორჩეულ ყურადღებას რუსები ლისაბონის "ბენფიკიდან" ჩამოყვანილ ნახევრმცველ **ანდრეი კარიაკას** უთმობენ.

ტრანსფერები თავისთავად კარგია, მაგრამ "სატურნი" შეუთამაშებელი რომ იქნება, ეს ისედაც ცხადია. "ზენიტთან" სათასო მატჩზე რამენსკოელთა ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად სამმა ახალწვეულმა ითამაშა - კარიაკამ, **გოგიტა გოგუამ** და თავდამსხმელმა **კირიჩენკომ**.

გამოცდილი ნახევარმცველი იმედიანადაა განწყობილი: *"გამოვნახავთ საერთო ენას! ვფიქრობ, ამის პრობლემა მალე აღარ მექნება არც გუნდთან და არც ჩემნაირ ახალწვეულ გოგუასა და კირიჩენკოსთან"*.

ბოლოს ერთი უცნობი ისტორიაც უნდა მოგიყვეთ, რომელიც კარიაკას უკავშირდება. მცირე ხნის წინ რუსეთის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ ინტერვიუში ახსენა, რომ მისი კარიერა ერთი იღბლიანი შემთხვევის წყალობით აეწყო და... ქართველი ნახევარმცველი **ვიტალი დარასელია** მადლიერებით მოიხსენია.

*"სამარის "კრილია სოვეტოვში" სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი. დნეპროპეტროვსკში დავიბადე და უკრაინის ნაკრებში მიწვევდნენ. თუმცა სწორედ იმ დროს "კრილიაში" მიმიწვიეს და შემდეგ იყო, რომ ავთამაშდი და რუსეთის ნაკრებში მიმიწვიეს. ეს მთლიანად ვიტალი დარასელიას წყალობით მოხდა. მაშინ სამარელებს ოთხი ფეხბურთელის შეძენა სურდათ, ჩემი გვარი კი მათ სიაში არ ფიგურირებდა. თუმცა კვარტეტს ბოლო მომენტში დარასელია გამოაკლდა უცნობი მიზეზებით. თუ არ მეშლება, მან სხვა კლუბში თამაში მოისურვა და მე ქართველის ნაცვლად გავემგზავრე. აი, ასე შემთხვევით შევაბიჯე რუსულ ფეხბურთში"*.

**მერაბ მამულაშვილი**

# კალაძეს ცოდვები გაუხსენეს

"მილანი" დღეს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გლაზგოს "სელტიკთან" ითამაშებს. სამწუხაროდ, "როსონერის" საქართველოს ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** ვერ დაეხმარება. გუნდის ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე აღნიშნულია, რომ კალაძეს, **ინძაგისა** და **მალდინის** გაუფრთხილდებიან და არ ათამაშებენ. კახას ჯერ კიდევ აწუხებს მუხლის ტკივილი.

რადგან კალაძეზეა საუბარი, საინტერესო ამბავი გაიხსენა ამჟამად ლუგანსკის "ზარიის" ფეხბურთელმა **სერგეი კორმილცევმა**, რომელიც ადრე კიევის "დინამოში" თამაშობდა. მან ხაზი გაუსვა ქართველი ფეხბურთელის უზომო სიყვარულს ავტომანქანით სწრაფად მოძრაობისა.

*"მაოცებდა ის ფაქტი, რომ კიევის "დინამოს" ყველა ფეხბურთელს საგანგებო ბარათებს ურიგებდნენ. მას ინსპექტორს აჩვენებდნენ და ისიც ვალდებული იყო უპრობლემოდ გაეშვა. გუსინისა და კალაძის მსგავსი სისწრაფის მოყვარულები ამით სარგებლობდნენ და კონჩა-ზასპეს ბაზის გზაზე ისეთ რბოლებს აწყობდნენ, შუმახერსაც არ დაესიზმრებოდა! ერთხელ ლობანოვსკის ისეთი გიჟური ტემპით ჩაუქროლეს, კაცი იძულებული გახდა საგანგებო კრება ჩაეტარებინა და საშინლად აღშფოთებულიყო"*.



კახა კალაძე

**მერაბ მამულაშვილი**

# პერტიას გოლი და ქართველები შეცვლაზე

ლატვიური "დინაბურგი" სეზონისვის მზადებას აგრძელებს. ბოლო საკონტროლო შეხვედრაში ლატვიელები ბელორუსის "დარიდასთან" 1:2 დამარცხდნენ. ერთადერთი ბურთი საჯარიმო დარტყმით ქართველმა ვეტერანმა, **თამაზ პერტიამ** გაიტანა.

შეცვლაზე ითამაშეს **ბექა გიორგაძემ** და **როლანდ სვანიძემ**. როგორც გავარკვიეთ, ლატვიელთა ოფიციალურ ვებგვერდზე გიორგაძეზე არაზუსტი ინფორმაცია გავიდა. ეს 18 წლის მცველი არა თბილისის საფეხბურთო აკადემია "ოლიმპის" არამედ **კარლო მჭედლიძის** სკოლა "ოლიმპიკის" აღზრდილია. შეცდომა სახელის არასწორმა ინტერპრეტაციამ გამოიწვია.

**მერაბ მამულაშვილი**

ქალთა ტურნირი

# პლატინის მოლოდინში...

**მიშელ პლატინის** საქართველოში ვიზიტის გეგმა, რომ გაგაცანით, მინიშნებული იყო, უეფას პრეზიდენტს თბილისში გოგონათა შორის მინი-ფეხბურთის ტურნირი უნდა გაეხსნა. გუშინ ფედერაციაში ჩატარებული პრესკონფერენცია სწორედ ამ ტურნირს მიეძღვნა. როგორც ირკვევა, ტურნირი 7-11 მარტს ვაკეში სპორტკომპლექს "ირაოში" გაიმართება. მასში გოგონათა 9 გუნდი მიიღებს მონაწილეობას: "ზიზუ", "ვიტამინები", "რედბული", "ფეოლა", ელიტ ელექტრონიქსი", "მძლეთამძლე", "სასოწარკვეთილი დიასახლისები", "ლაიგერები" (როგორც გვითხრეს ლაიგერი ვეფხვისა და ლომის ნაჯვარს ჰქვია) და "ქარიშხალი".

ტურნირის რეგლამენტის მიხედვით ჯგუფიდან ნახევარფინალში სამი პირველადგილოსანი გავა, რომელსაც მეოთხე გუნდად საუკეთესო მეორეადგილოსანი დაემატება. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა უპირველესად გატანილ-გაშვებული ბურთების ბალანსს მიენიჭება, მერე მეტ გატანილ გოლს. თუკი ყველა ეს მაჩვენებელი თანაბარი იქნება, მაშინ უკეთეს გუნდს პენალტების სერია გაარკვევს. ტურნირის ორგანიზატორთა განცხადებით, ჯგუფურ ეტაპზე ტაიმის ხანგრძლივობა 10 წუთი იქნება. თუმცა ნახევარფინალებიდან შესაძლოა ტაიმების ხანგრძლივობა 15 წუთამდე გაიზარდოს. ნახევარფინალისა და ფინალის ფრედ დასრულების შემთხვევაში, გამარჯვებულს პირდაპირ პენალტების სერია გაარკვევს. ტურნირის გამარჯვებულის გარდა, საუკეთესო მოთამაშე და თავდამსხმელი დაჯილდოვდება. ტურნირში მონაწილე გუნდების ეკიპირების საკითხი ფეხბურთის ფედერაციამ მოაგვარა.

გუშინ ფედერაციაში ამ ტურნირის წილისყრაც გაიმართა და მონაწილე 9 გუნდი სამ ჯგუფში ასე გადანაწილდა:

**A ჯგუფი: რედბული, ქარიშხალი, ზიზუ.**

**B ჯგუფი: მძლეთამძლე, ელიტ ელექტრონიქსი, ვიტამინები**

**C ჯგუფი: ლაიგერები, ფეოლა, სასოწარკვეთილი დიასახლისები.**

ტურნირს 7 მარტს 19:30 საათზე სპორტკომპლექს "ირაოზე" მიშელ პლატინი, უეფასა და ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები გახსნიან.

**დავით ცაბაძე**

# გურამ გაბისკირია 60 წლის გახდებოდა

ასე გულწრფელად, ერთდროულად სიამაყისა და ტკივილის განცდით, მხოლოდ ჭეშმარიტ ვაჟკაცებს და პატრიოტებს იხსენებენ. გუშინ გურამ გაბისკირია 60 წლის გახდებოდა. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი ამ რაინდისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე დამსწრეთა მსურველებს ვერ იტევდა. სცენის სიღრმეში კი არა, პირიქით, სცენაზე რაც შეიძლება წინ იყო წამოწეული "იუბილარის" მასშტაბური პორტრეტი, წინ, ხალხთან ახლოს, ისევე როგორც მთელი სიცოცხლე ხალხთან იყო და მათთვის გაწირა თავი.

აფხაზეთის ლეგიტიმურმა მთავრობამ, საქართველოსა და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციებმა და შპს "მაგთიკომმა" ერთობლივად მოაწყვეს ეს ღონისძიება, რაც არა მხოლოდ გურამ გაბისკირიას მოგონების საღამოდ, არამედ აფხაზეთიდან დევნილთა შინ დაბრუნების რწმენის დემონსტრირებად იქცა.

გურამ გაბისკირია, ომის დროს როგორც სოხუმის მერი და პატრიოტი ქართველი, ბოლომდე დარჩა თავის ხალხთან. სხვაგვარად მას არ შეეძლო.

საღამოზე გაიხსენეს გურამის სპორტული ცხოვრება, რომელიც ფეხბურთელობით დაიწყო და სოხუმის "ცხუმის" შექმნით, დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთზე შეუნელებელი ზრუნვით დასრულდა. გაიხსენეს ისიც, რომ სწორედ გურამ გაბისკირიამ, ყველაზე აქტიურად, რეგიონებიდან პირველმა დაუჭირა მხარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკავშირო სისტემიდან გამოყოფას და დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას. სწორედ მაშინ შეიქმნა მისი თაოსნობით სოხუმის "ცხუმი".

**გუშინ, გურამ გაბისკირიას 60 წელი შეუსრულდებოდა...**

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# დემეტრაძემ სამ წუთში მოსაგები საქმე წააგო

**გიორგი დემეტრაძე** დონეცკის "მეტალურგს" ალჩევსკის "სტალთან" საჩემპიონატო მატჩში ვერ დაეხმარა. შეხვედრა "სტალის" გამარჯვებით 3:0 დასრულდა. მატჩის შემდეგ დონეცკელთა მთავარ მწვრთნელ **კო ადრიაანსეს** ქართველი თავდამსხმელის უთამაშებლობის მიზეზი რომ ჰკითხეს, უპასუხა, 18-კაციან განაცხადშიც ვერ მოხვდაო.



ბოლო დროს ასეთი ირიბი მინიშნებებით უკრაინაში ცდილობენ დაამტკიცონ, რომ გიორგის მზე ჩაესვენა და სასამართლოშიც ლეგიონერების ინტერესებს კი არ იცავს, არამედ მხოლოდ საკუთარი მიზნები ამოძრავებს.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ უკრაინელებს საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ და ლეგიონერებზე ლიმიტის შემოღება უკრაინის ნაკრებზე ზრუნვამ განაპირობა. ნებისმიერ ქვეყანაში ეს უმთავრესი საფიქრალია და უკრაინელებს არც გაემტყუნებათ.

ამასობაში, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ადვოკატი **ოლგა ჟუკოვსკაია** მედიასთან აცხადებდა, რომ საქმის განხილვამ დააიმედა. *"პარასკევს გამარჯვებისკენ ნაბიჯი გადავდგით. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ 16 მატჩიდან მხოლოდ ორში შეიქმნა ისეთი ვითარება, რამაც დემეტრაძეს, ლეგიონერთა ლიმიტის გამო, თამაშში ხელი შეუშალა. მისი უთამაშებლობა ძირითადად ლეგიონერთა ლიმიტს არ უკავშირდება. არც ერთ კანონში არ წერია, ფეხბურთელმა მოედანზე რა დრო უნდა დაყოს. შესაბამისად, ვერც ერთი წესი დემეტრაძეს ვერ დაიცავს"*.

დემეტრაძე ამბობდა, რომ ფედერაციის ადვოკატის პერსონამ უხერხულობა შეუქმნა. *"ჩემი ოპონენტი კაცი რომ ყოფილიყო, გაცილებით უკეთესი იქნებოდა. ოჰ, ეს ქალბატონი რამდენს ყბედობს. ვფიქრობ, მაინც გავიმარჯვებ"*.

*"ჩვენ დაგვჭირდება არა სამი საათი, არამედ სამი წუთი და დავამტკიცებთ, რომ თანაბარუფლებიანობა დარღვეულია"* - ეს უკვე დემეტრაძის ადვოკატის, **კონსტანტინ კოლომოეცის** სიტყვებია.

მიუხედავად ადვოკატის ამგვარი განცხადებისა გიორგი დემეტრაძე უკრაინული ფეხბურთის მამებთან ბრძოლაში დამარცხდა. კიევის სასამართლოს გუშინ უნდა გამოეტანა გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე გიორგი დემეტრაძის სარჩელზე.

სასამართლოზე გიორგი დემეტრაძე ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ უკრაინის უმაღლეს ლიგაში ლეგიონერებზე დაწესებული ლიმიტი უკრაინის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. კიევის პეჩორის ოლქის მოსამართლემ დემეტრაძის საჩივარი უარყო, როგორც საფუძველსმოკლებული. ქართველის ადვოკატმა **ანდრეი ფედურმა** სხდომის დამთავრების შემდეგ განაცხადა, რომ ქართველი ფეხბურთელი ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად გაასაჩივრებს. კანონით მას აპელაციის შეტანისთვის ხუთი დღის ვადა აქვს.

**მერაბ მამულაშვილი**
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| | წავიდნენ | მოვიდნენ |
|---|---|---|
| ოლიმპი | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები, ტორპედო) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია (ამერი), სირბილაძე (დინამო), მიმინოშვილი, მიქიაშვილი, ვ. კვარაცხელია, ხოხონიშვილი (ორივე- ბათუმი), გ. თოდუა (მგლები) | რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო) ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), ბერუაშვილი (ტორპედო), ჭიჭვეიშვილი (სიონი) |
| ვიტ ჯორჯია | დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი (ორივე - დინამო) | კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი) |
| ამერი | ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი (მერანი) | მესხი (ჩიხურა), ნაჭყეპია (ოლიმპი), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) |
| ზესტაფონი | იმედაძე (ტორპედო), თურმანიძე (ბათუმი), განუგრავა, ბ. გოცირიძე | რ. ონიანი (ოლიმპი), ლეანდრო, ჟონატასი |
| დინამო | ამბროზიო (გრემიო), ახალაია, ბაბუნაშვილი (სიონი), სტურუა (ჩიხურა), გრიგალაშვილი (ბორჯომი), მახარაძე (ჩიხურა) ნავალოვსკი , ნერგაძე (ბათუმი), გიგაური, ქუცურუა (ჩიხურა), დვალი (ჩიხურა) | დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ჟილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), სირბილაძე, სპასოევიჩი |
| ტორპედო | ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი) | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა, გ. იმედაძე |
| სიონი | სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიჭვეიშვილი | მამალაძე (ჩიხურა), სილაგაძე, დარასელია (შახტიორი ყარაღანდა), ბაბუნაშვილი (დინამო), ექონია (ბათუმი), კორღალიძე, სანიკიძე, ორბელაძე |
| ლოკომოტივი | ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი | სოსელია, წუწუნავა (ორივე - კახეთი) მალიჩავა, სამხარაძე (გაგრა) |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე (ვიტ ჯორჯია), ბენდელიანი, ლაბაძე | კვერნაძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე (ბათუმი) ლ. მერებაშვილი (ჩიხურა) საყვარელიძე, მძინარიშვილი (ორივე დილა), გრიგალაშვილი (დინამო), კაკალაძე (ჩიხურა) |
| მერანი | — | კუტივაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი (ამერი), ა. ნოზაძე |
| ჩიხურა | ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა | სტურუა, დვალი, ქუცურუა, ჩარგეიშვილი, მახარაძე (ყველა დინამო), მ. მიქაძე, დარჩიძე |
| ბათუმი | ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი), ნაჭყებია | კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), თურმანიძე (ზესტაფონი), შალამბერიძე (მეშაქრე) |
| დილა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია, გონჩაროვი |
| კახეთი | იმერლიშვილი (ვიტ ჯორჯია), ცინაძე, სოსელია, წუწუნავა (ორივე - ლოკომოტივი) | კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი |

გამოხმაურება ბავშვთა ფეხბურთის თემაზე

# წამოგვეშველეთ, ლეგიონერებო!

**გულდასმით** ვეცნობი ბავშვთა ფეხბურთის პრობლემების ამსახველ პუბლიკაციებს თქვენს გაზეთში. მოსაწონია "ლელოს" ექსპერიმენტი, მიმართოს ინტერნეტით უცხოელებს საქართველოში ბავშვთა ფეხბურთში ინვესტიციების მოსაზიდად. მხარდასაჭერია ქართული სპორტის ქომაგისა და ფეხბურთის ვეტერანი გულშემატკივრის, გრიგოლ ლომთაძის იდეაც - "ლელოსთან" შეიქმნას "ბავშვთა სპორტზე ზრუნვის საზოგადოებრივი საკრებულო". ერთი აზრი მეც მომივიდა, რაზეც მეგობრებთან ერთად ვიმსჯელეთ და მთხოვეს, თქვენთვის მომეწოდებინა. ისევ და ისევ ბავშვთა ფეხბურთის ბედზე წუხილითა და ქართული ფეხბურთის ხვალინდელ დღეზე ფიქრითაა ნაკარნახები ის, რასაც ახლა გეტყვით. ცნობილია და თქვენც წერდით, რომ უცხოეთში ბევრი ქართველი ლეგიონერი თამაშობს. მგონი, მათი რიცხვი უკვე 500-ს აჭარბებს. თუ მართლა შეიქმნება "ბავშვთა სპორტზე ზრუნვის საზოგადოებრივი საკრებულო", იქვე უნდა ჩამოყალიბდეს სპეციალური ფონდიც. გაავრცელეთ ინტერნეტით საბანკო ანგარიშის ნომერი, რათა ყველა მსურველს მიეცეს შემწეობის გაღების შესაძლებლობა. მათ შორის, პირველ ყოვლისა, ჩვენ მოვიაზრებთ საქართველოდან წასულ იმ ასობით ლეგიონერს, რომლებიც, ვფიქრობთ, აუცილებლად გაიღებენ გარკვეულ თანხას, საქართველოში ბავშვთა ფეხბურთის გადარჩენისა და განვითარების მხარდასაჭერად.

**ავთანდილ სარალიძე,**
ქართული ფეხბურთის ვეტერანი
გულშემატკივარი, რუსთავი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • [illegible]

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

# რიიკაარდი: ბარსელონამ სევილიას უნდა მიბაძოს

- სტატისტიკა კატალონიელთა მხარეზეცაა და მათ წინააღმდეგაც
- პორტუმ ინგლისში მხოლოდ მოურინიოს დროს გაიმარჯვა
- ინტერის სტუმრობის წინ ვალენსია ქაოსშიაო
- ლიონი ზედიზედ მეოთხე მეოთხედფინალს უმიზნებს

## ლივერპული-ბარსელონა

პირველი მატჩი 2:1

"ბარსელონას" პრობლემები დაუგროვდა. გასულ უქმეებზე მან "სევილიასთან" წააგო (1:2) და მეტოქეს პრიმერა დივიზიონის პირველი საფეხური გადაულოცა. ორი კვირის წინ კატალონიელებმა "ლივერპულთანაც" ვერაფერი გააწყვეს. **ფრანკ რიიკაარდის** შეგირდებს ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა ემუქრებათ. სტატისტიკის თანახმად, ლიგის არსებობის 16-წლიან ისტორიაში ჩემპიონს არასოდეს შეუნარჩუნებია ტიტული. ამას გარდა, გუნდმა, რომელმაც საშინაო პაექრობა წააგო, მომდევნო რაუნდის საგზური უკანასკნელად 11 წლის წინ მოიპოვა. ეს გუნდი "აიაქსი" გახლდათ. ამსტერდამელებმა 1995-96 წლების ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, შინ "პანათინაიკოსთან" 0:1 წააგეს, სამაგიეროდ სტუმრად გაიმარჯვეს 3:0. "ბარსელონა" "ლივერპულს" უკანასკნელად 2001 წლის 20 ნოემბერს ესტუმრა და 3:1 დაამარცხა.

საინტერესოა ისიც, რომ მერსისაიდელები ინგლისის ორივე სათასო ტურნირს "ენფილდ როუდზე" გამოეთიშნენ (იანვარში "არსენალთან" მატჩებისას). **რაფა ბენიტესის** გუნდმა შინ კიდევ ერთი პრინციპული თამაში წააგო - ამ უქმეებზე "მანჩესტერ იუნაიტედთან" (0:1). ასე რომ, ბარსელონელები უიმედოდ არ უნდა იყვნენ. სენიორ ბენიტესმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ახლაც არ მჯერა, რომ "იუნაიტედთან" დავმარცხდით. იმედგაცრუებულნი ვართ, მაგრამ ბევრს ვვარჯიშობთ, რომ "ბარსასთან" მატჩს მომზადებულნი შევხვდეთ. იმედია, სამშაბათს უფრო მეტად გაგვიმართლებს."*

სტუმრებმა ორი გოლი უნდა შეაგდონ. "ლივერპულს" კონტრშეტევაზე თამაშის საშუალება ეძლევა. საქმეს ის ართულებს, რომ მერსისაიდელებს ჩემპიონთა ლიგის საშინაო მატჩში ესპანელი მოწინააღმდეგე ოთხი წელია, არ დაუმარცხებია. ბარსელონელებს **სამუელ ეტოო** უბრუნდებათ. ტრავმის მოშუშების შემდეგ კამერუნელმა "სევილიასთან" 20 წუთი ითამაშა. ბოლო დროს ფრანკ რიიკაარდი 4-3-3 სქემას აღარ იყენებს ხოლმე. ის აღიარებს, რომ მის შეგირდებს უმძიმესი გამოცდის ჩაბარება მოუწევთ: *"ენფილდზე" ერთი წამითაც ვერ მოვეშვებით. ისევე უნდა ვითამაშოთ, როგორც "სევილიამ" ჩვენს წინააღმდეგ."*

### სავარაუდო შემადგენლობები

**ლივერპული:** რეინა, ფინენი, კარაგერი, აგერი, რიისე, ჯერარდი, სისოკო, ჩაბი ალონსო, მარკ გონსალესი, კუიტი, ბელამი.

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ძამბროტა, ტურამი, მარკესი, პუიოლი, სილვინიო (ან ვან ბრონკჰორსტი), ინიესტა, დეკუ, ჩავი, რონალდინიო, მესი, ეტო'ო.

**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია).

## ჩელსი-პორტუ

პირველი მატჩი 1:1

"პორტუმ" ინგლისში ცხრაჯერ ითამაშა და მხოლოდ ერთხელ არ წააგო - 2004 წლის გაზაფხულზე. სამი წლის წინ პორტუგალიელთა დამრიგებელი **ჟოზე მოურინიო** იყო. მისმა შეგირდებმა "მანჩესტერ იუნაიტედთან" საპასუხო მატჩი 1:1 დაასრულეს და "ეშმაკები" ტურნირიდან დაითხოვეს.

ამჯერად მოურინიო მოწინააღმდეგის ბანაკშია. შეგახსენებთ მის სიტყვებს, რომელიც ორი კვირისწინანდელი თამაშის შემდეგ წარმოთქვა - როგორც პორტუგალიელს, "პორტუს" თამაში ძალიან მომეწონა, მაგრამ როგორც მწვრთნელი, ვალდებული ვარ, ჩემი ყოფილი კლუბი დავამარცხოო.

პირველ მატჩში **ჯონ ტერიმ** კოჭი დაიზიანა. რამდენიმე დღეში, "არსენალთან" ლიგის თასის ფინალში, "ჩელსის" კაპიტანმა კიდევ უფრო სერიოზული ტრავმა მიიღო. დღეს ტერი არ ითამაშებს. მის ადგილს გამოჯანმრთელებული **ხალიდ ბულარუზი** დაიკავებს. **მიკაელ ესიენი** კი ნახევარდაცვის ცენტრში დაბრუნდება. დანაკლისია სტუმართა შემადგენლობაშიც: ვერ ითამაშებს გამოცდილი მცველი **ჟოზე ბოსინგვა,** რომელმაც გასულ უქმეებზე "ბრაგასთან" მატჩში (1:0) ბარძაყის კუნთი იტკინა. ბოსინგვას სლოვაკი **მარეკ ჩეხი** შეცვლის. მცირე ტრავმა აქვს ნახევარმცველ **ლუჩო გონსალესსაც,** მაგრამ ის ლონდონში მაინც წაიყვანეს.

"პორტუს" თავდასხმას ბრაზილიელი **ადრიანო** და **ელდერ პოშტიგა** გაუძღვებიან. ადრიანომ უგოლო ორთვენახევრის შემდეგ ზედიზედ სამ მატჩში გაიტანა. სტუმართა თავკაცი **ჟეზუალდო ფერეირა** ამბობს: *"ბრაგელთა წინააღმდეგ თავი დავზოგეთ. ამიტომ ჩვენი საუკეთესო თვისებები არ წარმოგვიჩენია. ლონდონში მაღალ ტემპს უნდა გავუძლოთ."*

გუნდები უკანასკნელად 2004 წლის სექტემბერში შეხვდნენ ერთმანეთს. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მატჩი ლონდონში "ჩელსის" კომფორტული გამარჯვებით დამთავრდა, 3:1.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ჩელსი:** ჩეხი, ლასანა დიარა, ბულარუზი, რიკარდო კარვალიო, ეშლი კოული, მაკელელე, ბალაკი, ლემპარდი, ესიენი, დროგბა, შევჩენკო.

**პორტუ:** ელტონი, პეპე, ჟორჟე, პაულუ ასუნსაო, ჩეხი, მეირელესი, ლუჩო გონსალესი, ბრუნო მოარეში, კვარეშმა, ადრიანო, ლისანდრო ლოპესი.

**მსაჯი:** რობერტო როსეტი (იტალია)

## ვალენსია-ინტერი

პირველი მატჩი 2:2

სულ ბოლო ინფორმაციით დავიწყოთ. იტალიური "გაძეტა დელო სპორტი" წერს, "ვალენსიაში" დიდი ქაოსიაო. ამ ქაოსის ცენტრში გუნდის ყოფილი მცველი, დღეს კი სპორტული დირექტორი **ამედეო კარბონია,** რომელსაც ფეხბურთელებთან ურთიერთობა უკიდურესად დაეძაბა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ **რობერტო აიალამ** და კარბონიმ ერთმანეთი უშვერი სიტყვებით ლანძღესო. მიზეზი კონტრაქტებია, უფრო ვულგარულად კი - ფული. ახალწვეულები, **ვილია** და **ხოაკინი** უფრო მაღალ ხელფასებს იღებენ, ვიდრე **კანისარესი, ალბელდა, ბარახა** და ძმანი მათნი. ესენი ხელფასის გაზრდას ითხოვენ, კარბონი კი ორჭოფობს. აიალა ადგა და წინასწარი შეთანხმება დადო "ვილიარეალთან", კანისარესმა ამადეო საერთოდ არაფრად ჩააგდო და პრეზიდენტთან გამონახა საერთო ენა. ალბელდა და ბარახა იცდიან და, როგორც ამბობენ, სენსაციურ ქმედებებს გეგმავენ. მოკლედ, კლუბის შიგნით მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა, მაგრამ რა ზეგავლენას იქონიებს ეს ყველაფერი გუნდის თამაშზე, დღეს გამოჩნდება.

პირველ მერვედფინალში "ვალენსიამ" "ინტერის" მოედანზე 2:2 დაასრულა, რაც მომდევნო წრეში გასვლის უკეთეს შანსს ნესით, ესპანელებს აძლევს, მაგრამ ბურთი მრგვალია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩემპიონთა ლიგაში "ინტერმა" ვალენსიურ მესტალიაზე ორჯერ ითამაშა, საიდანაც ერთხელ წააგო და ერთხელ მოიგო: პირველად 2002/03 სეზონის მეოთხედფინალში და მაშინ მილანელებმა 1:2 დათმეს, თუმცა ორი მატჩის ჯამში ნახევარფინალში გავიდნენ, 2004/05 სეზონში კი ეს გუნდები ერთმანეთს ჯგუფურ ეტაპზე დაუპირისპირდნენ და მაშინ "ნერაძურიმ" ვალენსიაში 5:1 მოიგო.

იტალიის ჩემპიონატში ჯერაც დაუმარცხებელ "ინტერს" ესპანეთში მხოლოდ მოგება აძლევს ხელს, თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევას, რომ შეხვედრა 3:3 და ა.შ. ანგარიშით დასრულდება. გუშინ **რობერტო მანჩინიმ** თქვა: *"ეს შეხვედრა ჩვენთვის იგივე ფინალია, მაგრამ მე და ჩემი ფეხბურთელები თავს მშვიდად ვგრძნობთ. 2:2-ის შემდეგ ესპანელებს მცირე უპირატესობა აქვთ, მაგრამ ჩვენ გამარჯვება შეგვიძლია. ისე როგორც წინა შეხვედრაში, თამაში ამჯერადაც "ინტერმა" უნდა წაიყვანოს. უნდა ვითამაშოთ ყურადღებით და მაქსიმალური კონცენტრაციით, განსაკუთრებით, სტანდარტული მდგომარეობებისას, ყველა პირობა გვაქვს იმისთვის, რომ მომდევნო წრეში გავიდეთ. "ვალენსია" გამორჩეული გუნდია, ჰყავს საუცხოო თავდასხმა, დანარჩენები კი თავს კარგად იცავენ. ასე რომ, უნდა ვიყოთ აგრესიულები და ვითამაშოთ რაც შეიძლება სწრაფად".* "ინტერს" ცენტრში ისეთი ხალხი აკლია, როგორებიც არიან **ვიეირა** და **კამბიასო**. ტრავმა აწუხებს **ადრიანოსაც**. საუკეთესო შემთხვევაში, ბრაზილიელი თადარიგში თუ იქნება. ბოლომდე მწყობრში არც **სტანკოვიჩი** და **დაკური** არიან, თუმცა სადღეისოდ ამ ორმა გამოჯანმრთელება უნდა მოასწროს. ადრიანოს არყოფნაში "ინტერის" მთავარი იმედი **იბრაჰიმოვიჩია**. შვედი ფორვარდი ფორმის პიკზეა და თამაშებს მარტო იგებს. მისი გოლითა და საგოლე პასით გაიმარჯვა "ნერაძურიმ" შაბათს ლივორნოში, სადაც თავიდან 0:1-ს აგებდა.

ბოლო ტურში "ვალენსიამ" **მორიენტესის** გოლით შინ "სელტას" 1:0 მოუგო, მაგრამ აშკარად არადამაჯერებელი თამაში აჩვენა. დღეს "ღამურებს" დისკვალიფიცირებული საყრდენი ნახევრამცველი დავიდ ალბელდა არ ეყოლებათ.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, აიალა, მორეტი, ალბიოლი, მარჩენა, სილვა, ანგულო, ვილია, მორიენტესი

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, მაქსველი, ძანეტი, დაკური, სტანკოვიჩი, ფიგუ, იბრაჰიმოვიჩი, კრესპო

**მსაჯი:** ვოლფგანგ სტარკი (გერმანია)

## ლიონი-რომა

პირველი მატჩი 0:0

"ოლიმპიკოზე" დასრულებული 0:0-ის შემდეგ, "ლიონი" კიდევ უფრო დიდი ფავორიტია და კარგი შანსი აქვს, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ზედიზედ მეოთხედ გავიდეს. **ჟერარ ულიეს** გუნდის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ევროპულ არენაზე ბოლო 18 საშინაო შეხვედრაში არ წაუგია (აქედან 12 მოიგო). საფრანგეთის ჩემპიონებმა იანვრის კრიზისი საბოლოოდ დაძლიეს და ჩემპიონატის ბოლო ოთხ ტურში მხოლოდ ორი ქულა დაკარგეს. შაბათს "ლიონმა" სტუმრად "სენტ ეტიენს" 3:1 მოუგო. გოლები **კალსტრიომმა, ტიაგომ** და **ფრედმა** გაიტანეს. ამ შეხვედრაში მწვრთნელმა ლიდერი **ჟუნინიო** დაასვენა. *"დღეს უამრავი მომენტი შევქმენით* – თქვა ნამატჩევს ლიონელთა ცენტრალურმა მცველმა **სებასტიენ სკილაჩიმ** – *ეს გამარჯვება საშუალებას გვაძლევს, რომ "რომასთან" შეხვედრაში თავდაჯერებულად ვითამაშოთ. ახლა გაცილებით უკეთ ვთამაშობთ, ვიდრე ერთი თვის წინ, ვცდილობთ და ბევრი გოლი გაგვაქვს. ვფიქრობ, რომ "ლიონმა" საუკეთესო ფორმა დაიბრუნა".* დღევანდელ შეხვედრასთან დაკავშირებით ულიე ამას ამბობს: *"ზუსტი წარმოდგენა არ მაქვს, როგორ განვითარდება თამაში, თუმცა ის კი ვიცი, რომ შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს. პენალტების სერია? ჩემპიონთა ლიგის ფლეი-ოფში ამის ალბათობა ყოველთვის დიდია. მომდევნო წრეში გასავლელად საჭიროა გუნდური ძალა და ასევე ინდივიდუალიზმი. არც ფორტუნამ უნდა გაქციოს ზურგი".* ფრანგებს ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავთ, ერთადერთი დანაკლისი დისკვალიფიცირებული **ჟერემი ტულალანის** არყოფნა იქნება.

აი, "რომას" კი პრობლემები საკმაოდ აქვს, განსაკუთრებით, გასვლით შეხვედრებთან დაკავშირებით. ჩემპიონატში გუნდს სტუმრად 20 დეკემბრის შემდეგ აღარ მოუგია (ოთხი ფრე და ერთი წაგება). წინა ტურში რომაელებმა ბოლოადგილოსანი "ასკოლის" მოედანზე ფრე 1:1 ითამაშეს, თან გათანაბრება მხოლოდ 87-ე წუთზე შეძლეს (**ვილჰელმსონის** გოლით). ამასობაში "ინტერი" 16 ქულით გაიჭრა წინ და "ჯალოროსის" საჩემპიონო ოცნებებს წერტილი დაუსვა. ახლა რომაელებს ერთი ევროპა რჩებათ. ასკოლური ფრის მეორე დღეს **ლუჩანო სპალეტიმ** ფეხბურთელები ბაზაზე შეკრიბა და უთხრა: *"სასწრაფოდ უნდა გამოიღვიძოთ, თორემ წყალში ჩაგვეყრება ყველაფერი, რაც აქამდე გავაკეთეთ".* მაგრამ, უფრო ზოგადად, დღევანდელი "რომას" მთავარი პრობლემაა მაინც ისაა, რომ ჩემპიონთალიგურ დონეზე თამაშის გამოცდილება ძალიან ცოტა აქვს. ლიონში ჩასვლის შემდეგ სპალეტიმ ეს საკითხიც ახსენა: *"მომდევნო წრეში გასვლის შანსები 50 50-ზეა, მაგრამ ფრანგებს მცირე ფსიქოლგიური უპირატესობა აქვთ. ვგულისხმობ იმას, რომ ჩემპიონთალიგურ თამაშებს უფრო შეჩვეულები არიან. შეხვედრას რაც შეეხება, კარგად გვესმის, რაოდენ მნიშვნელოვანია ის ჩვენთვის და საერთოდ "რომას" ისტორიისთვის. ჩვენი ტიფოზები იმედის თვალით გვიყურებენ და ისინი არ უნდა გავაწბილოთ. ლიონში ჩვენი გულშემატკივრისთვის უნდა ვითამაშოთ".*

### სავარაუდო შემადგენლობები

**ლიონი:** კუპე, კლერკი, კრისი, სკუილაჩი, აბიდალი, დიარა, ტიაგო, ჟუნინიო, მალუდა, ფრედი, გოვუ

**რომა:** დონი, პანუჩი, მექსე, კივუ, ტონეტო, დე როსი, პისარო, ტადეი, პეროტა, მანსინი, ტოტი

**მსაჯი:** მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)



კიკე სანჩეს ფლორესი ვალენსიას უმძიმესი ბრძოლისთვის ამზადებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბარსელონა-ლივერპულის ორი კვირისწინანდელი დაპირისპირება

ლივერპული VS ბარსელონა

# შეტევა და არაფერი შეტევის გარდა

## ომი ჯერ არ არის წაგებული

*"დიდი შემობრუნება"* - ამ ლოზუნგის ქვეშაა გაერთიანებული მთელი კატალონია. "ბარსელონას" ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპზე გასვლის იმედი არ დაუკარგავს, თუმცა პირენეული გრანდის მესვეურები იმასაც აცნობიერებენ, რომ ურთულესი ამოცანის წინაშე დგანან. "კამპ ნოუზე" ჩაგდებული მატჩის ამოქაჩვა, მართლაც წარმოუდგენელ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული. მიუხედავად ყველაფრისა, **ფრანკ რიიკაარდსა** და მის შეგირდებს სჯერათ, რომ "ლივერპულის" ბარიერის გადალახვა შეუძლიათ. ამისათვის კი ერთადერთი გზა არსებობს, შეტევა და არაფერი შეტევის გარდა. მწვრთნელები და ფეხბურთელები შემტევი ფეხბურთის დემონსტრირების აუცილებლობაზე უკვე შეთანხმებულები არიან. "ბარსელონას" ხომ მინიმუმ ორი გოლის გატანა სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გამარჯვებული მეოთხედფინალში ვერ გავა. ჟურნალისტების მრავალი მცდელობის მიუხედავად (მათ ფეხბურთელებისა და ხელმძღვანელი პირების ხმაურიანი განცხადებების მოპოვება სურდათ), სპეკულაციებს არავინ მიმართავს. ერთ კაცსაც კი არ დაუკვეხნია, რომ ინგლისელებს კუდით ქვას ასროლინებენ. ისინი მხოლოდ იმას ამბობენ, რომ წინ მთელი მატჩია, ხანგრძლივი 90 წუთი. რაც "ბარსელონას" ფლეი ოფის გადარჩენის შანსს აძლევს. ვარსკვლავების აზრით, მთავარი მოთმინებაა. სჯერათ, რომ სიმშვიდე წარმატების უპირველესი ქვაკუთხედია.

ამავდროულად, "ბარსელონა" ეპიზოდებისა და ემოციების გუნდია. ის ნებისმიერ წამს შეიძლება აფეთქდეს და დაუჯერებელი რამ გააკეთოს. უახლოესი წარსული გავიხსენოთ. ესპანეთის სამეფო თასის პირველ შეხვედრაში კატალონიელებმა "კამპ ნოუზე" "სარაგოსასთან" 0:1 წააგეს. უაღრესად გადატვირთული კალენდრის გათვალისწინებით, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ეს გუნდი განმეორებითი შეხვედრის მისთვის სასარგებლოდ წარმართვისთვის ძალებს გამონახავდა. შემთხვევითი არ იყო, როცა ესპანელი ჟურნალისტები **ვიქტორ ფერნანდესის** ბიჭების ნახევარფინალში გასვლას წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ "ბარსელონა" სარაგოსაში ჩავიდა და საჭირო ანგარიშით გაიმარჯვა. საზოგადოებამ დაინახა, რომ კატალონიური გიგანტისთვის, მისი ჯადოქარი ვარსკვლავებისთვის შეუძლებელი არაფერია.

ფეხბურთში რაიმეს რომ მიაღწიო, პირველ რიგში ამისი უნდა გჯეროდეს. როგორც უკვე გითხარით, ბარსელონელებს სწამთ "ლივერპულის" დამარცხების შესაძლებლობისა.

პირველი მატჩის წაგებიდან ერთ დღეში საწვრთნელ მოედანზე ნამდვილი საპანაშვიდო ატმოსფერო სუფევდა. იმედგაცრუებულ მოთამაშეებს რამდენიმე საათი არ ეყოთ, იმისთვის, რომ დამშვიდებულიყვნენ და მომავალზე ცივი გონებით ეფიქრათ, თუმცა მალე დამშვიდდნენ და გააცნობიერეს, რომ არა რომელიმე სხვა გუნდის, არამედ დიადი "ბარსელონის" ღირსებას იცავდნენ. ამ კლუბისთვის კი მართლაც არაფერია შეუძლებელი. მეგავარსკვლავებს ახსოვთ, "ბარსა" ბევრჯერ აფეთქებულა. და თუ ახლაც აფეთქდება, მტრისას, მის მიერ გავლილ გზაზე ალარაფერი დარჩება. "ლივერპულთან" განცდილი მტკივნეული მარცხის შემდეგ **რიიკაარდის** ბიჭებმა "ბილბაოსთან" საოცრად ითამაშეს. **ეტოომ** ხანგრძლივი ტრავმისგან განკურნება გოლით აღნიშნა. რამდენიმე დღეში ისინი "ლა რომარედაზე" გავიდნენ და ესპანეთის სამეფო თასის გათამაშების ნახევარფინალის საგზური გაინაღდეს. მართალია, ბოლო ორთაბრძოლა წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ "სევილიასთან" განცდილი დასანანი მარცხი "ენფილდზე" არავის ემახსოვრება. რიიკაარდი ფიქრობს, რომ "ლივერპულთან" ბრძოლის წინ განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც "სარაგოსის" გამოთიშვა გახლდათ. ამ თამაშში ბიჭებმა დაიჯერეს, რომ მაქსიმალური ძალისხმევის ფასად შეიძლება, სტუმრად, ფაქტობრივად, განწირული ფლეი-ოფი შენთვის სასარგებლოდ დაასრულო. არაგონული წარმატებით არა მარტო მოთამაშეებმა, არამედ გულშემატკივრებმაც გამოიღვიძეს. ახლა უკვე მათაც სწამთ, რომ ინგლისში ტურისტების სტატუსით არ მიემგზავრებიან. რამდენიმე ათასი კატალონიელი ხმის ჩახლეჩვამდე იყვირებს, რათა ათჯერ მეტ ფანტასტიკურ ლივერპულელ ფანს არაფრით ჩამორჩეს და გუნდს მეთორმეტე ფეხბურთელად მოევლინოს. "ჩვენ შეგვიძლია", ინჩასები "ენფილდ როუდის" ტრიბუნებზე ამ პლაკატებით მოკალათდებიან. შესაძლოა, დასაჯდომად ვერც ვერავინ მოიცალოს, მაგარამ მთავარია, რომ ხალხს სულში იმედი ექნება ჩაბუდებული, ხელში კი ტრანსპარანტი - "ჩვენ შეგვიძლია" ეჭირებათ. ამ ერთსულოვნებას კლდის განგრევის ძალა აქვს.

სევილიაშიც დიდი ერთსულოვნება სუფევდა. "ბარსელონას" ყველა პირობა ჰქონდა იმისთვის, რომ სამი ქულა მოეპოვებინა, მაგრამ **რონალდინიომ** პენალტი ვერ გაიტანა, შემდეგ კი **რაფა მარკესმა** და **ვიქტორ ვალდესმა** ანდალუსიელებს არაფრისგან გოლი აჩუქეს. ისინი ამ მწარე გამოცდილებას ჭკუის სასწავლებლად გამოიყენებენ. უდავოა, რომ "ბარსა" ლივერპულში გაასმაგებული ყურადღებით იასპარეზებს. გამოცდილება აქამდეც არ აკლდათ, მაგრამ ზედმეტი ცოდნა არასოდესაა ზედმეტი. რა თქმა უნდა, ის, რაც სევილიაში მოხდა, სჯობდა სწორედ სევილიაში მომხდარიყო და არა ლივერპულში. "ბარსელონას" სტუმრად გამარჯვება შეუძლია, აქ საკამათო არაფერია.

რონალდინიომ აღიარა, რომ სარაგოსაში მიღწეულმა გამარჯვებამ და სევილიაში, პირველ ტაიმში მოპოვებულმა აშკარა უპირატესობამ ის და მისი თანაგუნდელები მცირე ეიფორიაში ჩააგდო. ასეთი რამ ბავშვებს მოსდით, მაგრამ ზოგჯერ ფეხბურთის უპირველესი ვარსკვლავებიც ბავშვებს ემსგავსებიან. მთავარია, ინფანტილიზმმა დიდ ხანს არ გასტანოს. გაუჩომ პირობა დადო, ბრიტანეთში ხუთი ბურთის სხვაობითაც რომ დავწინაურდეთ, ეიფორიაში მაინც ალარ აღმოვჩნდებით და ბოლო წამამდე ისე ვითამაშებთ, როგორც უდაძაბულეს ფინალშიო. საქმეს სწორედ ამგვარი მიდგომა სჭირდება. რონალდინიო და კომპანია მიწაზე მყარად, ორივე ფეხით დგას.

რეზიუმე კი ის არის, რომ "ბარსელონამ" ლიმილი დაიბრუნა. კატალონიელები "სანჩეს პისხუანზე" გამართულ მატჩს საავტომობილო ავარიას ადარებენ. ავარიას, რომელსაც მსხვერპლი არ მოჰყოლია, მგზავრები მხოლოდ მსუბუქად დაშავდნენ. მეოთხედფინალისტის ვინაობა ჯერ არ გარკვეულა, ანუ თამაში მის დაწყებამდე არ დასრულებულა.

ეს ენფილდია

# ფეხბურთი არ არის სიკვდილისა და სიცოცხლის საქმე, ის უფრო მეტია

## ლეგენდარული სტადიონის თითოეულ კუთხეს საკუთარი ისტორია აქვს

**სერ ბობი რობსონის** თქმით, მოთამაშისთვის არაფერია იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე "ენფილდზე" ფეხბურთის თამაში და მისი შეგრძნება. დიდი თავგადასავალი "შენკლის" კარიბჭიდან (წითელი ეშმაკების ლეგენდარული მენეჯერი) სტადიონზე შესვლით დაიწყება. 44 ათასი გულშემატკივარი საკუთარ სავარძელს მონახავს, ჩაისუნთქავს და დაუვიწყარ სანახაობას დაელოდება. თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე კი "ენფილდ როუდი" გენიალურად დასჭექს, You'll never walk alone. "ლივერპულის" ჰიმნს ბავშვებს ენის ადგმისთანავე ასწავლიან. "ლივერპული" მართლაც არასოდეს დარჩება მარტო.

"შენკლის" კარიბჭის შემდეგ "ჰილსბოროს მემორიალი" მოგხვდებათ თვალში. ეს სკულპტურა 1989 წლის ტრაგიკული მოვლენის უკვდავსაყოფად დადგეს. 18 წლის წინ, შეფილდში, "ნოტინგემ ფორესტთან" სათასო მატჩისას შექმნილი არეულობისა და ჭყლეტვის შედეგად 96 ლივერპულელი გულშემატკივარი გარდაიცვალა. მემორიალზე უკლებლივ ყველა გარდაცვლილის სახელი და გვარია ამოტვიფრული. იქ მარადიული ცეცხლი ანთია. ადამიანი, რომელიც "ენფილდზე" პირველად შედის უმალ იგებს, რომ 1989 წელი ამ გუნდისთვის ტრაგიკულია და ტკივილი არასოდეს განელდება. მონუმენტზე მიტანილი ყვავილების დაჭკნობა ყველას შეურაცხყოფაა. ოჯახის წევრების გარდა, მემორიალს უბრალო გულშემატკივრებიც სისტემატურად ამკობენ.

"წითელი ეშმაკების" ლეგენდარული მენეჯერისადმი პატივისცემა, მხოლოდ კარიბჭეზე მისი სახელის მინიჭებით არ შემოიფარგლება. ბილ შენკლის ძეგლიც დაუდგეს და დიდი ასოებით დაწერეს - ის ხალხს აბედნიერებდა. 1959-1974 წლებში ამ კაცის თავდაუზოგავი მუშაობის წყალობით "ლივერპულმა უამრავი ტიტული მოიპოვა. გარდა ამისა, სერ შენკლის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება ის არის, რომ მან უამრავი უნიჭიერესი მოთამაშე აღმოაჩინა და დიდ ფეხბურთს აზიარა. "წითელი ეშმაკების" ფანებისთვის ლეგენდარული ადამიანის გამონათქვამები სახარებისეული მცნებებივით დოგმატურია: "ლივერპულში ორი დიდი კლუბია, "ლივერპული" და "ლივერპულის" სათადარიგო გუნდი" (ცხადია, "ევერტონის" ქომაგებს სერ შენკლისადმი სულ სხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ), "ბურთი არასოდეს ილლება," "პირველი ყველაფერია, მეორე კი არავინ," "ფეხბურთი არ არის სიკვდილ-სიცოცხლის საქმე, ის გაცილებით მეტია". ფანებისთვის ყველაზე დიდი სიყვარულით ბოლო ნათქვამი სარგებლობს.

"ენფილდ როუდი" აგების შემდეგ რამდენჯერმე გარემონტდა, მაგრამ გასახდელებისთვის ხელი არავის უხლია. დიახ, ის ხელშეუხებელია, რათა დიდი მისტიკა არ დაიკარგოს. არავის ანალვლებს, რომ ეს გასახდელები სხვა გრანდების გასახდელებთან შედარებით ხუთჯერ პატარაა. ის არასოდეს გაფართოვდება, რადგან ლივერპულელებისთვის გასახდელს ჯადოსნური ძალა აქვს. დღევანდელმა ფეხბურთელებმა იქ ყოველი შესვლისას თავიდან უნდა განიცადონ და გაიგონ, რომ "ლივერპული" მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიის მქონე კლუბია, რომ მის ღირსებას სხვადასხვა წლებში ფანტასტიკური მოთამაშეები იცავდნენ. სივიწროვე შემაწუხებელი სულაც არ არის, პირიქით, მისტიკა მცირე ფართში უფრო მომაჯადოებლად მოქმედებს. გასახდელის კარის გაღებისთანავე ლეგენდარულ წარწერას ამოიკითხავთ: *"აქ ერთად მოსვლა დასაწყისია, ერთობა პროგრესია, მუშაობა კი წარმატებაა"*.



ჩვეული ატმოსფერო ენფილდ როუდზე: ლივერპული არასოდეს ივლის მარტო

საოცარი ისტორია აქვს Boot Room-ს (ბუცების ოთახი). სერ ბილ შენკლის გარდა იქ "ლივერპულის" სხვა მწვრთნელებსაც შეჰყავდათ ფეხბურთელები და "წითელი ეშმაკების" უწყვეტი წარმატების ტაქტიკაზე ესაუბრებოდნენ. დღესდღეობით Boot Room-ში საპრესკონფერენციო დარბაზია მოწყობილი.

მოედნისკენ მიმავალ გვირაბში კი წერია - "ეს ენფილდია". პირველი წამიდან მოყოლებული დღემდე, ლივერპულელები ამ წარწერას ხელს ახებენ და საომრად გადიან. სერ ბილ შენკლის უცხოელი ჟურნალისტები ხშირად ეკითხებოდნენ, რა დატვირთვა ჰქონდა ამ წარწერას. პასუხი ყოველთვის ერთი იყო: *"წარწერა ჩვენს ფეხბურთელებს შეახსენებს, თუ რომელი კლუბის ღირსებას იცავენ. მოწინააღმდეგეს, კი ატყობინებს, თუ ვის წინააღმდეგ უნდა ითამაშონ."*

"ენფილდის" მინდორი ტრიბუნებიდან მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრითაა დაშორებული. მოთამაშეები და გულშემატკივრები 90 წუთის განმავლობაში ერთი ცხოვრებით ცხოვრობენ. მათ ერთმანეთის საუბარი ესმით და ყოველთვის ზუსტად იციან, ვის რა უჭირს, ან ვის რა უხარია. ეს გასაოცარი ერთობა მის უდიდებულესობა "ენფილდს" მომაჯადოებელ ძალას აძლევს...

ფანებისთვის მეტისმეტად გულდასაწყვეტია, რომ "ენფილდი" მალე სამუდამოდ დაცარიელდება. კლუბის ხელმძღვანელობამ ახალი, 55-ათასიანი სტადიონის მშენებლობა წამოიწყო. სამუშაოები მალე დასრულდება და You'll never walk alone სხვაგან დაგუგუნდება.

**ფერნანდო დომენეკი,**
**დიარიო სპორტი, ბარსელონა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ორი კვირის წინ დავიდ ვილიამ ინტერს გოლი გაუტანა

ვალენსია vs ინტერი. ინტერვიუ დავიდ ვილიასთან

# შანსები თანაბარია

## ვილიას ბავშვობის კერპები: ლუის ენრიკე, რონალდო, ტოტი...

**სატრანსფერო ბაზრის ყველაზე მოდურ ფეხბურთელებს შორის დავიდ ვილიას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია. 25 წლის ვალენსიელ გოლეადორზე დღეს გრანდებისგან დიდი მოთხოვნაა, მაგრამ როგორც ირკვევა, ვილიას ეს ყველაზე ნაკლებად აინტერესებს. ბედნიერია "ვალენსიაში" და ყველა საფეხბურთო ბედნიერების მიღწევაც მასთან ერთად უნდა. საამისოდ კი პირველი ამოცანა დღეს "ინტერის" დამარცხება და ჩემპიონთა ლიგის მიღმა დატოვებაა. ფორვარდმა მილანელებს "სან სიროზე" ერთხელ უკვე გაუტანა, ახლა იმავეს გაკეთებას "მესტალიაზე" ეცდება.**

**- ზედიზედ 17 გამარჯვების შემდეგ "ინტერი" დამუხრუჭდა. ბოლოსწინა ტურში "უდინეზესთან" ფრე ითამაშა...**

- ვნახე. მშვენიერია, ეს ჩვენც სასიკეთოდ წაგვადგება. თუკი თავდაჯერებას ცოტათი დაკარგავენ, ამას ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენებთ. ასეთი მნიშვნელობის შეხვედრა დიდი ხანია არ გვქონია, უძნელესი თამაში გველის. ჩვენ ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს ვხვდებით.

**- "Mestalla nunca falla", "მესტალია" არ ღალატობს", ამბობენ ვალენსიაში.**

- დიახ, ასე ამბობენ და მართლებიც არიან. ჩვენს სტადიონზე თავს შესანიშნავად ვგრძნობთ, იქ იშვიათი, განსაკუთრებული ატმოსფეროა. ტყუილად კი არ არის, რომ "მესტალიაზე" წელს მხოლოდ ორჯერ წავაგეთ, თუმცა მეოთხედფინალში გასვლის შანსები მაინც თანაბარია.

**- იტალიურ ფეხბურთს ტელევიზიით ადევნებთ თვალს?**

- დიახ, და "ინტერი" ყველა დანარჩენზე ერთი თავით მაღლა დგას – თამაშით, შედეგებით, ორგანიზაციით, ინდივიდუალიზმით, ყველაფრით.

**- იტალიელი ფეხბურთელებიდან ვინ მოგწონთ?**

- ტოტი, დელ პიერო და გასული სეზონის ლუკა ტონი.

**- თქვენი ბავშვობის კერპები ვინ იყვნენ?**

- პირველ რიგში, ლუის ენრიკე და ხუანელე. ორივე იმ პატარა გუნდში გაიზარდა, სადაც ჩემი კარიერა დაიწყო. ამ გუნდს "ტუილია" ჰქვია, ეს ორი ფეხბურთელი ჩემთვის ყოველთვის მისაბაძი მაგალითი იყო. მათ შემდეგ კი, რონალდო და ტოტი, ორი არაჩვეულებრივი ფეხბურთელი.

**- ტოტი უკვე მეორედ ახსენეთ. ეტყობა, რომანისტას გვარი გონებაში უფრო მეტად გიტრიალებთ. რომელი გუნდები გავლენ ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპზე?**

- არა მგონია, რომ "ჩელსის", "მილანსა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" დიდი პრობლემები შეხვდეთ. შემდეგ დავასახელებ "არსენალს", თუმცა მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწევს. "ლივერპულსა" და "ბაიერნს" მეტი შანსი აქვთ, ვიდრე "ბარსელონასა" და "რეალს, "ლიონი"-"რომა" კი ყველაზე ძნელად პროგნოზირებადი თამაშია. ფრანგებმა კარგ შედეგს მიაღწიეს, მაგრამ სტუმრად გატანა ვერ შეძლეს, "რომა" კი სახიფათო გუნდია. მიჭირს მათ შორის ფავორიტის დასახელება.

**- თქვენ სიას ერთი გუნდი აკლია...**

- "ვალენსია", იმედია.

**- ჩემპიონთა ლიგის ეს გათამაშება თქვენს კარიერაში პირველია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თავს ძალიან კომფორტულად გრძნობთ. თქვენი სახელი კი ევროპულ სატრანსფერო ბაზარს მოედო...**

- ეს კარგის ნიშანია, იმას ნიშნავს, რომ ჩემს საქმეს კარგად ვაკეთებ.

**- 2005 წელს "ვალენსიამ" "სარაგოსას" თქვენს ტრანსფერში 12 მილიონი ევრო გადაუხადა. ახლა თქვენი გამოსასყიდი თანხა კონტრაქტის მიხედვით 126 მილიონი ევროა.**

- სერიოზული ციფრია, ვერაფერს იტყვი. "ვალენსიამ" ჩემი შესაძლებლობების თავიდანვე ირწმუნა, ინვესტიცია გააკეთა, აქ ჩამომიყვანა და კონტრაქტიც განმიახლა 2013 წლამდე, სადაც გამოსასყიდ თანხად თქვენ მიერ ნახსენები ციფრი ჩაიწერა. არ შემიძლია, ამ ყველაფრისთვის ჩემი კლუბის მიმართ მადლიერების გრძნობა არ გამოვხატო.

**- და "ინტერი", "ჩელსი", "ლივერპული"? საუბარია, რომ ეს კლუბები თქვენი შეძენით ძალიან არიან დაინტერესებულები.**

- არ ვიცი. სამივე დიდი გუნდია, სასიამოვნოა, თუ ჩემი წაყვანა უნდათ, მაგრამ თუ ვინმე მართლა არის დაინტერებული, მაშინ "ვალენსიას" უნდა დაელაპარაკოს. დღესდღეობით თავს ამ გუნდში მშვენივრად ვგრძნობ, მაგრამ ისიც ყველამ ვიცით, რომ ფეხბურთში მომავალს ვერასოდეს იწინასწარმეტყველებ.

**- ნახეთ, სევილიურ დერბიში რა მოხდა?**

- წავიკითხე, და სიმართლე გითხრათ, ძალიან შემეშინდა. მწვრთნელს ესროლეს, შემდეგ ჯერზე შეიძლება, მსხვერპლი რომელიმე ჩვენგანი გახდეს. პირველად არ ხდება, რომ ტრიბუნიდან მოედანზე რაღაცას ისვრიან. განსხვავება ის იყო, რომ ამჯერად ნასროლმა ბოთლმა მიზანს მიაღწია. იმედი მაქვს, რომ დამნაშავეს იპოვნიან და სტადიონზე აღარასდროს შეუშვებენ. ფეხბურთში ძალადობა უნდა შეწყდეს, ახლავე.

გოგა ახალაძე

რეალი

# პრედრაგ მიატოვიჩი: მსაჯები გვებრძვიან

## ჟურნალისტებს შეთქმულების არ სჯერათ და შუსტერის დანიშვნისთვის ფონს ამზადებენ, მიუნხენში ბექჰემი და რეიესი ვერ ითამაშებენ...

კვირას "რეალმა" საშინაო შეხვედრაში მორიგი ქულები დაკარგა. მართალია, ამჯერად სამეფო კლუბს არ წაუგია, მაგრამ "სანტიაგო ბერნაბეუზე" ფრე, ფაქტობრივად, მარცხის ტოლფასია. საზოგადოება პროტესტის გამოხატვით უკვე ძალიან დაიღალა, თუმცა ამის მიუხედავად, კრიტიკა არ წყდება. გულშემატკივრები კიდევ უფრო უკმაყოფილოები არიან. პრესაც რადიკალურადაა განწყობილი. ერთი სიტყვით, **ფაბიო კაპელოს** მუშაობით ყველა იმედგაცრუებულია. ეჭვი არავის ეპარება, რომ იტალიელ სპეციალისტს სეზონის დასრულებისთანავე შინ გაისტუმრებენ, თუმცა ბევრს ივნისამდე მოცდაც კი არ სურს. სოსიოების დიდი ნაწილი აპენინელის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს. შექმნილ სიტუაციაში "რეალის" ხელმძღვანელობამ კონტრნაბიჯები უნდა გადადგას. ბუნებრივია, წაყრუება გუნდს სიკეთეს არ მოუტანს. კაპელო სულელი არ არის და კარგად ხვდება, რომ ხალხს რაიმე უნდა უთხრას. **პრედრაგ მიატოვიჩსაც** მხოლოდ ეს არჩევანი აქვს. მთავარმა მწვრთნელმა და გენერალურმა დირექტორმა ყველაზე იოლ გზას მიაგნეს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, მათ განცხადებებს გაგაცნობთ.

თავდაპირველად თქვენს სამსჯავროზე სინიორ კაპელოს სიტყვებს გამოვიტანთ: *"მსაჯების მუშაობა ძალიან არ მომეწონა. ამაყად და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემმა ბიჭებმა შესანიშნავად ითამაშეს. მიუხედავად იმისა, რომ "ხეტაფემ" ანგარიში გახსნა, გამარჯვებას ვიმსახურებდით. საამისოდ ყველაფერი გავაკეთეთ. რომ არა, მსაჯების უსამართლო მუშაობა, სამ ქულას მოვიპოვებდით. მთავარმა არბიტრმა სულ მცირე ორი პენალტი არ მოგვცა. საეჭვო გადაწყვეტილებებს იღებდა თამაშგარე მდგომარეობების დაფიქსირებისასაც. არ ვიცი, შეიძლება ვინმე გავალიზიანო, მაგრამ ფეხბურთელებს ვერაფერს ვუსაყვედურებ. მათ ჩინებულად ითამაშეს. ჩემი აზრით, ორი ქულა სწორედ მსაჯების არაობიექტურობის გამო დავკარგეთ."*

პრედრაგ მიატოვიჩმა მხოლოდ ერთ კონკრეტულ შეხვედრაზე საუბარი არ იკმარა და სკანდალური განცხადება გააკეთა: *"ყველაფერი ყელში ამოგვივიდა. პოლიტკორექტული საუბრების დრო დასრულდა. მადრიდის "რეალს" მსაჯები მიზანმიმართულად ებრძვიან. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ის, რაც ჩვენს წინააღმდეგ ხდება, შორდება შემთხვევითობის ფარგლებს. შეუძლებელია, ბანალურმა შემთხვევითობამ ამდენჯერ იჩინოს თავი. უამრავი ისეთი მატჩის გახსენება შეიძლება, როცა არბიტრებმა არასწორი გადაწყვეტილებებით ქულები მოგვპარეს. სხვა სიტყვის გამონახვა უბრალოდ შეუძლებელია. ეს ქურდობაა და სხვა არაფერი. როგორც ჩანს, ვიღაცას არ სურს, რომ შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვამჟღავნოთ. ყველა ღონეს მივმართავთ იმისთვის, რომ საკუთარი უფლებები დავიცვათ, თუმცა ხშირად ფარული შეთქმულების წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია ხოლმე."*

ხმაურიანმა განცხადებამ ჟურნალისტებს აზრი ვერ შეაცვლევინა. იმ მიმომხილველებსაც კი, რომლებიც სამეფო კლუბს ღიად უჭერენ მხარს და მის წარუმატებლობებს პირადი ტრაგედიასავით აღიქვამენ, შეთქმულების ვერსიის არ სჯერათ. მედია დარწმუნებულია, რომ ყველა წარუმატებლობა ხელმძღვანელობის არასწორი მუშაობის შედეგია. სიმბოლურია, რომ საკვირაო მატჩის შემდეგ "დიარიო მარკამ" "ხეტაფეს" დამრიგებელი ქებით ცაში აიყვანა. სიმბოლურია, რადგან **ბერნდ შუსტერი** "რეალის" მოყვარული ჟურნალისტების ფავორიტია. ისინი გერმანელი სპეციალისტის დანიშვნას დაუფარავად ითხოვენ.

■ ■ ■

"ხეტაფესთან" მატჩში მადრიდელებს კიდევ ერთი უსიამოვნება შეემთხვათ. **დევიდ ბექჰემმა** მარჯვენა მუხლი გადაიბრუნა და ხვალ "ბაიერნთან" საპასუხო შეხვედრას გამოტოვებს. ბექზი სტუმართა საჯარიმოში ბურთის ჩაწოდებას ცდილობდა, როცა სარეკლამო დაფას შეასკდა. მან თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო და 69-ე წუთზე შეცვალეს. "ბაიერნი"-"რეალის" მატჩზე დასწრებას აპირებდა ინგლისის ნაკრების თავკაცი **სტივ მაკლარენი**. თამაშის შემდეგ მას დევიდის გამოძახების საკითხი უნდა გადაეწყვიტა.

მიუნხენში ვერ გაემგზავრება **ხოსე ანტონიო რეიესი**. მიზეზი იდენტურია - მუხლის ტრავმა, რომელიც ფეხბურთელმა "ხეტაფესთან" მატჩში მიიღო. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად, განაცხადში შეიყვანეს **რაული, გუტი** და **ემერსონი**. ამ უკანასკნელს ტრავმის გამო შაბათის მატჩი გაუცდა. ბარძაყის კუნთი აწუხებთ **გონსალო იგუაინსა** და **რუუდ ვან ნისტელროის**, მაგრამ რეკორდმაისტერთან მაინც ითამაშებენ. შეგახსენებთ, პირველი მატჩის შემდეგ ანგარიშია 3:2 სამეფო კლუბის სასარგებლოდ.

ილია ნიკოლაიშვილი



დევიდ ბექჰემი მიუნხენში ვერ ითამაშებს

### დიდა: სამი წელი ბარსელონაში

ბრაზილიური რადიოსადგურის ცნობით, **ნელსონ დიდამ** "ბარსელონასთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ბრაზილიელ მეკარეს მილანური ხელშეკრულება ივნისში ეწურება. სეზონის ბოლოს ის კატალონიას თავისუფალი აგენტის სტატუსით მიაშურებს. მართალია, ფეხბურთელს ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია, მაგრამ "მილანმა" უკვე აქტიურად დაიწყო მისი შემცვლელის ძიება. **ჯანლუიჯი ბუფონის** თაობაზე "იუვენტუსთან" მიმდინარე მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. ტურინელები სერია A-ში ბრუნდებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ კლუბი შემადგენლობას არათუ შეასუსტებს, პირიქით, გააძლიერებს და ბუფონის გაყიდვაც ძნელად წარმოსადგენია. მილანელთა მორიგი სამიზნე "ეინდჰოვენის" ბრაზილიელი კარის დარაჯი **ეურელიო გომესი** გახლავთ. გომესი დიდას დუბლიორია ბრაზილიის ნაკრებში. ამ ბიჭზე "არსენალიც" აცხადებს პრეტენზიას.

### დელ პიეროს მორიგი ჰეთ თრიკი

**ალექს დელ პიერომ** სამ კვირაში მეორე ჰეთ თრიკი გამოაცხო. გასულ უქმეებზე "იუვენტუსმა" 4:0 დაამარცხა "პიაჩენცა" და სერია B-ს ცხრილში პირველი ადგილი დაიბრუნა. "ქალბატონს" 24 თამაშში 49 ქულა აქვს და მეორეადგილოსან "ნაპოლის" ორი ქულით უსწრებს. დელ პიერომ სამი გოლი მეორე ტაიმში შეაგდო. მან ჯერ პენალტით გაიტანა, შემდეგ საუცხოოდ შესრულებული საჯარიმოთი და ბოლოს, მსაჯისგან დამატებულ დროში, ორი მცველის მოტყუებით.

### კანუტე რეალს მოუნდა

"რეალი" **ფრედერიკ კანუტეთი** დაინტერესდა. მალელი თავდამსხმელი "სევილიის" საკუთრებაა. მას კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს გაფორმებული. ხელშეკრულებით განსაზღვრულია ფეხბურთელის გამოსასყიდი თანხაც: 22 მილიონი ევრო. იანვრის ტრანსფერებისას "ტოტენჰემის" ყოფილ თავდამსხმელს "ჩელსი" და "იუვენტუსი" შეეხმიანნენ.

### კრაუჩი ტოტენჰემში?

"ტოტენჰემის" თავკაცმა **მარტინ იოლმა პიტერ კრაუჩის** შეძენა მოისურვა. ლონდონელთა თავკაცი უკმაყოფილოა ეგვიპტელი **მიდოს** თამაშით. მას მაღალი კლასის თავდამსხმელი სჭირდება. იოლის ყურადღება "რასინგის" ცენტრფორვარდმა **ნიკოლა ჟიგიჩმაც** მიიპყრო, მაგრამ "სანის" ცნობით, კრაუჩი "მამლების" უპირველესი სამიზნეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ჰიტცფელდი: მაპატიეთ, მაგრამ უნდა წავიდე

## ფაქტობრივად, გენერალმა მიუნხენში დარჩენა გამორიცხა



ბაიერნის ამ სამწვრთნელო შტაბს ისევ შეცვლა მოუწევს

"ბაიერნის" ხელმძღვანელებს ძალიან უნდათ, რომ **ოტმარ ჰიტცფელდმა** კონტრაქტი გააგრძელოს, ასეთივე სურვილი ამოძრავებთ მიუნხენური კლუბის გულშემატკივრებსაც, მაგრამ თითქმის 100 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ ეს არ მოხდება. მიუხედავად იმისა, რომ ბავარიელებმა ბოლო ორი თამაში მოიგეს და "შალკეს" ზედიზედ ორი მარცხის გამო გაჩემპიონების შანსი ისევ გაუჩნდათ, ჰიტცფელდი აზრს არ იცვლის.

პარასკევს რეკორდმაისტერის გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** კიდევ ერთხელ თქვა, იმედი მაქვს, რომ ჰიტცფელდი გადაიფიქრებს და "ბაიერნს" მომავალ სეზონშიც უხელმძღვანელებსო, მაგრამ "ენაჭარტალა ულიმ" ოტმარისგან მყისვე ცივი უარი მიიღო. აი, რა განუცხადა ჰიტცფელდმა "ფრანკფურტერ ალგემაინე ცაითუნგს": *"ჰო, გამორიცხული არაფერია, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება საბოლოო და მყარი გახლავთ. თუკი ჰიონესს მხოლოდ იმის გამო აქვს იმედი, რომ მუდმივად ვამბობ, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება-მეთქი, მაშინ ის ძალიან ცდება. ვიცი, გულშემატკივრებსაც ძალიან უნდათ, რომ დავრჩე. მათ უნდა მაპატიონ, მაგრამ უნდა წავიდე."* - ეს უკვე საბოლოო უარია.

ცხადია, ზემოთ ხსენებული გაზეთის კორესპონდენტმა ჰიტცფელდს ისიც ჰკითხა, თუ ვინ წარმოუდგენია ოტმარს თავის შემცვლელად. მოგეხსენებათ, "ბაიერნის" სავარაუდო მწვრთნელებად უმეტესად არაგერმანელი სპეციალისტები (**ულიე, მოურინიო** და ა.შ) მოიაზრებოდნენ. ჰიტცფელდი ფიქრობს, რომ მიუნხენური გიგანტი აუცილებლად გერმანელმა მწვრთნელმა უნდა ჩაიბაროს. *"ვფიქრობ, უცხოელ მწვრთნელს "ბაიერნში" მუშაობა ძალიან გაუჭირდება. პირველ რიგში ენის გამო. და ესეც არ იყოს, იმ უცხოელმა გერმანული კარგადაც რომ იცოდეს, არც ეს იქნება საკმარისი. "ბაიერნის" ახალი თავკაცი კარგად უნდა იყოს ჩახედული გერმანულ ფეხბურთში, ზეპირად უნდა იცოდეს გერმანული სპორტული პრესის ავან-ჩავანი და კარგად უნდა იცნობდეს სხვა კლუბებში არსებულ ატმოსფეროს. ერთი სიტყვით, ჩემი აზრით, "ბაიერნი" გერმანელმა უნდა გაწვრთნას,"* - აცხადებს ჰიტცფელდი.

58 წლის ოტმარი იმასაც ამბობს, რომ "ბაიერნის" შეფებმა აუცილებლად უნდა გადაიბირონ პერსპექტიული გერმანელი ფეხბურთელები, რადგან რეკორდმაისტერის ძირითად ბირთვს სწორედ გერმანელი მოთამაშეები უნდა წარმოადგენდნენ: *"მიუნხენური გრანდის ძირითად შემადგენლობაში მინიმუმ 5 გერმანელი მაინც უნდა თამაშობდეს."* შეგახსენებთ, რომ მომავალი სეზონისთვის "ბაიერნმა" მხოლოდ ერთი გერმანელი ფეხბურთელი გადაიბირა - **იან შლაუდრაფი** აახენის "ალემანიიდან".

ამ ყველაფერთან ერთად, ოტმარი ძალიან ნაღვლობს იმის გამო, რომ "ბაიერნის" ფეხზე დასაყენებლად ძალიან ცოტა დრო ჰქონდა: *"1 თვე წარმოუდგენლად მცირე დროა იმისათვის, რომ გუნდში სერიოზული ცვლილებები განახორციელო. სამწუხაროდ, ჩვენ არც ექსპერიმენტების დრო გვაქვს. ისლა დაგვრჩენია, უფრო ინტენსიურად ვიმუშაოთ. იძულებულები ვართ, ხშირად იმპროვიზაციას მივმართოთ."* ოტმარისთვის პროგრამა მინიმუმი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა, მაქსიმუმი კი "ვერცხლის სინის" მიუნხენში დატოვება.

ამრიგად, გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს ის, რომ "ბაიერნს" ზაფხულიდან ახალი დამრიგებელი ეყოლება. რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებმა ახალი მწვრთნელის ვინაობა თვის ბოლომდე უნდა გაამჟღავნონ. ასეთი პირობა დადეს მათ თებერვალში...

**გოტფრიდ ლენცი**



ნანი

მანჩესტერ იუნაიტედი. ტრანსფერები

# ნანი, ფერგის უპირველესი სამიზნე

## ეშმაკებმა 60 მილიონი გაამზადეს, მათ სწრაფი თავდამსხმელი სჭირდებათ...

"გარდიანის" ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედი" საზაფხულო ტრანსფერებში 60 მილიონ გირვანქას დახარჯავს. ამ თანხით "ეშმაკები" სამ ვარსკვლავს შეიძენენ. **სერ ალექს ფერგიუსონის** უმთავრესი სამიზნე ლისაბონის "სპორტინგის" 20 წლის გარემარბი **ნანი** იქნება და არა ბაიერნელი **ოუენ ჰარგრივსიო**, წერს პოპულარული ტაბლოიდი. "გარდიანი" არ ამბობს, რომ ფერგის ჰარგრივსი აღარ სჭირდება. პირიქით, ინგლისელი საყრდენი კვლავაც მწვრთნელის ინტერესთა სფეროში რჩება.

რაც შეეხება ნანის, მას "ინტერი" და "ლიონიც" ეპატიჟებიან, მაგრამ "იუნაიტედს" უკეთესი შანსი აქვს. მანჩესტერელები "სპორტინგთან" დიდი ხანია, წარმატებით თანამშრომლობენ. საქმიან ურთიერთობებს 2004 წელს ჩაეყარა საფუძველი, მაშინ, როცა **კრისტიანო რონალდომ** "იუნაიტედს" მიაშურა, ლისაბონელებმა კი 12 მილიონი გირვანქა მიითვალეს. ნანის "სპორტინგთან" კონტრაქტი 2010 წელს ეწურება. ფეხბურთელი 13.4 მილიონი გირვანქა ღირს.

მაგრამ რაში დაიხარჯება ზემოთ ხსენებული 60 მილიონის დიდი ნაწილი? "გარდიანს" ამ კითხვაზე პასუხიც გამზადებული აქვს: "მანჩესტერი" სწრაფ თავდამსხმელს შეიძენს. ის არჩევანს ბარსელონელ **სამუელ ეტოოსა** და ატლეტიკოელ **ფერნანდო ტორესს** შორის გააკეთებსო. განიხილება აიაქსელი **კლაას იან ჰუნტელაარის** კანდიდატურაც, რომელმაც შვედი **ჰენრიკ ლარსონი** უნდა შეცვალოს.

ამასობაში, "ჩელსის" ბოსი **ჟოზე მოურინიო** ფერგიუსონის შენიშვნას გამოეხმაურა. "მენიუს" მწვრთნელმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მისი კოლეგა გამუდმებით მსაჯებზე საუბრობს - მსაჯებზე, რომლებიც თითქოს "იუნაიტედს" ქომაგობენ. ფერგიმ ჟოზეს გაჩუმება ურჩია, ჟოზემ კი უფროსი მეგობრის რჩევა არ მიიღო: *"რატომ უნდა გავჩუმდე? მე რატომ არ მაქვს მსაჯებზე საუბრის უფლება, თუკი ფერგიუსონი 20 წელია, მათზე საუბრობს? რა განსხვავებაა ჩემსა და მას შორის? საინტერესოა, რას იტყვის ფერგი, "ჩელსიმ" რომ თამაში ისეთი პენალტით მოიგოს, როგორითაც "მანჩესტერმა" "მიდლსბრო" ან "ტოტენჰემი" დაამარცხა?"*

კრიტიკული განწყობის მიუხედავად, მოურინიომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდ პატივს სცემს ფერგის, მის გუნდს და მანჩესტერელ ფეხბურთელებს: *"მათი წლევანდელი თამაში საყოველთაო აღფრთოვანებას იმსახურებს. სხვა საკითხია, რომ დრო და დრო მათი მეტოქის კარში საკამათო პენალტს ნიშნავენ ხოლმე, ან მათ მოწინააღმდეგეს აძევებენ."*

ბარსელონა. მოსალოდნელი ტრანსფერები

# რიიკაარდის ნაცვლად რამოსი?

## სევილიელი მწვრთნელი დანიელ ალვეშსაც წაიყვანს, რონალდინიოს ბანაკს მილანურ დერბიზე ელოდებიან...

"ბარსელონა" "სევილიის" თავკაც **ხუანდე რამოსს** ეპატიჟება. მიმომხილველთა მტკიცებით, სეზონის ბოლოს **ფრანკ რიიკაარდი** თანამდებობას დატოვებს. კატალონიელებს კი მისი შემცვლელი უკვე შეგულებული ჰყავთ. რამოსმა "ბარსას" ამ უქმეებზე, ათი კაცით მოუგო, 2:1. მართალია, სტუმრებმა თამაში ცხრა ფეხბურთელით დაასრულეს, მაგრამ 28-ე წუთზე, როცა სევილიელი **აიტორ ოსიო** გააძევეს, "ბარსელონას" თერთმეტივე მოთამაშე მინდორზე ჰყავდა და **რონალდინიოს** გოლით მინიმალური ანგარიშითაც იგებდა. ამის შემდეგ მოვლენები დრამატულად განვითარდა. "სევილია" არათუ არ დანებდა, ანგარიშით შესვენებამდე გაათანაბრა (**კერჟაკოვი**), მეორე ტაიმის დასაწყისში კი გადამწყვეტი გოლიც შეაგდო (**დანიელ ალვეში**). ბარსელონელი ვარსკვლავები - **ლუდოვიკ ჟიული** და **ჯანლუკა ძამბროტა** მხოლოდ ამის შემდეგ გაუყენეს გასახდელის გზას. ხუანდე რამოსის შეგირდებმა მრისხანე მეტოქეს პირველი ადგილიც ჩამოართვეს. მწვრთნელი, რომელმაც შარშან უეფას თასი მოიგო, არ უარყოფს, რომ მის აგენტს ევროპული გრანდები უკავშირდებიან: *"დიახ, დიდი კლუბები მითვალთვალებენ. ვერ დაგიმალავთ, ფეხბურთის მწვერვალზე ასვლა მსურს. მინდა, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეები ჩემს ფილოსოფიას ვაზიარო. დარწმუნებული ვარ, ერთად უძლეველობის ფორმულას შევქმნიდით. "სევილიაში" დავამტკიცე, რომ წარმატების მიღწევა ყველგან შეიძლება. ამ გუნდს საუკეთესო ვარსკვლავები არასოდეს ჰყოლია. მიჭირს იმის თქმა, სად ვისურვებდი კარიერის გაგრძელებას. თუ ვიტყვი "ჩელსის", "ბარსელონამ" შეიძლება შემიძულოს. ფაქტია, რომ ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლა მსურს, თანაც ევროპის რომელიმე გრანდთან ერთად."*

"ბარსელონის" გეგმები ამით არ ამოიწურება. კატალონიელებს სევილიელთა ლიდერი **დანიელ ალვეშიც** სურთ. "სევილია" გარიგებაზე თანახმაა, ოღონდ ერთი პირობით - "ბარსამ" მინიმუმ 15 მილიონი გირვანქა უნდა გადაიხადოს. ხუანდე რამოსის მსგავსად, ბრაზილიელი მცველიც დიდ კლუბზე ოცნებობს. "ბარსელონას" ალვეშზე პირველი არჩევანის უფლება აქვს. კლუბები ამ პირობაზე მაშინ შეთანხმდნენ, როცა 2005 წლის ზაფხულში **ხავიერ სავიოლა** სევილიელებთან საიჯარო კონტრაქტს აფორმებდა. გასულ ზაფხულს დანიელმა ანდალუსიელებთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. ის კლუბს 2012 წლამდე ეკუთვნის, მაგრამ შეთანხმების ერთ-ერთი პირობა ის იყო, რომ "ბარსელონის" ან "რეალის" დაინტერესების შემთხვევაში, პრეზიდენტი **ხოსე მარია დელ ნიდო** მას დაუბრკოლებლად გაყიდდა. როგორც ჩანს, პირობის შესრულების დრო მოვიდა. მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით სხვა კომენტარები არ გაკეთებულა.

გავაგრძელოთ კატალონიელთა ამბიციებზე საუბარი. "ბარსა" "აიაქსისა" და ჰოლანდიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველით, **ვესლი სნეიდერით** დაინტერესდა. ფეხბურთელი 12 მილიონი ევრო ღირს. ბარსელონელთა სპორტული დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი** ამსტერდამში გამგზავრებასა და მოლაპარაკებების გამართვას აპირებს. სნეიდერი "მილანსაც" სურს. ასე რომ, "ბარსას" დასაკარგი დრო აღარ აქვს.



ხუანდე რამოსი

ამასობაში, **სამუელ ეტოომ** დაადასტურა, რომ მას ინგლისური გრანდები ეპატიჟებიან. კამერუნელი ვარსკვლავი ალბიონზე აღფრთოვანებით საუბრობს: *"ინგლისი საუცხოო ქვეყანაა. თუ ოდესმე სხვაგან წასვლა მომიხდება, მინდა, რომ ამ ქვეყანაში დავსახლდე. პრემიერლიგა თავდამსხმელების სამოთხეა. იანვრის ტრანსფერებისას ჩემს აგენტს "არსენალი" და "ჩელსი" დაუკავშირდნენ, მაგრამ ჯერჯერობით, საქმე ამაზე შორს არ წასულა."*

ეტოო ერთადერთი არ არის, რომელსაც "კამპ ნოუდან" აბარგებას უწინასწარმეტყველებენ. არ წყდება სპეკულაციები რონალდინიოს "მილანში" შესაძლო ტრანსფერის შესახებაც. მომავალ უქმეებზე მილანში დერბი გაიმართება. "როსონერის" პრეზიდენტმა **სილვიო ბერლუსკონიმ** გადაწყვიტა, "სან სიროზე" მიიწვიოს რონალდინიოს ძმა, **რობერტო ასისი**. მოგეხსენებათ, ის ბარსელონელი თავდამსხმელის აგენტიცაა. სანახაობის გარდა, მხარეები აუცილებლად გამართავენ მოლაპარაკებას. მას მილანელთა გენერალური მენეჯერი **ადრიანო გალიანიც** დაესწრება. რონალდინიოს ბანაკი ამბობს, რომ "ბარსა" გარიგებას მხოლოდ ერთი პირობით დათანხმდება - თუ ფეხბურთელის სანაცვლოდ 70 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. ბერლუსკონის კი ეჭვი არ ეპარება, რომ რონალდინიოს მაქსიმუმ 50 მილიონადაც ჩაიგდებს ხელში.




ბუნდესლიგის სეზონის დასკვნით ნაწილს ორი ავტორიტეტული სპეციალისტი აჯამებს

ბუნდესლიგა

# ტოპმიოლერი: ჩემპიონი მაინც შალკე გახდება

## საქართველოს ნაკრების მწვრთნელისა და რალფ რანგნიკის ანალიზი

**"შალკეს" ჰქონდა შესანიშნავი შანსი, უპირატესობა გაეზარდა და მდევრები ახლოს არ მიეშვა, მაგრამ გელზენკირხენულმა კლუბმა ეს შანსი ხელიდან გაუშვა. ლევან კობიაშვილის გუნდმა ბოლო სამ თამაშში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა და ზედიზედ ორჯერ დამარცხდა საკუთარ მოედანზე ("ლევერკუზენთან" 0:1 და "ჰამბურგთან" 0:2). მეტიც, უკვე 241 წუთია, რაც "ხუმარებს" გოლი არ გაუტანიათ. შესაბამისად, გელზენკირხენელთა მთავარი მწვრთნელი მირკო სლომკაც იძულებულია აღიაროს, რომ ნახევარსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ "ვერცხლის სინის" მოპოვებას სერიოზული საფრთხე დაემუქრა.**

"შალკე" 49 ქულაზე გაიყინა და კონკურენტებს, "ვერდერს", "შტუტგარტსა" და "ბაიერნს" სამი შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა. ბრემენელები "ბოხუმის" განადგურების შემდეგ (3:0) **კობიაშვილის** გუნდს მხოლოდ 3 ქულითღა ჩამორჩებიან. თუმცა ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ის, რაც "შალკეს" ყველაზე მეტად აშინებს, მაინც "ბაიერნის" მიახლოებაა. ორი ტურის წინ რეკორდმაისტერი "ხუმარებს" 12 ქულით ჩამორჩებოდა. ახლა კი, "შალკესა" და ჯერ კიდევ მეოთხე ადგილზე მყოფ "ბაიერნს" შორის სხვაობა მხოლოდ და მხოლოდ 6 ქულაა. რას ნიშნავს ეს? ნუთუ ბოლოს ჩემპიონობა ისევ მიუნხენურმა კლუბმა უნდა იზეიმოს, ზუსტად ისე, როგორც 2001 და 2005 წლებში, როცა "შალკემ" სეზონის მინურულს (პირველ შემთხვევაში სულაც ბოლო წამებზე) დაუთმო ვერცხლის სინი რეკორდმაისტერს? მიუნხენელთა მწვრთნელ **ოტმარ ჰიტცფელდისთვის** "შალკეს" კრიზისი ღმერთის საჩუქარია. სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტს ბავარიელთა მენეჯერი **ული ჰიონესიც**: *"ყველაფერი გენიალურადაა. როგორც მოსალოდნელი იყო, "შალკეს" ისევ პრობლემები აქვს. ჩვენ კი ასეთ საჩუქრებზე უარს არასდროს ვამბობთ."* ჰო, იმ დროს, როცა ბრემენიდან ამბიციური შეძახილები ჯერ ისევ არ ისმის (მიხედავად იმისა, რომ "შალკესთან" ყველაზე ახლოს "ვერდერია"), "შალკეს" ისევ და ისევ მიუნხენიდან ემუქრებიან. მომდევნო ტურში, კვირას, "ბაიერნი" "ვერდერს" მასპინძლობს და გელზენკირხენელებს უნდა უხაროდეთ, რომ კონკურენტები ერთმანეთს ხვდებიან. კობი და კომპანია კი ჰანოვერში ჩადის და სასწრაფოდ სამი ქულა სჭირდებათ, თორემ...

*"მდგომარეობა ისევ დაიძაბა და ეს გულშემატკივრებისთვის ძალიან კარგია, რადგან მათ დაძაბული ჩემპიონატი ურჩევნიათ რომელიმე გუნდის ერთპიროვნულ ლიდერობას უდიდესი უპირატესობით. მიხარია, რომ "ვერცხლის სინზე" პრეტენზიას ერთდროულად 4 გუნდი აცხადებს და იმედი მაქვს, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა "ბაიერნი" ყველას ზემოდან დაჰყურებდა ხოლმე,"* - აცხადებს ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კლაუს ტოპმიოლერი** "შპორტ აინსთან" საუბარში. ტოპმ 2002 წელს თავის თავზე გამოცადა ტიტულის (უფრო სწორად, ტიტულების) ბოლო წამს დაკარგვის სიმწარე, როცა "ლევერკუზენთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის ფინალში და გერმანიის თასის ფინალში დამარცხდა, ამასთან გერმანიის ჩემპიონობაც ბოლო მომენტში დაკარგა (ფინიშზე დორტმუნდის "ბორუსიამ" გადაასწრო).

ტოპმიოლერი "შალკეს" ყოფილ თავკაც **რალფ რანგნიკთან** ერთად ჩემპიონობის ოთხივე მაძიებლის მდგომარეობას აანალიზებს. შეგახსენებთ, რომ "პროფესორმა რალფმაც" დასკვნით ფაზაში დაკარგა ჩემპიონობა (2005 წელს, როცა "შალკეს" "ბაიერნმა" გადაასწრო). მივყვეთ ცხრილის მიხედვით.

### შალკე (პირველი ადგილი, 49 ქულა)

მოკლედ, "ლევერკუზენსა" და "ჰამბურგთან" განცდილი სენსაციური მარცხების შემდეგ "შალკემ" საჩემპიონო შანსები აშკარად შეიმცირა. გელზენკირხენული კლუბის წარუმატებელ სერიას ტოპმიოლერი და რანგნიკი ასე ხსნიან:

**კლაუს ტოპმიოლერი**: *"შალკეს" ისევ სასტიკად არ უმართლებს. "ლევერკუზენსა" და "ჰამბურგთან" გამოჩნდა, თუ რაოდენ დიდ ძალას წარმოადგენენ ამ გუნდისთვის ის ფეხბურთელები, რომლებიც ახლა ლაზარეთში იმყოფებიან. ლოვენკრანდსი, პანდერი, ვარელა - ეს სერიოზული დანაკლისია. ამას დაუმატეთ ლინკოლნის დისკვალიფიკაციაც, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკა საპირისპიროს ამტკიცებს, ჩემი აზრით, ძალიან საჭირო ფეხბურთელია. შესაბამისად, ხარისხიც აღარაა ისეთი მაღალი, როგორიც აქამდე იყო. ვფიქრობ, რომ "შალკეს" წარუმატებლობა ნერვიულობის ბრალი სულაც არ არის, რადგან "ლევერკუზენსა" და "ჰამბურგთან" წაგება სულაც არ გახლავთ სენსაცია, იმდენად, რამდენადაც ეს გუნდები აქამდე შესაძლებლობების მაქსიმუმს ვერ ავლენდნენ. ორივე გუნდს გაცილებით მეტი შეუძლია და მე სულაც არ გამკვირვებია, "შალკე" რომ დაამარცხეს. განსაკუთრებით ეს "ჰამბურგ ზე" ითქმის, რომელიც ჰუუბ სტევენსმა ფეხზე დააყენა."*

**რალფ რანგნიკი**: *"წამყვანი ფეხბურთელების დაშავება ყოველთვის ძალიან ძნელი გადასატანია. მით უმეტეს, ისეთი გუნდისთვის, როგორიც "შალკეა". გელზენკირხენელებს ახლა ერთი კარგი ფსიქოლოგი სჭირდებათ."*

### ვერდერი (მეორე ადგილი, 46 ქულა)

"ბოხუმის" დამარცხებით "ვერდერმა" წარუმატებელი სერია კი დაასრულა, მაგრამ მომდევნო ტურში ბრემენელები მიუნხენში ჩადიან, მანამდე კი უეფას თასზე ელით მძიმე ბრძოლა (ვიგოს "სელტასთან"). *"სეზონი ჯერ არ დამთავრებულა, ახლა მიუნხენში უნდა მოვიგოთ და ვიმედოვნოთ, რომ "შალკე" ჰანოვერშიც წაიბორძიკებს,"* - აცხადებს "მუსიკოსთა" ფორვარდი **აარონ ჰანტი**, რომელმაც "ბოხუმთან" ჰეთ-თრიკი შეასრულა.

**ტოპმიოლერი**: *"სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, რომ "ვერდერი" მეორე წრეს ასე ცუდად დაიწყებდა. პირველი წრის შემდეგ რომ გეკითხათ, ვინ გახდება გერმანიის ჩემპიონი, დაუფიქრებლად ბრემენულ კლუბს დავასახელებდი."*

**რანგნიკი**: *"ვერდერი" უბრალოდ იძულებული იყო, "ბოხუმი" დაემარცხებინა, მაგრამ ამ გამარჯვების შემდეგ ბრემენული გუნდის ქებით ცაში აყვანა დიდი შეცდომაა. "მუსიკოსები" ახლა "ბაიერნს" ეთამაშებიან, თანაც მიუნხენში და სწორედ ეს იქნება მათთვის გადამწყვეტი მატჩი. გამარჯვებული ჩემპიონობის რეალურ შანსს შეინარჩუნებს."*

### შტუტგარტი (მესამე ადგილი, 45 ქულა)

ექსპერტების გარკვეული ნაწილი "შტუტგარტს", როგორც პოტენციურ ჩემპიონს საერთოდ არ განიხილავს. მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ ეს გუნდი 24-ე ტურამდე მეორე ადგილზე იყო, გასულ უქმეებზე კი "ლევერკუზენთან" დამარცხდა და ეს პოზიცია "ვერდერს" დაუთმო. თუმცა შვაბები "შალკეს" მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩებიან.

**ტოპმიოლერი**: *"შტუტგარტის" წარმატებები ნამდვილად არ არის სენსაცია, ამ გუნდს წელს სიტყვა ეთქმის და სამართლიანად იმყოფება ლიდერებს შორის. "ლევერკუზენთან" მარიო გომესს რომ ეთამაშა, მჯერა, საპირისპირო შედეგი დაფიქსირდებოდა. შვაბებს საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავთ, ოღონდ მაშინ, როცა ყველა წამყვანი ფეხბურთელი თამაშობს."*

**რანგნიკი**: *"არ გამიკვირდა, "შტუტგარტმა" ლევერკუზენთან რომ წააგო. ვფიქრობ, შვაბები გასულ კვირას მთლიანად გერმანიის თასის მეოთხედფინალურ თამაშზე იყვნენ გადართულები. საერთო ჯამში VFB-ს აქვს იმის პოტენციალი, რომ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს. საინტერესოა, ისწავლა თუ არა ამ გუნდმა საკუთარ შეცდომებზე და მიიღო თუ არა საჭირო გამოცდილება, რათა ბუნდესლიგაში ერთ-ერთი წამყვანი გუნდის სახელი შეინარჩუნოს."*

### ბაიერნი (მეოთხე ადგილი, 43 ქულა)

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ორ ტურში ყველაზე მეტად "ბაიერნმა" იხეირა. **ოტმარ ჰიტცფელდის** თქმით, რეკორდმაისტერს ჯერ კიდევ შეუძლია ჩემპიონობისთვის ბრძოლა. ამასთან, "გენერალი" უკვე დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი სამეულში აუცილებლად მოხვდება, ანუ, აუცილებლად გადაასწრებს "შტუტგარტს".

**ტოპმიოლერი**: *"ჰიტცფელდს ვეთანხმები და ვფიქრობ, რომ "ბაიერნი" კიდევ შეაწუხებს "ვერდერსა" და "შალკეს". თანაც, ბავარიელები "ვერდერსაც" და "შალკესაც" საკუთარ მოედანზე ხვდებიან. გადამწყვეტი იქნება "რეალთან" მატჩიც - თუ რეკორდმაისტერი მადრიდული გრანდის ბარიერს დაძლევს და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავა, ამ გუნდისგან უკვე ყველაფერი იქნება მოსალოდნელი."*

**რანგნიკი**: *"ვოლფსბურგსა" და "ჰერტასთან" "ბაიერნს" უნდა მოეგო, ეს უბრალოდ აქსიომა გახლდათ და ასეც მოხდა. მაგრამ მხოლოდ ამ ორი თამაშის შემდეგ იმის თქმა, რომ "ბაიერნი" დაბრუნდა, მაინც შეცდომაა. დაბრუნდა თუ არა რეკორდმაისტერი, ამას "რეალსა" და "ვერდერთან" მატჩები გამოაჩენს."*

### პროგნოზი

**ტოპმიოლერი**: *"თამაშის ხარისხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ოთხივე გუნდი დაახლოებით ერთ სიმაღლეზეა. ის, რომ ჩემპიონობის შანსი "ბაიერნსაც" გაუჩნდა, "ვერდერმა", "შალკემ" და "შტუტგარტმა" მხოლოდ თავის თავს უნდა დააბრალონ. ხოლო თუ დარჩენილი თამაშების მიხედვით ვიმსჯელებთ, უპირატესობას მაინც "შალკეს" ვანიჭებ. ეს გუნდი დანარჩენ სამთან შედარებით მაინც ნომერ პირველი ფავორიტია. თუ კონკრეტული პროგნოზი გსურთ, ჩემპიონი "შალკე" გახდება."*

**რანგნიკი**: *"სამი კვირის წინაც ვამბობდი, "ვერცხლის სინს" "შალკე" დაისაკუთრებს-მეთქი და მიუხედავად ამ გუნდის წარუმატებლობისა, აზრი დღემდე არ შემიცვლია. ვფიქრობ, რომ გელზენკირხენელები 34-ე ტურის შემდეგაც პირველ ადგილზე იქნებიან. თუკი მომდევნო ტურში "ჰანოვერთან" წააგებენ, ამაში ეჭვი უკვე სერიოზულად შემეპარება, მაგრამ, ჩემი აზრით, ასე არ მოხდება. "შალკე" წარუმატებელ სერიას ჰანოვერში დაასრულებს."*

**გოტფრიდ ლენცი**

დორტმუნდი

# მეტცელდერი ბორუსიიდან მიდის

## ულტიმატუმს ვადა გაუვიდა, BVB კრისტოფს ახალ კონტრაქტს აღარ სთავაზობს!

2007 წლის დასაწყისში დორტმუნდის "ბორუსიის" მცველ **კრისტოფ მეტცელდერს** კლუბის ხელმძღვანელებმა ულტიმატუმი წაუყენეს, დარჩები თუ არა ჩვენთან, 28 თებერვლამდე უნდა გადაწყვიტოო. როგორც იცით, 26 წლის მცველს მიმდინარე სეზონის დასასრულს კონტრაქტი უმთავრდება. ვესტფალიური კლუბის სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი** ამბობს, რომ "დორტმუნდმა" მეტცეს შესანიშნავი პირობები და გაცილებით გაუმჯობესებული ხელშეკრულება შესთავაზა. დღეს 6 მარტია, მეტცელდერს კი გადაწყვეტილება ისევ არ მიუღია. ამის გამო, გუშინ "ბორუსიის" ბოსებმა ოფიციალურად დაადასტურეს ის, რასაც ჩვენი გერმანელი კოლეგები ბოლო დღეებში ვარაუდობდნენ: BVB მეტცეს ახალ კონტრაქტს აღარ სთავაზობს, რაც იმას ნიშნავს, რომ სეზონის დასრულების შემდეგ კრისტოფი გუნდს დატოვებს და თავისუფალი აგენტი გახდება.

*"მეტცელდერს გრანდიოზული პირობები შევთავაზეთ და საკმაოზე დიდი დრო მივეცით იმისათვის, რომ ყველაფერი კარგად აეწონ-დაეწონა. მასთან გულახდილი საუბრებიც გვქონდა. გადავწყვიტეთ, რომ ლოდინს აზრი აღარ აქვს. სამწუხაროდ მეტცელდერი დაგვტოვებს,"* - აცხადებს ცორკი. ცნობილია, რომ კრისტოფის გადაბირება "იუვენტუსს" და "ინტერს" სურთ.

კრისტოფ მეტცელდერი "დორტმუნდში" 2000 წლიდან ირიცხება. ხსენებულ დროს ის "ბორუსიამ" რეგიონალლიგელი "პროისენ მიუნსტერიდან" 150 000 ევროდ შეიძინა. მას მერე მეტცე გერმანიის ნაკრებსაც გაუშინაურდა და მეტიც, ბუნდესგუნდის ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურა გახდა. მაგრამ ძალიან ხშირად იღებდა ტრავმებს, რის გამოც ბუნდესლიგაში მხოლოდ 117 თამაში აქვს ჩატარებული (2 გოლი). ყველაზე ხანგრძლივი იძულებითი პაუზა კრისტოფს 2003 წლის მარტიდან 2004 წლის დეკემბრამდე ჰქონდა, როცა ორი უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა. მიმდინარე სეზონში მან ბუნდესლიგის 10 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მისი საშუალო შეფასება 3.94 ბალია ("კიკერის" ვერსიით).

ამრიგად, მომავალი სეზონისთვის "დორტმუნდს" ახალი მცველის ძებნა მოუწევს. იყო საუბრები იმის შესახებ, რომ BVB ბილეფელდის "არმინიის" უკანახაზელ **ჰაიკო ვეშტერმანს** გადაიბირებდა, მაგრამ როგორც ირკვევა, ვესტფალიური კლუბის შეფები ვეშტერმანს მეტცელდერის ღირსეულ შემცვლელად არ მიიჩნევენ.



კრისტოფ მეტცელდერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ნუგზარ სუპარიძის ფოტოები

## ჭადრაკი



სოფიკო ხუხაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

# ვითხოვთ გინესის კომისიას!

მეოთხე ტური: მაია ლომინეიშვილი-მაკა ფურცელაძე 0.5:0.5, ნინო ბაციაშვილი-სალომე მელია 0.5:0.5, თამარ წერეთელი-სოფიო გვეტაძე 0:1, სოფიკო ხუხაშვილი-ლელა ჯავახიშვილი 0.5:0.5, ინგა ჭარხალაშვილი-ნინო ხურციძე 0.5:0.5, ნანა ძაგნიძე-მირანდა მიქაძე 1:0

| | |
|---|---|
| მაია ლომინეიშვილი | - 3.0 |
| სოფიკო ხუხაშვილი | - 3.0 |
| ინგა ჭარხალაშვილი | - 3.0 |
| ნანა ძაგნიძე | - 3.0 |
| სოფიო გვეტაძე | - 3.0 |
| ნინო ხურციძე | - 1.5 |
| ლელა ჯავახიშვილი | - 1.5 |
| ნინო ბაციაშვილი | - 1.5 |
| სალომე მელია | - 1.5 |
| თამარ წერეთელი | - 1.0 |
| მაკა ფურცელაძე | - 1.0 |
| მირანდა მიქაძე | - 1.0 |

მეხუთე ტურში: გვეტაძე-ლომინეიშვილი, ფურცელაძე-ბაციაშვილი, მელია-ძაგნიძე, ჯავახიშვილი-წერეთელი, ხურციძე-ხუხაშვილი, მიქაძე-ჭარხალაშვილი

უცნაურობათა ალმნუსხველ პოპულარულ გამოცემას, რომელსაც გინესის წიგნად ვიცნობთ, დიდი ინტერესით კითხულობენ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. იქ მოხვედრა ერთობ პრესტიჟულია და რას აღარ აკეთებენ ადამიანები, რომ ისტორიას შემორჩნენ. გინესის რეკორდსმენები ქართველებსაც არაერთი გვყავს და ეს არ არის ცუდი, თუმცა რამე დივიდენდს იძლევა-მეთქი, ვერ დავიჩემებ.

ამის გაგება რთული არ არის - საქართველოში გინესის წარმომადგენლობა არსებობს და როგორც ვიცი, ხელმძღვანელად ჩვენი კოლეგა, ბატონი **გვანჯი მანია** ჰყავს. ახლა იკითხავთ, რამ გამახსენა გინესიო და გიპასუხებთ - გუშინ **სოფიკო ხუხაშვილსა** და **ლელა ჯავახიშვილს** შორის ისეთი პარტია გათამაშდა, ბატონი გვანჯის ყურადღებას რომ იმსახურებს უთუოდ: პარტია ყაიმით დასრულდა და ამაში გასაკვირი არც არაფერია; მოჭადრაკეებმა 40 სვლა გააკეთეს და ესეც რა გასაგიჟებელი რამ არის, - მეორმოცე სვლაზე კი არა, პირველ და მეორე სვლაზე დაფიქსირებულა ყაიმები, საქმე ის გახლავთ, რომ 40 სვლა ისე გაკეთდა, თამაშიდან არც ერთი ფიგურა არ გასულა, ანუ არც ერთი კვლა არ განხორციელებულა (!).

დამეთანხმებით, მოვლენა უჩვეულოა და გინესის ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს, ამიტომ თუკი ეს ამბავი ბატონ გვანჯი მანიამდე მივა, ეგებ შეგვეხმიანოს და გაგვარკვიოს, - მსგავსი პრეცედენტი ყოფილა მსოფლიო ჭადრაკში თუ არა.

ისე, მე თუ მკითხავთ საერთო სურათს შევაფასებთ, ანუ ჩემპიონატის მონაწილეთა თამაშის ხარისხს გავითვალისწინებთ, სარეკორდოს ახლაც მრავალს შეამჩნევდა დაკვირვებული კაცი, თუმც ეჭვი მაქვს ამით ირლანდიელი ძმების საქმის გამგრძელებლების მოხიბვლა შევძლოთ. აქ წმინდა საჭადრაკო მიდი-მოდია და რომც არსებობდეს გინესის წიგნის მსგავსი კრებული, სადაც საჭადრაკო კაზუსები შევიდოდა, ჩვენი ჩემპიონატიდან მრავალი "მარგალიტი" შეემატებოდა, ხოლო თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ დასასრულამდე ჯერ კიდევ 7 ტურია დარჩენილი... ვინ იცის, რა მოხდება?

მეოთხე ტურში ამ კუთხით კვლავ გამოირჩა **მაია ლომინეიშვილი**, რომელმაც ეტლების ენდშპილში ზედმეტი ორი პაიკით ვერ შეძლო გამარჯვება. პოზიცია ისეთი იყო, **მაკა ფურცელაძე** "ზრდილობის გულისთვისღა" თუ აგრძელებდა წინააღმდეგობას თორემ რომც დანებებულიყო, მისი ყველაზე ახლო გულშემატკივარიც კი სიტყვას ვერ შეუბრუნდებოდა. ლომინეიშვილმა, გახსოვთ, წინა ტურში კუთი და მხედრით ვერ ჩასვა შამათი, ახლა ამხელა უპირატესობა ვერ გამოიყენა და კაცთა შორის საერთაშორისო ოსტატს ეს როგორ შეეფერება, თავად განსაჯეთ...

ამხელა არა, მაგრამ ერთი ზედმეტი პაიკის უპირატესობა კი გაანიავა **ნინო ხურციძემ** - აქაც ეტლების ენდშპილი მიიღეს და რატომღაც ნინომ ლაზიერის ფრთაზე პაიკი შესწირა, - იმ იმედით, რომ მეფის ფრთაზე გადამწყვეტ შეტევას განახორციელებდა. გათვლა არასწორი გამოდგა - პარტია ყაიმით დასრულდა.

ქულა გაიყვეს **ნინო ბაციაშვილმა** და **სალომე მელიამ**, თუმც აქ კაზუსების მხილველნი არ გავმხდარვართ - თავიდანვე გათანაბრდა პოზიცია და ქულის გაყოფაზე მხარეები იოლად შეთანხმდნენ.

შედეგიანად მხოლოდ ორი პარტია დასრულდა და აქ ძლიერი მხარის უპირატესობა თავიდანვე გამოიკვეთა. **ნანა ძაგნიძემ** მალევე დაამამათა **მირანდა მიქაძე, სოფიო გვეტაძემ** კი შავებით აჯობა **თამარ წერეთელს**. მოსაგებად გვეტაძეს ხარისხის შეწირვა დასჭირდა, წერეთელმა თავი ვერ დაიცვა და ჩემპიონატში მეორე მარცხი იგემა.

ლიდერების წაფორხილებამ ძაგნიძესა და გვეტაძეს დაწევის შანსი მიეცათ, - მეხუთე ტურის წინ სამი ქულა ხუთ მოჭადრაკეს აქვს, რაც კიდევ უფრო ძაბავს სატურნირო მდგომარეობას.

**ზვიად შათირიშვილი**



სოფიო გვეტაძე

## თავისუფალი ჭიდაობა



გიორგი გოგშელიძე

# გოგშელიძემ კურტანიძე დაამარცხა

ამ ფინალს ჭიდაობის ქართველი ქომაგი დიდი ხანია ელოდა. ცხადია, მისი გამართვა საქართველოს ჩემპიონატზე სურდათ, მაგრამ საოცნებო ორთაბრძოლა ტაშკენტში, „ოქროს დიდი პრიზზე" შედგა - 96 კილოგრამის ფინალში **გიორგი გოგშელიძე** და **ლუკა კურტანიძე** გავიდნენ. უპრინციპულესი შეხვედრა გოგშელიძემ მოიგო. სავარაუდოდ, ამით ბოლო წლების უმთავრესი საკონკურენცო დილემაც გადაიჭრა.

ტაშკენტში ჩვენებურთა მონაგარი 1 ოქროს, 2 ვერცხლის და 1-იც ბრინჯაოს მედალია. გოგშელიძე-კურტანიძის მონაგარზე უკვე მოგახსენეთ, მეორე ვერცხლი **რევაზ მინდორაშვილმა** (84) მოიპოვა, ბრინჯაოს კი მძიმეწონოსანი **ალექსი მოდებაძე** დაეუფლა. მინდორაშვილი დამარცხდა ფინალში სომხეთის სახელით მოასპარეზე **გენადი ლალიევთან**, ვისთვისაც არაერთხელ მოუგია, მოდებაძემ კი უზბეკ ოლიმპიურ ჩემპიონ **არტურ თაიმაზოვთან** წააგო.

ამ შეჯიბრების პარალელურად, თურქეთშიც ჩატარდა **იაშარ დოგუს** ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოდან მეორე ნაკრები გამოდიოდა. იქ მხოლოდ ერთი ბრინჯაო ვირგუნეთ, რომელიც **გიორგი მარსაგიშვილმა** (74) მოიპოვა. მედალოსანთა შორის კიდევ ორი ქართველია, თუმცა 74-ის ჩემპიონი **ემზარ ბედინეიშვილი** საბერძნეთის სახელით გამოდის, 84-ში კი მეორე ადგილზე გასული **დავით ბიჩინაშვილი** - გერმანიისა.

**ირაკლი თავაძე**

## მშვილდოსნობა

# ტრადიციული სამეული

ამ უქმეებზე ერევანმა მეათედ უმასპინძლა ნუნე აბრამიანის ხსოვნის ტურნირს, რომელშიც დიდი წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი მშვილდოსნები, განსაკუთრებით, ქალები.

ტრადიციულად, ამ შეჯიბრებაში ძირითადად აჭარის ნაკრები გამოდის, რადგან გუნდს იქაურები აფინანსებენ და ასე იყო ახლაც. ასევე ტრადიციულად, ქალთა ტურნირში სამივე მედალი ჩვენებს ერგოთ. **ხათუნა ნარიმანიძე** ჩემპიონი გახდა, **ასმათ დიასამიძე** მეორეზე გავიდა, ბრინჯაო კი **ოლგა ლადიგინამ** დაისაკუთრა. ბუნებრივია, გუნდური პირველობაც მათ დარჩათ. ჩვენებმა კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვეს - გოგონებში ნარიმანიძის შეგირდმა **ნათია ცინცაძემ** იმარჯვა.

სამწუხაროდ, ისევ სუსტად იასპარეზეს ვაჟებმა, რომლებიც პირად პირველობაში მედლებს ვერ შესწვდნენ, თუმცა გუნდურში მეორეზე გასვლა კი მოახერხეს.

ეს ტურნირი 13-17 მარტს იზმირში გასამართი ზამთრის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებასაც ისახავდა მიზნად. თუმცა მოსამზადებელ-სავარჯიშო უფრო ქალებისთვის იყო, თორემ ვაჟებს იქ გაცილებით მნიშვნელოვანი რამ უნდა დაემტკიცებინათ - იმსახურებდნენ თუ არა იზმირში წასვლას. ოციოდ დღის წინ მათ საქართველოს პირველობაზე ძალზე ცუდი შედეგები აჩვენეს და იზმირში მხოლოდ იმ შემთხვევაში წავიდოდნენ, თუ ერევანში მაჩვენებლებს გაზრიდნენ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და მათი წასვლაც საბოლოოდ გამოირიცხა. არადა, სომხეთში ნაკრების ორი კანდიდატი, საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **გელა ძნელაძე** და **დიმიტრი კირიჩენკო** ისროდა.

შეგახსენებთ, რომ იზმირში ქალთა ნაკრებში ნარიმანიძე, დიასამიძე და ლადიგინა გამოვლენ, ცინცაძე კი გოგონებში ისვრის. როგორც ვხედავთ, აქაც მხოლოდ აჭარის ნაკრებია წარმოდგენილი და სრულიად ლოგიკურად - ამ ტურნირსაც აჭარის სპორტის დეპარტამენტი აფინანსებს, ცინცაძეს კი მშობლიური ხელვაჩაურის რაიონი აგზავნის. მსოფლიოს ჭერქვეშა პირველობა არაოლიმპიურ დისტანციაზე ტარდება და ამიტომ თბილისში მისით არც სპორტის დეპარტამენტი დაინტერესებულა და არც ოლიმპიური კომიტეტი.

გოგონებში საასპარეზოდ საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაცია **ნატო ბაგრატიონის** გაგზავნას აპირებდა, მაგრამ ეს მისმა მწვრთნელი იუარა. ჯერ კიდევ გაურკვეველია, გამოვა თუ არა იზმირში ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, უკრაინის სახელით ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა**. სპორტსმენი გამოსვლის მომხრეა, რადგან იქ მისი ძველი და მომავალი მწვრთნელი **მონიკა სიმონსიც** იქნება უკრაინის ნაკრებთან ერთად, მაგრამ ფედერაცია ამას მიზანშეუწონლად მიიჩნევს და წასვლას არ ურჩევს. შეგახსენებთ, რომ საქართველოში ჩამოსვლამდე ესებუა სწორედ სიმონსთან ვარჯიშობდა ლვოვში და ორმხრივი შეთანხმებით, პეკინის ოლიმპიადისთვისაც მასთან მოემზადება.

**ირაკლი თავაძე**

ხვალ დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში იწყება საქართველოს თასის გათამაშება, რომელსაც ფედერაცია მსოფლიო თასის ანალოგიით, ახლებური სისტემით - სამ ეტაპად ატარებს. როგორც გითხარით, პირველი ხვალ იწყება და 8 მარტს ეძლვნება, მეორე აპრილში, ქუთაისში გაიმართება, დასკვნითი ტური კი ოქტომბერში, დედაქალაქში გაიმართება და თბილისობას დაემთხვევა. გუშინ სპორტის დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ფედერაციის ხელმძღვანელებმა სწორედ ამ ტურნირზე და ნაკრების უახლოეს გეგმებზე ისაუბრეს.

თასის ევროპული მოდელით ჩატარება ფედერაციის ერთადერთი ნოვაცია როდია - წლეულს სპორტსმენთა ლიცენზირებაც შემოიღეს - რესპუბლიკურ ტურნირებში გამოსასვლელად გარკვეული ნორმატივია საჭირო. ცხადია, შიდატურნირებში გამოსვლა ნაკრებში მოსახვედრად აუცილებელი წინაპირობაა, ანუ შედეგების გაუმჯობესების გარეშე ნაკრებში მოხვედრა შეუძლებელია. ლიცენზირების შედეგად, ხვალ დასაწყებ ტურნირში მხოლოდ 19 მშვილდოსანი ჩაებმება.

საქართველოს თასი

# სამ ეტაპად

წლეულს მშვილდოსანთათვის უმნიშვნელოვანესი ტურნირი 7-15 ივლისს გერმანულ ლაიპციგში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატია, სადაც პეკინის ოლიმპიადის საგზურს 44 მსროლელი მიიღებს, თუმცა ხელმოცარულებს შანსი კვლავ რჩებათ - გაისად, ევროპის ჩემპიონატზე. ფედერაცია სამივე ლიცენზიის მოპოვებას გეგმავს, რაც ოლიმპიადაზე გუნდურ პირველობაზე გამოსვლის უფლებასაც მოგვცემს.

ლაიპციგამდე ჩვენები აპრილ-მაის მიჯნაზე, იტალიურ ვარეზეშიც გამოვლ მსოფლიო თასზე. თურმე ვარეზე მსოფლიო 9 ჩემპიონით იწონებს თავს და იქაურები ი სახურებენ ამ რანგის ტურნირს. სავარაუდოდ, ჩვენები მაისის ბოლოს ანთალიის მსოფლიო თასზეც გამოვლენ.

**ირაკლი თავაძე**

**საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მოფარიკავე, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, იუნიორთა შორის სსრკ ჩემპიონი, ქალთა შორის საბჭოთა კავშირის პირველობის მესამე პრიზიორი, სპორტის ოსტატი**

**მაყვალა კოხრეიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური
კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაგრძელება. დასაწყისი
იხ. ლელო № 56 (2006)

# ქართული სპორტი 1971-1980 წლებში



ქეთევან ლოსაბერიძე



შოთა ხაბარელი



ვახტანგ ბლაგიძე

**1980 წელს, მსოფლიო სპორტის ისტორიაში ყველაზე ღირსსახსოვარი მოვლენა იყო მოსკოვში გამართული ზაფხულის XXII ოლიმპიური თამაშები. ღირსსახსოვარი და... საგანგაშოც. აღმავლობის გზით მიმავალ, აღორძინებულ ოლიმპიურ თამაშებში პირველად გაჩნდა ბზარი. როგორც ცნობილია, 1979 წელს საბჭოთა კავშირმა თავისი სამხედრო ძალები შეიყანა ავღანეთში. პროგრესულმა კაცობრიობამ ეს ფაქტი აგრესიად ჩათვალა. საპასუხოდ, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, პოლიტიკაში გარიეს სპორტი. აშშ-ის მოწოდებით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 64-მა წევრმა ქვეყანამ უარი განაცხადა მოსკოვის ოლიმპიადაზე თავიანთი სპორტული დელეგაციების გაგზავნაზე. საბოლოოდ საბჭოთა დედაქალაქში 80 ქვეყნის 5179 სპორტსმენი შეიკრიბა. თამაშები გაიმართა 10 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით...**

ოლიმპიადის გახსნამდე სამი დღით ადრე, იქვე, მოსკოვში, გაიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია. იმ დღეს დასრულდა ამ ორგანიზაციაში ლორდ **კილანენის** მოღვაწეობის 8-წლიანი ეტაპი. მის ნაცვლად, სოკ-ის პრეზიდენტად აირჩიეს დიპლომატი **ხუან ანტონიო სამარანჩი**.

საქართველოდან ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა 16 სპორტსმენი. ოქროს მედლები მოიპოვეს **ქეთევან ლოსაბერიძემ** (მშვილდოსნობა), **შოთა ხაბარელმა** (ძიუდო) და **ვახტანგ ბლაგიძემ** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა); მეორე პრიზიორები გახდნენ **ვიქტორ სანეევი** (მძლეოსნობა, სამხტომი), **საიდა გუმბა** (შუბის ტყორცნა), **ალექსანდრე ანპილოგოვი** (ხელბურთი), **თემურ ხუბულური** (ძიუდო); ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ **ნიკოლოზ დერიუგინს** (კალათბურთი), **თენგიზ სულაქველიძეს** (ფეხბურთი), **ალექსანდრე ჩივაძეს** (ფეხბურთი), **რევაზ ჩელებაძეს** (ფეხბურთი), **ლიანა ცოტაძეს** (წყალში ხტომა, კოშკურა); სასტენდო სროლაში მეცხრე იყო **თამაზ იმნაიშვილი**, მოცურავე **ირინა გერასიმოვა** 4X100 მ. ესტაფეტაში, წინასწარ გაცურვაში წესების დარღვევისთვის ასპარეზობიდან მოიხსნა, მოკრივე **დავით კვაჭაძე** (81), მეოთხედფინალიდან გამოეთიშა შეჯიბრებას, ძიუდოისტი **თამაზ ნამგალაური** კი მეორე წრიდან.

როგორც ხედავთ, საქართველოდან უმედლოდ მხოლოდ ოთხი სპორტსმენი დარჩა. აქვე ვიტყვით, რომ ოლიმპიური მედლები გათამაშდა სპორტის 24 სახეობაში. ჯილდოები ერგო მხოლოდ 41 ქვეყნის წარმომადგენელს. საქართველომ, ოქროს მედლების რაოდენობით, არაოფიციალურად მე-13 ადგილი გაიყო დიდ ბრიტანეთთან, მედლების საერთო რაოდენობით კი იმავე ადგილზე დარჩა და მხოლოდ თითო მედლით ჩამორჩა დიდ ბრიტანეთს, იტალიასა და კუბას. XXII ოლიმპიადაზე დამყარდა 74 ოლიმპიური და 36 მსოფლიო რეკორდი.

იმავე წელს, ლეიკ-პლესიდში ჩატარდა ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები. ამ ოლიმპიადაზე საქართველოს წარმომადგენელი არ ჰყოლია.

ახლა კი 1980 წელს ძირითად ასპარეზობებში საქართველოს სპორტსმენთა მიღწევებს გადავავლოთ თვალი.

ძიუდო. სპორტის ამ სახეობაში საქართველომ მეორე ოლიმპიური მედალი მოიპოვა **შოთა ჩოჩიშვილის** შემდეგ, რომელსაც ეს ჯილდო 1972 წელს (მიუნხენი) ხვდა წილად. ამჯერად, საპატიო ოლიმიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა **შოთა ხაბარელი**. ამ დიდ წარმატებამდე ხაბარელი გუნდთან ერთად ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის, სსრკ პირველობაზე კი, პირად ჩათვლაში, ბრინჯაოს მედალსაც დაეუფლა. ოლიმპიადის მეორე პრიზიორი **თემურ ხუბულური** იმ წელს სსრკ პირველობაზეც მეორე იყო. **რამაზ ხარშილაძე** (95) ევროპაში მესამე ადგილზე გავიდა, მოიგო სოცქვეყნების მეგობრულ არმიათა ჩემპიონატი და სსრკ პირველობა. **დილარ ხაბულიანმა** (78) სსრკ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, სტუდენტთა მსოფლიო თამაშებზე - მესამე; **მალხაზ ბერუაშვილი** (95) პირველი იყო ფერღანის საკავშირო და თბილისის საერთაშორისო ტურნირებზე, სსრკ პირველობაზე ახალგაზრდებს შორის და ევროპის გუნდურ ჩემპიონატში სსრკ ნაკრებთან ერთად. ახალგაზრდულ საკავშირო შეჯიბრებაში აბსოლუტურ წონაშიც გავიდა ტატამზე და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. მეორე საპრიზო ადგილზე გასვლით დაასრულა სსრკ პირველობა **თამაზ კარიაულმა** (71), თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ის მესამე ადგილს დასჯერდა. ამავე ტურნირში და ასევე 71 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილზე გავიდა **თამაზ ნამგალაური**. საკავშირო პირად-გუნდური და ახალგაზრდული პირველობა მოიგო **რამაზ მარგველანმა** (65), **აკაკი კიბორძალიძე** აქ მეორე იყო აბსოლუტურ წონაში, მძიმეში კი მესამე, **გია თენაძე** - მესამე, **ჯემალ მჭედლიშვილი** (86) - მეორე. მანვე, აბსოლუტურ წონაში საკავშირო ტურნირიც მოიგო. **ნოდარ ნუგზარიშვილმა** (+95) მესამე ადგილი დაიკავა სსრკ პირველობაზე, **მალხაზ ალბორიშვილს** (78) თბილისის საერთაშორისო ტურნირმა ვერცხლის მედალი მოუტანა.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ამ წელს ქართველმა ფალავნებმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს. უპირველესად, უნდა აღინიშნოს მოსკოვის ოლიმპიადაზე **ვახტანგ ბლაგიძის** მიერ მოპოვებული ოქროს მედალი. ვახტანგმა ბრწყინვალედ მოიგო აგრეთვე სსრკ და ევროპის პირველობები, ასევე, გფრ-ის საერთაშორისო ტურნირი. **მიხეილ სალაძე** (100) პირველი იყო ი. პოდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე და მეორე საპრიზო ადგილს დასჯერდა სსრკ პირველობაზე. იგივე ასპარეზობები ანალოგიური შედეგით დაასრულა **თემურ აფხაზავამაც** (82). ხსენებულ ტურნირზე უძლიერესის სახელი მოიპოვეს **ავთანდილ მაისურაძემ** (მძიმე) და **თემურ ყაზარაშვილმა** (48). შემდეგ, თემური მსოფლიო თასსაც დაეუფლა სსრკ ნაკრებში, **ნიკოლოზ ბაბიაშვილი** (100) სსრკ პირველობის მესამე პრიზიორი გახდა, **გურამ მაჭარაშვილმა** (62) პოლონეთის, **ლევან მეხეშიძემ** (74) კი ვიტებსკის საკავშირო ტურნირზე იზეიმეს წარმატება. ჭაბუკთა საკავშირო პირველობა მოიგეს **გ. მერაბიშვილმა** (70), **გ. ბარბაქაძემ** (75) და **გ. გედეხაურმა** (97).

თავისუფალი ჭიდაობა. ეს არის ის პერიოდი, როცა ქართველ ფალავანთა ლიდერი **ლევან თედიაშვილი** (90) ასპარეზობებს ხალიჩაზე გამოსვლას, ღირსეული შემცვლელები კი არა მხოლოდ მის, არამედ სხვა წონებშიც, ჯერ გამოკვეთილად, არ ჩანან. ფაქტი მით უფრო დასანანი იყო, რომ მოსკოვის ოლიმპიადაზე, საქართველოდან 16 მონაწილეს შორის, არც ერთი არ იყო თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა წარმომადგენელი - პირველად, 1952 წლიდან მოყოლებული. წინა ორ ოლიმპიადაზე (1972, 1976) თედიაშვილს ოქროს მედლები ჰქონდა მოპოვებული და კიდევ შეეძლო, ებრძოლა მესამე მედლისთვის, მაგრამ მოსკოვის ოლიმპიადაზე ამის შესაძლებლობა აღარ მისცეს. კონკურენცია დიდი იყო - ლევანის წონაში მინიმუმ ხუთ ფალავანს ჰქონდა მოსკოვში ოლიმპიური ოქროს მოპოვების შანსი...

იმ წელს, ლევან თედიაშვილი სსრკ პირველობის მეორე პრიზიორი იყო. სხვა ჩვენი ათლეტებიდან გამოირჩეოდა **გიორგი მაკასარაშვილი** (74), რომელმაც მოიგო თბილისის საერთაშორისო ტურნირი, სსრკ და ევროპის პირველობებზე კი მესამე იყო. დანარჩენებმა თავის გამოჩენა შეძლეს მხოლოდ საერთაშორისო ტურნირებში. ბულგარეთში გაიმარჯვეს **ვ. გელაშვილმა** (90) და **ზ. ვარდოშვილმა** (მძიმე); მონღოლეთში - **გ. ქენქაძემ** (62), **ო. ყაჭაშვილმა** (74) და **მ. მერმანიშვილმა** (მძიმე). საბჭოთა პროფკავშირების პირველობა მოიგეს **მ. ყლაჯეიშვილმა** (74), **ა. მაისურაძემ** (მძიმე) და **მ. მერმანიშვილმა** (მძიმე). იმედს იძლეოდნენ ჭაბუკები. თანატოლთა საკავშირო ტურნირში პირველობა მოიპოვეს **ლ. ხაბელოვმა** (87) და **ვ. დოლიძემ** (75); მეორე პრიზიორები გახდნენ **ნ. მუსოიანი** (48), **ზ. გიკაშვილი** (70), **ზ. ბერაია** (მძიმე), მესამე - **ვ. სახლთხუციშვილი** (48), **ჯ. ბეთეევი** (56), **დ. გიორგაძე** (60), **გ. გალდავა** (97), **კ. ლომიძე** (მძიმე), **გ. ჭარხალაშვილი** (მძიმე).

სამბო. აქ მხოლოდ ერთი მედალი გვერგო: სსრკ პირველობაზე მესამე იყო **სოსო როსტიაშვილი** (48).

ქართული ჭიდაობა. საქართველოს 1980 წლის ფალავნის ტიტულს დაეუფლა ახმეტელი **ტარიელ მუთოშვილი**.

მძლეოსნობა. **ვიქტორ სანეევისა** და **საიდა გუმბას** გარდა, 1980 წელს კარგ შედეგებს მიაღწიეს **სერგო ახვლედიანმა** (სამხტომი), რომელმაც მეხიკოში იუნიორთა საერთაშორისო შეჯიბრება და სოჭში გამართული ახალგაზრდული საკავშირო პირველობა მოიგო. **ოლეგ სტრიჟაკოვს** "პრავდის" პრიზზე საკავშირო კროსში ხვდა პირველობა ჭაბუკთა შორის, **ნათელა ლაბაძემ** გაიმარჯვა საკავშირო შეჯიბრებაში ბადროს ტყორცნაში.

ველოსპორტი. საკავშირო სარბიელზე კვლავ იმარჯვებს **პეტრე ჩევარდოვი** 4 კმ-ზე გამოდევნებით რბოლაში. **იური ზემენკოვი** პირველი მიდის ფინიშთან საერთაშორისო ტურნირზე - "ექვსი დღე თბილისში". **ემზარ გელაშვილი** (სპრინტი) მესამე ადგილზე გადის იუნიორთა მსოფლიო პირველობაზე.

ტყვიით სროლა. სსრკ პირველობაში იმარჯვებენ **თ. ლაკია** და **ს. სამოილენკო**.

კრივი. **დავით კვაჭაძე** (81) სსრკ პირველობაზე ოქროს მედალს ეუფლება, **მურმან თაქთაქიშვილი** (71) კი ბრინჯაოსას.

თანამედროვე ხუთჭიდი. ალმა-ათაში საერთაშორისო ტურნირის მესამე პრიზიორი გახდა თბილისელი **იგორ ბრიზგალოვი**.

სასტენდო სროლა. სსრკ თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრები მესამე ადგილზე გადის. 1972 წლიდან მოყოლებული, მრგვალ სტენდზე სროლაში მეშვიდე ოქროს მედალი მოიპოვა **ტარიელ ჟღენტმა**, სსრკ თასზე კი მესამე იყო. ევროპის პირველობაზე, ასევე მრგვალ სტენდზე, როგორც პირად, ისე გუნდურ ასპარეზობაში, გაიმარჯვა **თამაზ იმნაიშვილმა**. მასვე, საკავშირო ჩემპიონატში მეორე ადგილი ხვდა წილად.

მშვილდოსნობა. **ქეთევან ლოსაბერიძემ**, გარდა ოლიმპიური თამაშებისა, გაიმარჯვა იტალიის საერთაშორისო ტურნირშიც, მეორე იყო სსრკ თასზე, ხოლო მესამე - სსრკ ჩემპიონატში (მრავალჭიდი).

წყალში ხტომა. ოლიმპიური ბრინჯაოს მედლის მოპოვებამდე, **ლიანა ცოტაძე** პირველი იყო კოშკურიდან ხტომაში სსრკ ზამთრის ჩემპიონატში, სსრკ ჩემპიონატში, ლას-პალმასისა და გფრ-ის საერთშაორისო ტურნირებში. **სერგო შალიბაშვილმა** კი, ასევე კოშკურიდან ხტომაში, სსრკ ზამთრის ჩემპიონატი, სსრკ თასი, ლას-პალმასის და გფრ-ის საერთაშორსო ტურნირები მოიგო.

ცურვა. **ირინა გერასიმოვა** სსრკ-ის მოცურავეთა ოლიმპიურ შესარჩევ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გადის 200 მ. თავისუფალი სტილით ცურვაში, 100 და 200 მ-ზე იმარჯვებს სსრკ პირად-გუნდურ პირველობაში.

ფარიკაობა. საფარიკაო ბილიკზე მყარად მკვიდრდება **ვლადიმერ აფციაური**, რომელიც რაპირაში კიევის საერთაშორისო ტურნირში მეორე ადგილზე გადის, ალმა-ათაში საკავშირო თასის გათამაშებაში - მესამეზე. ახალგაზრდებს შორის ხმლით ასპარეზობაში სსრკ პირველობის ვერცხლის მედალს ეუფლება **დავით თურქია**.

სპორტული ტანვარჯიში. **მალხაზ თათარაძე** მესამე ადგილზე გადის სსრკ პირველობაზე ბჯენით ხტომებში. საქართველოს ნაკრები მონაწილეობს იუგოსლავიის საერთაშორისო ტურნირში და იკავებს მესამე საპრიზო ადგილს, **ლია ბოდაველი** კი, ბჯენით ხტომებში, თავისუფალ ვარჯიშსა და მრავალჭიდში იმარჯვებს.

მხატვრული ტანვარჯიში. **ირინა ჟემჩუჟინა** და **მარინე ხალილოვა** 9 მედალს (სამი ოქროსი, ექვსი ბრინჯაოსი) იხვეჭენ პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე. ამასთან, ჟემჩუჟინამ მოიგო სსრკ თასი, მეორე იყო ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფურ ვარჯიშში, მესამე - სოფიის საერთაშორისო ტურნირში გურზებით და ნაკრებთან ერთად. **ირინე გაბაშვილს** მოსკოვში, "სოვეტსკი ჟენშჩინას" პრიზზე საერთაშორისო ტურნირში წილად ხვდა მესამე ადგილი.

აკრობატიკა. ევროპისა და მსოფლიო პირველობებში ბადალი არ ჰყავდა საქართველოს სამეულს - **ნანა კიკილაშვილს, მანანა მნათობიშვილსა** და **მაია შილაკაძეს**. პირად პირველობაში იმარჯვებს **სვეტლანა მკრტჩიანი-ცირანიშვილი**.

ფეხბურთი. თბილისის "დინამოს" შინ ჩამოაქვს რუმინეთის საერთაშორისო ტურნირის მთავარი პრიზი, გადის სსრკ თასის გათამაშების ფინალში (მარცხი "შახტიორთან"), მესამე ადგილს იკავებს ესპანეთის საერთაშორისო ტურნირში: სსრკ ნაკრები, რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ **ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე** და **რევაზ ჩელებაძე**, მოსკოვის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ხდება. "ტყავის ბურთის" პრიზზე საკავშირო გათამაშებაში, საშუალო ასაკში, მეორე ადგილზე გადის თბილისის "დილა", რუსთავის "ივერია" კი უმცროს ასაკში - მესამეზე.

ხელბურთი. თბილისის "ბურევესტნიკი" სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ხდება.

წყალბურთი. თბილისში გამართულ საერთაშორისო ტურნირში საქართველოს ნაკრები მესამე იყო. ახალგაზრდული ნაკრები კი საკავშირო პირველობაზე ბრინჯაოს მედალს ეუფლება.

ჩოგბურთი. გრძელდება **ალექსანდრე მეტრეველის** გამარჯვებათა სერია. ის სსრკ ჩემპიონის ტიტულს ეუფლება წყვილთა და ერთეულთა თანრიგში, **თეიმურაზ კაკულიასთან** ერთად იგებს სსრკ ზამთრის პირველობას.

ჭადრაკი. მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა მოიგო საქართველოს ნაკრებმა - **მაია ჩიბურდანიძის, ნონა გაფრინდაშვილის, ნანა ალექსანდრიასა** და **ნანა იოსელიანის** შემადგენლობით. ფიდე-მ დიდოსტატის წოდება მიანიჭა ნანა იოსელიანსა და **ნინო გურიელს**; **თამარ ხუგაშვილი** მეორე იყო გდრ-ში ქალთა საერთაშორისო ტურნირში; **ზურაბ სტურუამ** მოიგო ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო ტურნირი; **ზურაბ აზმაიფარაშვილმა** ჰოლანდიაში მესამე ადგილი დაიკავა ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე.

1980 წლის სპორტული სეზონის ლაურეატთა ათეული ასე გამოიყურებოდა: 1. **ქეთევან ლოსაბერიძე**, 2. **ვიქტორ სანეევი**, 3. **მოჭადრაკე ქალთა ნაკრები** (მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი), 4. **შოთა ხაბარელი**, 5. **ვახტანგ ბლაგიძე**, 6. **ალექსანდრე ჩივაძე**, 7. **საიდა გუმბა**, 8. **ლიანა ცოტაძე**, 9. **ნიკოლოზ დერიუგინი**, 10. **აკრობატთა სამეული** (ნ. კიკილაშვილი, მ. მნათობიშვილი, მ. შილაკაძე).

წლის 10 საუკეთესო მწვრთნელი (ანბანის მიხედვით): **ნ. ახალკაცი** (ფეხბურთი), **ი. გიგაური** (მძლეოსნობა), **ვ. გურგენიძე** (აკრობატიკა), **ი. გუტიაკულოვი** (წყალში ხტომა), **ლ. ვეჩხაიზერი** (ცურვა), **ზ. მაჩხანელი** (სასტენდო სროლა), **გ. მაჭავარიანი** (ხელბურთი), **ჯ. მეგრელიშვილი** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **ო. ნათელაშვილი** (ძიუდო), **ომარ ფხაკაძე** (ველოსპორტი).

*(გაგრძელება იქნება)*

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ლეგიონერები. მიმოხილვა

# მარკოიშვილმა ვარსკვლავი მოწყვიტა



მარკოიშვილმა ფარქვეშ იფრინა

**გასულ კვირას ქართველი ლეგიონერების კლუბებმა ევროტურნირებსა და შიდა ჩემპიონატებში განსხვავებულად ითამაშეს: ევროპაზე შერცხვნენ - 5-დან და 4 მატჩი წააგეს, ხოლო ჩემპიონატებში პირიქით - 5-დან 4 შეხვედრა მოიგეს.**

### ადრიატიკა

ევროთასებზე გამონაკლისი **მანუჩარ მარკოიშვილის** "ოლიმპია" გამოდგა, რომელმაც ადრიატიკის ლიგაში სერბეთის "ცრვენა ზვეზდა" 88:82 დაამარცხა. თუმცა არც ეს უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოლიმპიელებს ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ფინალურ ოთხეულში გასვლის შანსი აქვთ დაკარგული და ეს გამარჯვება სატურნირო მდგომარეობაზე გავლენას ვერ მოიხდენს. სამაგიეროდ მანუჩარ მარკოიშვილის იმიჯზე დიდად მოქმედებს მის მიერ ეფექტურად ჩატარებული მატჩები. მას შემდეგ რაც გუნდიდან კაპიტანი **მარკო მილიჩი** წავიდა, მანუ **ტეემუ რანიკოსთან** ერთად "ოლიმპიის" ლიდერად იქცა. ამ დუეტმა ეს "წითელ ვარსკვლავებთანაც" დაამტკიცა: რანიკომ 27 ქულა ჩააგდო, ხოლო მარკოიშვილმა - 25 (9-დან 7 ორქულიანი და 11-დან 11 საჯარიმო). ჩვენიანის მოხსნა პასების რაოდენობას ცხრილშიც გაეცნობით, მაგრამ იქ არ წერია, რომ მანუჩარის წინააღმდეგ სერბები ცხრაჯერ დაჯარიმდნენ. შეიძლება სწორედ ამიტომ ქართველის მარგი ქმედების კოეფიციენტმა ფინელი რანიკოსას აჯობა - 33, 27-ის წინააღმდეგ.

ადრიატიკის ლიგის დასრულების შემდეგ "ოლიმპია" სლოვენიის ჩემპიონატში მეორე ეტაპიდან ჩაერთვება.

**ადრიატიკის თასი. 21 ტურის შემდეგ.** 1. ციბონა (ხორვატია)-18 მოგება, 2. პარტიზანი (სერბეთი)-18, 3. ფმპ (სერბეთი)-18, 4. ჰემოფარმი (სერბეთი)-16 / 5. ბუდუჩნოსტი (სერბეთი)-14, 6. ზადარი (ხორვატია)-13, 7. ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)-12, 8. ჰელიოსი (სლოვენია)-12, 9. **ოლიმპია (სლოვენია)-11**, 10. ბოსნა (ბოსნია)-9, 11. ზაგრები (ხორვატია)-8, 12. შიროკი (ბოსნია)-8, 13. სპლიტი (ხორვატია)-2, 14. სლოვანი (სლოვენია)-2.

### იტალია

8 თებერვლის შემდეგ **ვლადიმერ ბოისა** და **ტაირონ ელისი** ერთმანეთს მეორედ დაუპირისპირდნენ. მაშინ ვოვას "მონტეპასკიმ" ელისის "ნაპოლი" იტალიის თასის მეოთხედფინალიდან გამოაგდო. გასულ შაბათს სიენელებმა მეტოქე კვლავ დაამარცხეს, თანაც ნეაპოლში. მაგრამ ბოისას თანაგუნდელებს ამისთვის ოვერტაიმი დასჭირდათ - 90:88.

ელისი მასპინძელთა რიგებში გამორჩეული ფიგურა იყო და გადამწყვეტ მომენტში არაერთი ქულაც ჩააგდო. ხოლო ვლადიმერ ბოისას მწვრთნელი არ ენდო - მხოლოდ 9 წუთი ათამაშა. ამ მცირე დროში ვოვამ დაცვაში დგომის გარდა ვერაფერი მოასწრო.

ნეაპოლში მიღწეული წარმატებით "მონტეპასკიმ" იტალიის პირველობაზე ლიდერობა განიმტკიცა, ხოლო "ნაპოლიმ" მეოთხე ადგილი "ბენეტონს" დაუთმო.

**იტალიის ჩემპიონატი. 21 ტურის შემდეგ.** 1. მონტეპასკი-18 მოგება, 2. ვიდივიჩი-14, 3. მილანი-14, 4. ბენეტონი-13, 5. **ნაპოლი-12**, 6. ვარეზე-12, 7. რომა-12, 8. პრემიატა-11, 9. უპეა-11, 10. კანტუ-10, 11. სკაფატი-10, 12. კლიმამიო-10, 13. ბიელა-10, 14. უდინე-9, 15. სივილია-7, 16. აველინო-6, 17. რეჯო ემილია-6, 18. ლივორნო-4.

### ესპანეთი

წინა ტურში არცთუ სახელოვან კლუბებთან წაგების შემდეგ "ესტუდიანტესმა" და "კახა სან ფერნანდომ" საკუთარი ქომაგის წინაშე რეაბილიტირება მოახერხეს. **სანიკიძის** თანაგუნდელმა სტუდენტებმა "ალიკანტეს" სძლიეს, ხოლო **ცქიტიშვილის** "კახამ" აუტსაიდერი "ბრუესა" დაიბრიყვა.

ვიქტორმა ოდენ 5 წუთი ითამაშა და ერთადერთი ფოლით "გამოირჩა", ხოლო ნიკამ სამიანებში იტრიალა: 13 წუთში მეტოქის კალათის მიმართულებით სამჯერ ისროლა (2 ორქულიანი და 1 საჯარიმო), აქედან ერთი ორქულიანი ააცილა და 3 ქულას ამდენივე დაცვითი მოხსნა მიამატა.

მომდევნო ტურში სევილიელებს სერიოზული გამოცდა ელით - "კახას" "ბარსელონა" უმასპინძლებს. ხოლო "ესტუდიანტესმა" უახლოესი მატჩი 6 მარტს უნდა გამართოს - ევროთასის მეოთხედფინალში მათი მეტოქე მოსკოვის ოლქის "დინამო" იქნება.

**ესპანეთის ჩემპიონატი. 23-ე ტური.** 1. რეალი-19 მოგება, 2. ტაუ-18, 3. ხირონა-16, 4. ხუვენტუდი-14, 5. ბარსელონა-14, 6. უნიკახა-13, 7. გრან კანარია-12, **8. კახა-12**, 9. ვალენსია-12, 10. ფუენლაბრადა-10, 11. მურსია-10, 12. გრანადა-10, 13. **ესტუდიანტესი-10**, 14. ალიკანტე-9, 15. ბილბაო-8, 16. ბრუესა-7, 17. ვალიადოლიდი-7, 18. მენორკა-6.

### საფრანგეთი

ორკვირიანი შესვენების შემდეგ მოედანს დაუბრუნდა ვახტანგ ნაცვლიშვილი, რომელმაც "გრავლენთან" "დიჟონის" გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. იგი თამაშში პირველივე წუთებიდან აქტიურად ჩაერთო და უკანასკნელ წუთებზე მნიშვნელოვანი ქულები ჩაიწერა. როგორც ჩანს, ვატომ ფეხის ტრავმის მიუხედავად ფორმის შენარჩუნება მაინც მოახერხა" - ეს აბზაცი "დიჟონის" ოფიციალურ ვებგვერდიდან ამოვწერეთ. იმასაც გეტყვით, რომ ფრანგები ვახტანგ ნაცვლიშვილს მხოლოდ ვატოთი მოიხსენიებენ. მის ნამდვილ სახელსა და გვარს მხოლოდ მატჩების ოქმებში ვკითხულობთ.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ "დიჟონმა" "გრაველინი" 88:83 დაამარცხა და ვატომ 27 წუთში 14 ქულა და 7 მოხსნა მოაგროვა.

თუ ასე განაგრძო, "დიჟონი" საფრანგეთის ჩემპიონატის ფლეი ოფში (საუკეთესო თორმეტეულში) აუცილებლად მოხვდება. თუმცა გასავარდნ ზონასთან დიდი მანძილი ნამდვილად არ აშორებს.

**საფრანგეთის ჩემპიონატი. 23-ე ტური.** 1. როანი-17 მოგება, 2. ნანსი-16, 3. შალონი-16, 4. სტრასბური-14, 5. ორლეანი-14, 6. პოორტეზი-13, 7. ლე მანი-13, 8. შოლე-13, **9. დიჟონი-12**, 10. ვილერბანი-12, 11. ლე ავრი-12, 12. გრავლენი-12 / 13. პარიზი-11, 14. კლერმონი-8, 15. ბეზანსონი-8, 16. ტულონი-7, 17. ბურჟი-6, 18. რეიმსი-3.

ვაჟა სიმონიშვილი

| მოთამაშე | ტურნირი | თარ. | მატჩი | წ. | მ | პ | ჩ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | NBA | 26.02 | დალასი-ატლანტა 110:87 | 33 | 9 | 1 | 0 | 24 |
| | | 28.02 | ნიუ ორლეანი-ატლანტა 107:100 | 30 | 3 | 1 | 0 | 13 |
| | | 02.03 | ვაშინგტონი-ატლანტა 93:92 | 22 | 7 | 2 | 1 | 9 |
| | | 03.03 | ატლანტა-ნიუ იორკი 100:104 | 40 | 9 | 1 | 2 | 12 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესპანეთი (ჩ.) | 03.03 | ესტუდიანტესი-ალიკანტე 90:81 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნიკა ცქიტიშვილი | ესპანეთი (ჩ.) | 04.03 | კახა-ბრუესა 86:79 | 13 | 3 | 0 | 0 | 3 |
| ვატო ნაცვლიშვილი | საფრანგეთი (ჩ) | 03.03 | დიჟონი-გრაველინი 88:83 | 27 | 7 | 1 | 0 | 14 |
| ვლადიმერ ბოისა | ულების თასი | 27.02 | უნიქსი-მონტეპასკი 83:53 | 21 | 4 | 1 | 0 | 4 |
| | იტალია (ჩ.) | 03.03 | ნაპოლი-მონტეპასკი 88:90 | 9 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ტაირონ ელისი | იტალია (ჩ.) | 03.03 | ნაპოლი-მონტეპასკი 88:90 | 30 | 1 | 5 | 0 | 13 |
| მანუ მარკოიშვილი | ადრიატიკა | 03.03 | ოლიმპია-ცრვენა ზვეზდა 88:82 | 36 | 6 | 3 | 2 | 25 |
| გიორგი ცინცაძე | ბალტიის თასი | 27.02 | როკი-პანევეჟისი 79:80 | არ უთამაშია | | | | |
| სერგო ათუაშვილი | ბალტიის თასი | 27.02 | სკალაი-ნეპტუნასი 90:82 | 7 | 5 | 1 | 0 | 2 |
| ტატო ვაშაკიძე | ბალტიის თასი | 03.03 | სკალაი-ნევეჟისი 88:67 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | ლატვია (ჩ.) | 01.03 | ლიეპაია-ასკ 91:73 | 21 | 5 | 2 | 1 | 9 |
| ნოდარ შენგელია | ლიტვა (II ლიგა.) | 03.03 | [illegible] 88:84 | 14 | 3 | 0 | 0 | 4 |



ცქიტიშვილი ბრუესასთან მატჩში

## ჩოგბურთი

### უკუსვლა წინსვლის წინ

გუშინ ATP-ის და WTA-ის ახალი რეიტინგ-ლისტები გამოქვეყნდა. **ლადო ჩიხლაძეს** ჯერ არ დარიცხვია შვეიცარიულ ლოიგერნში გამარჯვებისთვის მიღებული 12 ქულა, სამაგიეროდ მას შარშან თებერვლის ბოლოს პოლონურ ტურნირში მიღებული 4 ქულა ჩამოაკლდა. ასე რომ, ლადომ რეიტინგში ჯერჯერობით უკან დაიხია - 24 ადგილით და ახლა მსოფლიოს 586-ე ჩოგანია 38 ქულით. ლადო ლოიგერნიდან შორს არ წასულა, ჯუჯა-სახელმწიფო ლიხტენშტაინის დედაქალაქ ვადუცს ჩააკითხა, სადაც მორიგ 10-ათასიან ტურნირში ითამაშებს. ლიხტენშტაინში ოდნავ უფრო ძლიერი შემადგენლობა მოგროვდა ვიდრე ლოიგერნში, სადავარუდო, ლადო განთესილთა შორის ვერ მოხვდება. ჩვენს პირველ ჩოგანს არსად არ უთამაშია, თუმცა რეიტინგში სამი ადგილით წინ წავიდა - **ირაკლი ლაბაძე** გუშინ გამოქვეყნებულ კლასიფიკაციაში მსოფლიოს 169-ე ჩოგანია.

ქალთა რეიტინგ-ლისტში ქართველებს ცვილებები ნაკლებად შეეხო, საქართველოს პირველი ჩოგანი ქალი **მაკა ჩახნაშვილი** კვლავ მსოფლიოს 144-ე ჩოგანია 212,5 ქულით. 17 წლის **ანა ტატიშვილმა** ერთი ადგილით წაიწია წინ, ანა ახლა მსოფლიოს 269-ე ჩოგანია (86,7 ქულა). 342-ე პოზიციაზეა **სოფიო მელიქიშვილი** (-2, 58,5 ქ.). სხვები: 531 (+5) **სალომე დევიძე**, 676 (+6) **სოფიო შაფათავა**, 758 (+5) **ეკა გორგოძე**, 880 (+7) **მანანა შაფაქიძე**, 1080 (+13) **თეონა ცერცვაძე** და 1331 (+7) **მარიამ ქურდაძე**. მაკა ჩახნაშვილს წლის რბოლაში 171-ე ადგილი უკავია, ანა ტატიშვილს - 189-ე.



მაკა ჩახნაშვილი

### ანა და მაკა ინდიან ველსში

კალიფორნიაში ინდიან ველსის ვაჟ და ქალ ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი "პასიფიკ ლაიფ ოუფენი" იწყება. ტურნირის საპრიზო ფონდი 2,1 მილიონი დოლარია (მხოლოდ ქალთა შორის). სასიხარულოა, რომ ასეთი დონის შეჯიბრში ერთბაშად ორი ქართველი ჩოგბურთელი მონაწილეობს: 17 წლის **ანა ტატიშვილმა** ორგანიზატორებისგან "უაილდ ქარდი" მიიღო და ის ძირითად ბადეშია, 24 წლის **მაკა ჩახნაშვილი** კი საკვალიფიკაციო ბრძოლებში ჩაება. მაკას წილისყრამ პირველ წრეში 24-ე ნომრით განთესილი ავსტრიელი **ივონ მოისბურგერი** შეახვედრა. მოისბურგერი მსოფლიოს 117-ე ჩოგანია. ეს მატჩი ინდიან ველსის ნომერ მე-6 კორტზე საქართველოს დროით გვიან ღამით გაიმართა. დღეს "პასიფიკ ლაიფ ოუფენის" ძირითადი ბადის წილისყრა შედგება და ანა ტატიშვილის მეტოქეც ცნობილი გახდება.

### ორნი აღთქმულ მიწაზე

ისრაელის ქალაქ რამათ-ჰაშარონში მიმდინარეობს ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი დოლარი), სადაც ორი ქართველი ჩოგბურთელი მონაწილეობს: **მანანა შაფაქიძე** და **ნათია გეგია**. შაფაქიძე შარშანდელ ტურნირში (რომელიც ნოემბერში გაიმართა) საკვალიფიკაციო შეჯიბრიდან მეოთხედფინალში გავიდა. მანანა წლეულსაც საკვალიფიკაციო ტურნირში მოხვდა, ისევე როგორც ურეიტინგო გეგია, თუმცა თანამემამულისგან განსხვავებით შაფაქიძე მე-3 ნომრად განთესეს. პირველ საკვალიფკაციო წრეში შაფაქიძე ისვენებდა, გეგიამ კი ბელარუს **ანა მალახოვიჩს** მოუგო 6:3, 6:4. მეორე წრეში ნათიას მეტოქე საკვალიფიკაციოს პირველი ჩოგანი ჩეხი **ტერეზა ჰლადკოვა** (560) იყო, ჩვენებურმა ფავორიტს სამ სეტში აჯობა - 6:2, 4:6, 6:1. ამავე წრეში მანანა შაფაქიძემ უკრაინელი **იულია კირიენკო** დაამარცხა - 6:3, 6:3. ფინალურ წრეში ნათია გეგია შვეიცარიელ **ამრა სადიკოვიჩთან** დამარცხდა - 2:6, 6:2, 6:7, ძირითად ბადეში გაიაღწია შაფაქიძე, რომელმაც ებრაელ **იაელ ანაისს** იოლად მოუგო - 6:2, 6:1. ტურნირის ძირითად ბადეში შაფაქიძე შეხვდება სამხრეთაფრიკელ **ლიზაან დუპლესის**, რომელმაც ასევე საკვალიფიკაციო ეტაპიდან შეაღწია ბადეში. ნათია გეგია და მანანა შაფაქიძე წყვილებში ერთად ასპარეზობენ, მათ საკვალიფიკაციო ეტაპი იოლად დაძლიეს და ძირითად ბადეში მოხვდნენ, სადაც "უაილდ ქარდით" დაშვებულ ებრაულ დუეტს შეხვდებიან.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## რაგბი

# დაუმარცხებელი ერთია

**საფრანგეთის ჩემპიონატის** პირველ ფედერალური დივიზიონში მეორე ეტაპის მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან დაუმარცხებელი ერთი, თედო ზიმბიზაძისა და ვანო ნადირაძის "პერიგო" დარჩა.

**B ჯგუფში** ელიზბარ ყუფარაძის "ობენამ" გასვლითი შეხვედრა გამართა "ბორეპერისთან" და 9:15 დამარცხდა. ამავე ჯგუფში ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა ფავორიტმა "ორიიაკმა", რომელმაც შინ სძლია "ლურდს"- 53:6.

ორიიაკი-6 ქულა, ობენა-4, ბორეპერი-4, ლურდი-2

**C ჯგუფში** ერთმანეთის პირისპირ "ქართული" გუნდები "ბურგ ან ბრესი" და "ექსი" დადგნენ. ბურგელებმა, რომელთა რიგებშიც **კონსტანტინე ჯინჭარაძე** თამაშობს, შინ **დავით გასვიანის** გუნდი 28:21 დაამარცხეს. ამავე ჯგუფში "ლა სეინი" შინ დამარცხდა "ლორონთან". 12:29 და ახლა ყველას თითო წაგება-მოგება აქვს.

ოლორონი-4 ქულა, ექსი-4, ბურგ ან ბრესი-4, ლა სეინი-4.

**D ჯგუფში** მოასპარეზე ქართველი მორაგბეების ორივე გუნდმა გასვლითი შეხვედრა წააგო. **ირაკლი აბუსერიძის** "ორლეანი" 17:23 დამარცხდა "ბედარიდესთან", **გია ჩხაიძის, დავით დადუნაშვილისა და ვიქტორ დიდებულიძის** "მასიმ" კი ვერაფერი გააწყო "ლანამეზანთან" 25:31. ქართველთაგან მხოლოდ დადუნაშვილმა ითამაშა.

ლანამეზანი-6 ქულა, მასი-4, ბედარიდე-4, ორლეანი-2

**E ჯგუფში**, ლიდერი **თედო ზიბზიბაძისა** და **ვანო ნადირაძის** "პერიგოა", რომელმაც სტუმრად **ზურაბ მჭედლიშვილისა** და **ალექსანდრე მარგველაშვილის** "დომონს" მოუგო - 13:10. ზიბზიბაძემ, ნადირაძემ და მჭედლიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშეს, მარგველაშვილი შეხვედრაში 63-ე წუთიდან ჩაერთო. მეორე წყვილში "ტიროსმა" სტუმრად სძლია "რუანს" 16:6.

პერიგო-6 ქულა, დომონი-4, ტიროსი-4, რუანი-2.

ბესიკ ჯანგავაძე

მსოფლიო ჩემპიონატი

# მალიშის ოქროს აკორდი

საპოროში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში. ტრამპლინისტთა ტურნირის ბოლო ოქროს მედალი პოლონელმა **ადამ მალიშმა** მოიპოვა, ვისთვისაც ეს მსოფლიოს ჩემპიონის მეოთხე ოქროა.

მალიშმა ორივე ცდაზე საუკეთესო ნახტომი შეასრულა და დიდი უპირატესობით - 20 ქულით აჯობა მეორეზე გასულ შვეიცარიელ **სიმონ ამანს**, ვინც ტურნირის პირველ დღეს, დიდ მთაზე მოიპოვა ოქროს მედალი. აღსანიშნავია, რომ საპოროს ჩემპიონატზე მალიში მანამდე მედლის აღებას ვერ ახერხებდა - გუნდურში მეხუთე ადგილს დასჯერდა, დიდ მთაზე კი მეოთხე იყო.

ჩრდილოური კომბინაციის ბოლო ასპარეზობა გერმანელი **რონი აკერმანის** ტრიუმფით დასრულდა. მას არც ტრამპლინიდან ხტომაში ჰქონდა საუკეთესო შედეგი (ორი ცდის ჯამში მეხუთე იყო) და არც ბარის თხილამურებით ასპარეზობაში (მერვე დრო ჰქონდა), თუმცა, საბოლოოდ, ფინიშთან მაინც პირველი მივიდა.

ბარის თხილამურებში ყველაზე სწრაფი იყო მსოფლიო თასის ლიდერი, ფინელი **ჰანუ მანინენი**, მაგრამ როგორც ყოველთვის, ის უხეიროდ გადმოხტა ტრამპლინიდან (ორი ცდის ჯამში 24-ე იყო), რითაც ხაზი გადაუსვა საპოროში მეორე ოქროს აღების შანსებს.

ტრამპლინის შემდეგ საუკეთესო შედეგი ფრანგ **ჟასონ ლამი შაპუას** ჰქონდა, მაგრამ საკმაოდ სოლიდური უპირატესობა ბარის თხილამურებით ასპარეზობისას გაანიავა და საბოლოოდ მე-17 ადგილს დასჯერდა. მათგან, ვინც ტრამპლინის შემდეგ სამეულში იყო, ასპარეზობა პრიზიორთა შორის დაასრულა ფინელმა **ანსი კოივურანტამ**, ვისაც ტრამპლინის შემდეგ მეორე შედეგი ჰქონდა, ფინიშთან კი მას სულ რაღაც 0.19 წამით მიასწრო ამერიკელმა **ბილ დემონგმა**.

ბარის თხილამურობაში მედლები მარათონულ დისტანციებზე გათამაშდა. ქალებში ბადალი არ ჰყავდა ფინელ **ვირპი კოიტუნენს**, ვისთვისაც ეს საპოროში მოპოვებული ოქროს მესამე მედალია, კაცებში კი ფინიშთან პირველი ნორვეგიელი **ოდ-ბიორნ ჰიელმესეტი** მივიდა.

აღსანიშნავია, რომ კოიტუნენმა წინა ორი ოქრო გუნდურ ასპარეზობაში მოიპოვა, ინდივიდუალურში კი წარმატებაში ხელს გრიპი უშლიდა. ფინელი შუა გზაზე დაწინაურდა. მისი ტემპის აყოლა მხოლოდ ნორვეგიელმა **კრისტინ სტოერმერ სტეირამ** შეძლო, თუმცა ბოლო მონაკვეთზე ისიც ჩამორჩა. ბრინჯაოს დასჯერდა ნორვეგიელი თინეიჯერი **ტერეზ იოჰაუგი**, ვინც მსოფლიო თასის რბოლებშიც მანამდე სულ ორჯერ გამოსულა და მისგან არავინ ელოდა ასეთ სისწრაფეს. მაგრამ გზის პირველი მესამედის შემდეგ სწორედ ის ლიდერობდა.

გაცილებით დაძაბული გამოდგა კაცების მარათონის ფინიში. ოქროს მედლებს აქ ერთმანეთს ორი ნორვეგიელი - ჰიელმესეტი და **ფროდე ეშტილი** ეცილებოდა. უფრო გამოცდილმა ჰიელმესეტმა თანაგუნდელს ფინიშთან თითქმის ნახევარი წამით მიასწრო და კარიერაში მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ოქრო (პირველი ინდივიდუალური) მოიპოვა.

ცნობისათვის, 35 წლის ჰიელმესეტს ამავე დისტანციაზე სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე ბრინჯაო აქვს მოპოვებული. ის ასევე ბრინჯაოს დასჯერდა მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე, რომელიც გერმანიის ობერსტდორფში ჩატარდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**საპორო (იაპონია)**

ბარის თხილამურები

ქალები. მასსტარტი (30 კმ)

**1. ვირპი კოიტუნენი (ფინეთი) 1:29:47.1; 2. კრისტინ სტოერმერ სტეირა (ნორვეგია) +06.89; 3. ტერეზ იოჰაუგი (ნორვეგია) +01:22.79; 4. აინო კაისა საარინენი (ფინეთი) +01:43.00; 5. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია) +02:17.39; 6. კრისტინა შმიგუნი (ესტონეთი) +02:32.29...**

ბარის თხილამურები

კაცები. მასსტარტი (50 კმ)

**1. ოდ-ბიორნ ჰიელმესეტი (ნორვეგია) 2:20:12.6; 2. ფროდე ეშტილი (ნორვეგია) +00.40; 3. იენს ფილბრიხი (გერმანი) +04.50; 4. ტობიას ანგერერი (გერმანია) +10.50; 5. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი) +13.10; 6. მარტინ ბაიციჩაკი (სლოვაკეთი) +41.00...**

ტრამპლინი. HS100

**1. ადამ მალიში (პოლონეთი) 277.0; 2. სიმონ ამანი (შვეიცარია) 255.5; 3. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) 254.5; 4. როარ ლიოეკელსოეი (ნორვეგია) 246.5; 5. ანდრეას კიუტელი (შვეიცარია) 244.0; 6. ანდრეას კოფლერი (ავსტრია) 243.0; 7. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) 241.5; 8. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) 240.5...**

ჩრდილოური კომბინაცია

**1. რონი აკერმანი (გერმანია) 38:35.6; 2. ბილ დემონგი (აშშ) +08.50; 3. ანსი კოივურანტა (ფინეთი) +08.69; 4. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) +59.29; 5. ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) +01:07.19; 6. ჰანუ მანინენი (ფინეთი) +01:16.00...**



მალიშმა მეოთხედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ოქრო

## სამთო თხილამურები

მსოფლიო თასი

კრანისკა გორა (სლოვენია). კაცები. სლალომი

**1. მარიო მტი (ავსტრია) 1:40.64 (48.84, 51.80); 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1:41.25 (48.80, 52.45); 3. მანფრედ მიოლეგი (იტალია) 1:41.60 (49.92, 51.68); 4. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 1:42.05 (50.88, 51.17); 5. მანფრედ პრანგერი (ავსტრია) 1:42.33 (50.58, 51.75); 6. მარკუს ლარსონი (შვედეთი) 1:42.35 (50.42, 51.93); 7. მარკ ბერთო (შვეიცარია) 1:42.68 (50.28, 52.40); 7. აკირა სასაკი (იაპონია) 1:42.68 (50.67, 52.01); 9. მარკ ჯინი (შვეიცარია) 1:42.70 (51.72, 50.98)...**

აბსოლუტური კლასიფიკაცია

**1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 945; 2. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 868; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 788; 4. ბოდე მილერი (აშშ) 671; 5. მარიო მტი (ავსტრია) 664...**

ტარვიზიო (იტალია). ქალები. სუპერგიგანტი

**1. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1:18.66; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:19.67; 3. ჯულია მანკუზო (აშშ) 1:19.88; 4. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) 1:19.95; 5. ტინა მაზე (სლოვენია) 1:20.01; 6. სტეისი კუკი (აშშ) 1:20.08; 7. ბრიტ იანიკი (კანადა) 1:20.21; 8. მარია რიში (გერმანია) 1:20.28; 9. ემილი ბრაიდონი (კანადა) 1:20.37; 10. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) 1:20.40...**

აბსოლუტური კლასიფიკაცია

**1: რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1199; 1. ჯულია მანკუზო (აშშ) 1199; 3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1183; 4. მარლის შილდი (ავსტრია) 1170; 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) 808...**

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**პიტსბურგი-ფილადელფია 4:3 (ბ)**

0:2, 2:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 მ. იორკი-9 (სანდერსონი-15, ს. კაპანენი-11), 0:2 კობურნი-1 (პიკარი-17, მ. რიჩარდსი-17), 1:2 გ. რობერტსი-14 (გონჩარი-42, რაიან უიტნი-36), 2:2 კრისტენსენი-12 (გ. რობერტსი-17, გონჩარი-43), 2:3 უმბერგერი-16 (ს. რუჟიჩკა-6, სანდერსონი-16), 3:3 კრისტენსენი-13 (ულეტი-24, გ. რობერტსი-18).

**ბულიტები გაიტანეს:** კრისტენსენი (პიტსბურგი), კროსბი (პიტსბურგი).

**ატლანტა-კაროლინა 3:1**

1:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 მარიან ჰოსა-37 (ლარსენი-5), 1:1 ბრინდამორი-21 (ლედი-6, ს. უოკერი-24), 2:1 კოვალჩუკი-34 (ტკაჩუკი-24, ჰაველიდი-14), 3:1 მარიან ჰოსა-38 (ჰოლიკი-15, ვიაჩ. კოზლოვი-46).

**ვანკუვერი-მინესოტა 4:3 (ბ)**

1:1, 2:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 რადივოევიჩი-9 (ტ. უაიტი-25), 1:1 ს. სალო-11 (ნესლუნდი-32, სმოლინსკი-25), 1:2 გაბორიკი-23 (მ. კოივუ-26, დემიტრა-31), 2:2 კოუენი-2 (მიტჩელი-8, კუკი-12), 3:2 კოუენი-3 (მიტჩელი-9, ბ. მორისონი-22), 3:3 კ. იონსონი-3 (დემიტრა-32, მ. კოივუ-27).

**ბულიტები გაიტანეს:** სმოლინსკი (ვანკუვერი), დემიტრა (მინესოტა), ლინდენი (ვანკუვერი), როლსტონი (მინესოტა), დ, სედინი (ვანკუვერი).

**დეტროიტი-კოლორადო 3:4 (ო)**

0:0, 1:2, 2:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ჰეიდუკი-25 (პ. შჩასტნი-39, ლაილსი-27), 0:2 არნასონგი-15 (ვოლსკი-22, ლაპერიერი-19), 1:2 ფილპულა-8 (დაციუკი-50, შნაიდერი-35), 2:2 დრეიპერი-11 (ფრანცენი-15, მიოლტბი-4), 2:3 მაკლინი-11 (ჰეიდუკი-28, პ. შჩასტნი-40), 3:3 დრეიპერი-12 (კალდერი-15, შნაიდერი-36), 3:4 რიჩარდსონი-10 (ვოლსკი-23).

**ჩიკაგო-ოტავა 4:3 (ბ)**

1:1, 0:2, 2:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ვრბატა-10 (ჰავლატი-27, ჯეისონ უილიამსი-16), 1:1 საპრიკინი-15 (მუბერტი-11, მაკამონდი-12), 1:2 ალფრედსონი-23 (ჰიტლი-45, სპეცა-40), 1:3 ვერმეტი-17 (მეზაროში-25, ალფრედსონი-44), 2:3 ჰოლმკვისტი-4 (ლაპოინტი-7, ბონდრა-8), 3:3 ვრბატა-11 (სიბრუკი-13).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰიტლი (ოტავა), ჰამილტონი (ჩიკაგო), ვრბატა (ჩიკაგო).

**დალასი-სან ხოსე 0:4**

0:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 კ. ბრაუნი-8 (ერჰოფი-18, გრირი-12), 0:2 ქლოუ-14 (რისმილერი-13, გოკი-6), 0:3 პაველსკი-13 (ჩიჩუ-25, მ. კარლი-23), 0:4 პაველსკი-14 (ქლოუ-17, ჩიჩუ-26).

**ანაჰაიმი-ნეშვილი 3:2 (ბ)**

0:2, 1:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 კ. ტიმონენი-10 (პევერლი-1), 0:2 დუმონი-18 (კარია-44, ჰამჰუისი-10), 1:2 სელიანე-39 (ე. მაკდონალდი-43, კუნიტცი-28), 2:2 პენერი-24 (პრონგერი-42, გეტცლაფი-22).

**ბულიტები გაიტანეს:** გეტცლაფი (ანაჰაიმი), სელიანე (ანაჰაიმი), კარია (ნეშვილი).

**ნიუ ჯერსი-ბოსტონი 1:2**

0:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ა. უორდი-4 (ბოჩენსკი-6, კესელი-13), 0:2 შტურმი-21 (პ. ბერჟერონი-39), 1:2 რუპი-4 (ჯონტა-19, მარტინი-21).



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურნირები

# ჰიუიტმა ნავსი გატეხა



ლეიტონ ჰიუიტი

ერთ დროს მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ავსტრალიელმა **ლეიტონ ჰიუიტმა** რვათვიანი პაუზის შემდეგ, ATP-ის პირველი ტურნირი მოიგო. ამერიკელი **ანდრე აგასის** შემდეგ, ის გახდა მეორე ჩოგბურთელი, რომელმაც მესამედ მოიპოვა ლას ვეგასის ტურნირის მთავარი პრიზი. გარდა ამისა, ჰიუიტი კიდევ ერთი საინტერესო მიღწევის ავტორი გახდა - ავსტრალიელი 10 წელია რაც პროფესიულ ტურში თამაშობს და ყოველ სეზონში, ის მინიმუმ ერთი ტურნირის მოგებას ახერხებს. ეს გახლდათ ჰიუიტის კარიერაში მოპოვებული რიგით 26-ე ტიტული.

ფინალში ლეიტონ ჰიუიტის მეტოქე ავსტრიელი **იურგენ მელცერი** იყო. პირველ სეტში ავსტრალიელმა ერთხელ აიღო გეიმი მეტოქის მოწოდებაზე და პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:4.

მთავარი მოვლენები მეორე სეტში განვითარდა. მელცერი 4:1 დაწინაურდა, ხოლო 6:5-ზე ერთი სეტპოინტიც ჰქონდა, მაგრამ ბრძოლა ტაი-ბრეიკში გაგრძელდა. იქაც ავსტრიელი ლიდერობდა, რომელმაც 6:4-ზე ორი სეტპოინტი გაანიავა. საბოლოოდ, დრამატულ ტაი-ბრეიკში ჰიუიტმა 12:10 მოიგო.

**ATP**

**ტენის ჩენელის ღია**

ლას ვეგასი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 416 00 დოლარი

**ფინალი**

**ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 2)**-იურგენ მელცერი (ავსტრია, 4) 6:4, 7:6.

## შარაპოვა რუსეთის ნაკრებს შეუერთდა

ქალთა შორის ფედერაციის თასის მეოთხედფინალური მატჩები 21-22 აპრილს გაიმართება. გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტის, რუსეთის ნაკრების კაპიტანმა **შამილ ტარპიშჩევმა** მომავალი შეხვედრისთვის შემადგენლობა დაასახელა. მთავარი სიახლე ის არის, რომ რუსეთის ნაკრებში დებიუტი ექნება მსოფლიოს პირველ ჩოგან **მარია შარაპოვას**. მასთან ერთად, ტარპიშჩევის გუნდის ღირსებას დაიცავენ **ელენა დემენტიევა, სვეტლანა კუზნეცოვა** და **ნადია პეტროვა**.

მეოთხედფინალში რუსეთის მეტოქე ესპანეთი იქნება. ეს შეხვედრა მოსკოვში გაიმართება.

## ანჩიჩი როლან გაროსზე დაბრუნდება

მსოფლიო კლასიფიკაციის მე-11 ნომერი, ხორვატი **მარიო ანჩიჩი** დაახლოებით ორი თვე ვერ შეძლებს კორტზე გასვლას. მიზეზი ვირუსული ავადმყოფობა გახლავთ. როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ეს ამბავი მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ანჩიჩმა სამედიცინო შემოწმება გაიარა. ხორვატ ჩოგბურთელს მონონუკლეოზი აღმოუჩინეს.

ასე რომ, ანჩიჩი გამოტოვებს ინდიან-უელსისა და მაიამის "მასტერსის" ტურნირებს, თუმცა მოასწრებს "როლან გაროსისთვის" გამოჯანმრთელებას. საფრანგეთის ღია პირველობა 27 მაისს აიღებს სტარტს.

## მირზა ერთი თვე დაისვენებს

ინდოელი ჩოგბურთელი **სანია მირზა** მინიმუმ ერთი თვე ვერ მიიღებს მონაწილეობას WTA-ს ტურის შეჯიბრებებში.

სააგენტო "როიტერის" ცნობით, ორშაბათს, დოჰას ტურნირის პირველ წრეში 20 წლის სპორტსმენმა მარჯვენა მუხლის ტრავმა მიიღო. მირზამ კატარი დატოვა და ინდოეთში დაბრუნდა, სადაც მას უკვე გაუკეთეს ოპერაცია. ექიმების ვარაუდით, რეაბილიტაციის პროცესი დაახლოებით 4-5 კვირა გაგრძელდება.

რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 8210 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 4480 |
| 3(3). ენდი როდიკი (აშშ) | 2830 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 2825 |
| 5(5). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2685 |
| 6(6). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2585 |
| 7(7). ტომი რობრედო (ესპ) | 2555 |
| 8(8). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 2395 |
| 9(9). ტომი ჰაასი (გერ) | 2115 |
| 10(10). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 1995 |
| 11(11). მარიო ანჩიჩი (ხორ) | 1975 |
| 12(12). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1785 |
| 13(14). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1715 |
| 14(13). ენდი მარეი (ბრიტ) | 1700 |
| 15(15). დავიდ ფერერი (ესპ) | 1645 |
| 16(16). რიშარ გასკე (საფ) | 1590 |
| 17(18). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1515 |
| 18(17). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1465 |
| 19(19). იარკო ნიემინენი (ფინ) | 1300 |
| 20(20). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 1285 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 260 |
| 2(2). ტომი ჰაასი (გერ) | 175 |
| 3(2). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 148 |
| 4(7). მიხაილ იუჟნი (რუს) | 144 |
| 5(4). ენდი როდიკი (აშშ) | 140 |
| 6(5). ენდი მარეი (ბრიტ) | 122 |
| 7(6). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 110 |
| 8(8). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 102 |
| 8(12). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 102 |
| 10(10). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 96 |
| 10(19). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 96 |
| 12(9). მარდი ფიში (აშშ) | 95 |
| 13(11). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 90 |
| 14(13). ტომი რობრედო (ესპ) | 86 |
| 15(14). დავიდ ფერერი (ესპ) | 80 |
| 15(16). რაფაელ ნადალი (ესპ) | 80 |
| 17(21). კარლოს მოია (ესპ) | 79 |
| 18(15). ქსავიე მალისე (ბელ) | 71 |
| 18(21). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 71 |
| 20(17). რიშარ გასკე (საფ) | 63 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). მარია შარაპოვა (რუს) | 3824 |
| 2(2). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 3791 |
| 3(3). ამელი მორესმო (საფ) | 2993 |
| 4(5). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2710 |
| 5(4). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 2630 |
| 6(6). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 2361 |
| 7(7). ნადია პეტროვა (რუს) | 2071 |
| 8(8). ელენა დემენტიევა (რუს) | 1869 |
| 9(10). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1807 |
| 10(9). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1742 |
| 11(11). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1650 |
| 12(12). დინარა საფინა (რუს) | 1569 |
| 13(13). პატი შნიდერი (შვეიც) | 1552 |
| 14(14). ანა ივანოვიჩი (სერ) | 1463 |
| 15(15). სერენა უილიამსი (აშშ) | 1269 |
| 16(16). შაარ პეერი (ისრ) | 1214 |
| 17(17). ნა ლი (ჩინ) | 1117 |
| 18(19). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1107 |
| 19(18). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1032 |
| 20(20). ვერა ზვონარევა (რუს) | 942 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1030 |
| 2. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 926 |
| 3. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 915 |
| 4. მარია შარაპოვა (რუს) | 895 |
| 5. ამელი მორესმო (საფ) | 825 |
| 6. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 820 |
| 7. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 700 |
| 8. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 610 |
| 9. ანა ივანოვიჩი (სერ) | 565 |
| 10. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 560 |
| 11. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 541 |
| 12. შაარ პეერი (ისრ) | 486 |
| 13. ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 455 |
| 14. ნადია პეტროვა (რუს) | 436 |
| 15. ელენა დემენტიევა (რუს) | 371 |
| 15. დინარა საფინა (რუს) | 371 |
| 17. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 357 |
| 18. პატი შნიდერი (შვეიც) | 356 |
| 19. ნა ლი (ჩინ) | 346 |
| 20. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 320 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალათბურთი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-მინესოტა 124:117 (2 ო)**

20:20, 22:23, 26:31, 25:19, 14:14, 17:10

**ბოსტონი:** დელ. უესტი (31 ქ. 10 გ), პირსი (27 ქ. 9 მ), გომესი (21 ქ. 17 მ), ელ ჯეფერსონი (20 ქ. 14 მ), გრინი (16 ქ).
**მინესოტა:** რ. დევისი (35 ქ. 9 პ), გარნეტი (33 ქ. 13 მ. 10 პ), ჰადსონი (26 ქ. 8 პ).

**ვაშინგტონი-გ. სტეიტი 107:106**

20:30, 30:23, 31:31, 26:22

**ვაშინგტონი:** არენასი (32 ქ), კ. ბატლერი (20 ქ. 5 ჩ), ჯეიმისონი (18 ქ. 11 მ).
**გოლდენ სტეიტი:** ჯ. რიჩარდსონი (28 ქ. 10 მ. 8 პ), ელ ჰარინგტონი (25 ქ. 13 მ), ელისი (20 ქ. 7 პ), ბიედრინსი (13 ქ. 15 მ).

**მილუოკი-ჩიკაგო 121:126 (ო)**

31:28, 23:24, 36:26, 21:33, 10:15

**მილუოკი:** რედი (52 ქ), პატერსონი (17 ქ), მორ. უილიამსი (14 ქ. 8 პ), ბოგუტი (13 დ. 11 მ).
**ჩიკაგო:** გორდონი (48 ქ), დენგი (27 ქ), ჰაინრიხი (23 ქ), ბ. უოლასი (3 ქ. 12 მ. 3 დ).

**ფინიქსი-ლეიკერსი 99:94**

22:21, 24:25, 28:21, 25:27

**ფინიქსი:** ნეში (23 ქ. 10 პ), ბარბოზა (20 ქ), ა. სტაუდმაიერი (17 ქ. 11 მ), რ. ბელი (14 ქ), მერიონი (13 ქ. 12 მ).
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (31 ქ), კუკი (22 ქ. 14 მ).

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 99:86**

18:30, 31:13, 29:22, 21:21

**ფილადელფია:** იგუოდალა (21 ქ. 5 ჩ), გრინი (20 ქ), კორვერი (20 ქ. 3 დ), დალემბერი (5 ქ. 11 მ), მილერი (11 ქ. 8 მ. 12 პ).
**ნიუ ჯერსი:** ნახბარი (21 ქ), კიდი (11 ქ. 14 მ. 14 პ. 3 ყ).

**ნიუ ორლეანი-იუტა 94:108**

19:15, 18:29, 31:33, 26:31

**ნიუ ორლეანი:** ჩანდლერი (20 ქ. 19 მ), მეისონი (17 ქ), პოლი (14 ქ. 13 პ. 3 ჩ).
**იუტა:** ოქური (28 ქ. 9 მ), დერ. უილიამსი (20 ქ. 6 პ), ბუზერი (17 ქ. 12 მ).

**სიეტლი-შარლოტი 96:89**

23:27, 28:18, 19:27, 26:17

**სიეტლი:** ალენი (34 ქ), რ. ლუისი (28 ქ. 8 მ), კოლისონი (6 ქ. 10 მ), უოტსონი (10 ქ. 10 მ. 3 ჩ).
**შარლოტი:** ჯ. უოლასი (19 ქ. 9 მ. 3 ჩ), მორისონი (17 ქ), კეროლი (12 ქ).

ჰიუსტონ როკეტსი

## იაოს მინს დღეს უნდა ეთამაშა

"ჰიუსტონ როკეტსის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **იაო მინმა** ბოლომდე მოირჩინა მუხლის ტრავმა. როგორც გაზეთი Houston Chronicle წერს, ჩინელ კალათბურთელს შეუძლია თავის გუნდს "კლივლენდ კავალიერსთან" უახლოეს შეხვედრაში გაუწიოს დახმარება. ეს მატჩი დღეს დილით უნდა გამართულიყო.

შეგახსენებთ, რომ იაო მინმა ფეხი 23 დეკემბერს, "ლოს ანჯელეს კლიპერსთან" მატჩში მოიტეხა, როცა ერთდროულად მეტოქე **ტიმ ტომასსა** და პარტნიორ **ჩაკ ჰეიესს** შეეჯახა.

"ჰიუსტონის" გენერალური მენეჯერი **კეროლ დოუსონი** და გუნდის ფიზმომზადების მწვრთნელი **კეიტ ჯონსი** ამბობენ, მინი "კლივლენდთან" მატჩის განაცხადშია შეყვანილი. უფრო ოპტიმისტური განცხადება გააკეთა "როკეტსის" მთავარმა მწვრთნელმა **ჯეფ ვან განდიმ** - მან თქვა, რომ იაო სასტარტო ხუთეულში დაიწყებს თამაშს.

ჩინელი კალათბურთელის მოედანზე დაბრუნების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც მინმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და ექიმებმა - **ტომ კლენტონმა** და **ბრაიან კოულმა** მას კალათბურთში დაბრუნების ნება დართეს. ექიმების სიტყვებით, იაოს ალარაფერი აწუხებს და ძველებური დატვირთვით შეუძლია თამაში.

წელს, იაო მინი თავის საუკეთესო სეზონს ატარებს - საშუალოდ მატჩში ის 26 ქულასა და 9.5 მოხსნას აგროვებს.



იაო მინი

# მძლეოსნობა




გარდენერი ფინიშის ხაზზე

ევროპის ქერქვეშა ჩემპიონატი

## გარდენერის მეოთხე ოქრო

ბირმინგემში დასრულდა მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატი ქერქვეშა არენებისთვის. სამდღიანი ტურნირის ბოლო დღეს მედლების 14 კომპლექტი გათამაშდა.

შვიდჭიდელთა შორის ოქროს მედალს დაეუფლა ჩეხი ოლიმპიური ჩემპიონი **რომან შებრლე**, რომელიც ბოლო დისციპლინის წინ, რუს **ალექსანდრ პოგორელოვს** 3200 ქულით ჩამორჩებოდა, მაგრამ 1000 მეტრზე სირბილში მას იმაზე მეტი (სამ წამზე მეტი) მოუგო, ვიდრე სჭირდებოდა და ევროპის ქერქვეშა ჩემპიონატის ტიტულს ზედიზედ მესამედ დაეუფლა. საერთო ჯამში, შებრლემ 6196 ქულა დააგროვა, რაც მიმდინარე სეზონის სარეკორდო მაჩვენებელია.

*"რა თქმა უნდა, გამარჯვება ყოველთვის ძალიან ძნელია, მაგრამ ბოლო სტარტის წინ დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემპიონი გავხდებოდი"*, - განაცხადა 32 წლის ჩეხმა, ვინც შვიდჭიდის ისტორიაში ევროპის ყველაზე ხნიერი ჩემპიონია.

ქალების ბირთვის კვრაში ბადალი არ ჰყავდა იტალიელ **ასუნტა ლენატეს**, ვინც ბირთვი ყველაზე შორს - 18.92 მეტრზე კრა. ცნობისათვის, ეს ყველაზე მოკლე საჩემპიონო მანძილია მას შემდეგ, რაც ამ სახეობაში ევროპის პირველი ჩემპიონი 1970 წელს გახდა საბჭოელი **ნადეჟდა ჩიჟოვა** (18.80 მეტრი).

ქალების სამხტომში ყველასათვის მოულოდნელად ჩემპიონი გახდა ესპანელი **კარლოტა კასტრეხანა**, ვინც 14.64 მეტრზე გადახტა და ამით, ოქროს მედლის მოპოვებასთან ერთად, ესპანეთის რეკორდიც გააუმჯობესა. იმავდროულად, მისი შედეგი ამ სეზონში საუკეთესოა ევროპაში. და კიდევ, კასტრეხანა პირველი ესპანელია, ვინც ამ დისციპლინაში გახდა ევროპის ჩემპიონი.

როგორც მოსალოდნელი იყო, კაცების სპრინტი ბრიტანელი **ჯეისონ გარდენერის** ტრიუმფით დასრულდა. ამგვარად, გარდენერი სულ მესამეა ვინც ევროპის ჩემპიონი ზედიზედ ოთხჯერ მოიგო. გარდენერმა კიდევ ერთი ოქრო ესტაფეტაში მოიგო, სულ კი ბრიტანეთს ხუთი ოქრო დაუგროვდა, რითაც მასპინძლებმა ჩემპიონატი მედლების არაოფიციალური ცხრილის სათავეში დაასრულეს.

ცნობისათვის, გარდენერამდე სპრინტში ზედიზედ ოთხი ოქრო მოპოვებული ჰქონდათ საბჭოელ **ვალერი ბორზოვსა** და პოლონელ **მარიან ვორონინს**.

ქალების სპრინტი მოიგო ბელგიელმა **კიმ გევაერტმა**, ვისთვისაც ეს მესამე ევროპული ოქროა. ბელგიელმა ცუდი სტარტი კი აიღო, მაგრამ ფინიშამდე მაინც შეძლო რუსი **ევგენია პოლიაკოვას** უკან მოტოვება. მერე კი განაცხადა, ისე ვნერვიულობდი, სასტარტო ნიშანიც კი გამომეპარაო. მოკლედ, გევაერტმა, ვინც შარშან ევროპის ჩემპიონის ორი ოქროს მედალი (100 და 200 მეტრზე) მოიპოვა, ქერქვეშ მესამე ოქროს მფლობელი შეიქნა და ახლა იმედოვნებს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზეც შეძლებს ამ მიღწევის გამეორებას.

ფინიშთან მეექვსე მივიდა ბერძენი **კატერინი თანუ**, ვისთვისაც ორწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ ეს პირველი ტურნირი. ის თავისი შედეგით კმაყოფილი დარჩა და იმედი გამოთქვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატამდე უკეთ მომზადებას შეძლებს.

პოლონელი **ლიდია ჩოიეჩკა** ყველაზე სწრაფი იყო ქალების 3000 მეტრზე სირბილში, რითაც მან ბირმინგემში დუბლი დააფიქსირა (პირველი ოქრო 1500 მეტრზე მოიპოვა). მან ტემპი ბოლო ორ წრეზე გაზარდა, იოლად ჩამოიტოვა მანამდელი ლიდერი, ბრიტანელი **ჯო პევი** და ფინიშის სწორზე ახლოს არ მიიკარა ესპანელი **მარტა დომინგესი**, ვინც 5000 მეტრზე ევროპის ჩემპიონია. ნაფინიშევს განაცხადა, აქ რომ მოვდიოდი, ვიმედოვნებდი, რომ ერთ მედალს მაინც ავიღებდი, მაგრამ რომელ დისტანციაზე, წარმოდგენაც არ მქონდაო.

რუსი **ელენა ისინბაევას** არყოფნით შესანიშნავად ისარგებლა მისმა თანამემამულე **სვეტლანა ფეოფანოვამ** და დაიბრუნა ჩემპიონის წოდება, რომელიც პირველად 2002 წელს მოიპოვა. სხვათა შორის, ამ ოქროს დასაუფლებლად, მას გარისკვა დასჭირდა. საქმე ისაა, რომ ორი ცდა გააფუჭა 4.71 მეტრზე გადასახტომდ. ეს სიმაღლე უკვე დაძლეული ჰქონდა მის თანაგუნდელ **იულია გოლუბჩიკოვას**, ვინც ჩემპიონი ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ფეოფანოვა სიმაღლეს მესამე ცდით აიღებდა. ჰოდა, ყოფილმა ჩემპიონმა თამასა 4.76 მეტრამდე ააწევინა და ეს სიმაღლე ერთი ცდით დაძლია...

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### ბირმინგემი (ბრიტანეთი)

#### ქალები

**ბირთვის კვრა**

1. ასუნტა ლენატე (იტალია) 18.92; 2. ირინა ხუდოროშკინა (რუსეთი) 18.50; 3. ოლგა რიაბინკინა (რუსეთი) 18.16...

**სამხტომი**

1. კარლოტა კასტრეხანა (ესპანეთი) 14.64; 2. ოლესია ბუფალოვა (რუსეთი) 14.50; 3. ტერეზა ნზოლა მესო ბა (საფრანგეთი) 14.49...

**ჭოკით ხტომა**

1. სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) 4.76; 2. იულია გოლუბჩიკოვა (რუსეთი) 4.71; 3. ანა როგოვსკა (პოლონეთი) 4.66...

**800 მეტრი**

1. ოკსანა ზდროჟეკი (რუსეთი) 1:59.23; 2. ტეტიანა პეტლიუკი (უკრაინა) 1:59.84; 3. იოლანდა ჩეპლაკი (სლოვენია) 2:00.00...

**3000 მეტრი**

1. ლიდია ჩოიეჩკა (პოლონეთი) 8:43.25; 2. მარტა დომინგესი (ესპანეთი) 8:44.40; 3. სილვია ვაისშტაინერი (იტალია) 8:44.81...

**60 მეტრი**

1. კიმ გევაერტი (ბელგია) 7.12; 2. ევგენია პოლიაკოვა (რუსეთი) 7.18; 3. დარია ონისკო (პოლონეთი) 7.20...

**4x400 მეტრზე ესტაფეტა**

1. ბელარუსი 3:27.83; 2. რუსეთი 3:28.16; 3. ბრიტანეთი 3:28.69...

#### კაცები

**შვიდჭიდი**

1. რომან შებრლე (ჩეხეთი) 6196; 2. ალექსანდრ პოგორელოვი (რუსეთი) 6127; 3. ანდრეი კრაუჩანკა (ბელარუსი) 6090...

**სიმაღლეზე ხტომა**

1. სტეფან ჰოლმი (შვედეთი) 2.34; 2. ლინუს თორნბლადი (შვედეთი) 2.32; 3. მარტინ ბერნარდი (ბრიტანეთი) 2.29...

**სიგრძეზე ხტომა**

1. ენდრიუ ჰოუ (იტალია) 8.30; 2. ლუის ცატუმასი (საბერძნეთი) 8.02; 3. სალიმ სდირი (საფრანგეთი) 8.00...

**800 მეტრი**

1. არნუ ოკენი (ჰოლანდია) 1:47.92; 2. მიგელ კესადა (ესპანეთი) 1:47.96; 3. მაურიციო ბობატო (იტალია) 1:48.71...

**1500 მეტრი**

1. ხუან კარლოს იგერო (ესპანეთი) 3:44.41; 2. სერხიო გალიარდო (ესპანეთი) 3:44.51; 3. არტურო კასადო (ესპანეთი) 3:44.73...

**60 მეტრი**

1. ჯეისონ გარდენერი (ბრიტანეთი) 6.51; 2. კრეიგ პიკერინგი (ბრიტანეთი) 6.59; 3. რონალდ პონიონი (საფრანგეთი) 6.60...

**4x400 მეტრზე ესტაფეტა**

1. ბრიტანეთი 3:07.04; 2. რუსეთი 3:08.10; 3. პოლონეთი 3:08.14...

| ქვეყანა | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. ბრიტანეთი | 4 | 3 | 3 | 10 |
| 2. იტალია | 3 | 1 | 2 | 6 |
| 3. შვედეთი | 3 | 1 | 0 | 4 |
| 4. რუსეთი | 2 | 9 | 4 | 15 |
| 5. ესპანეთი | 2 | 4 | 3 | 9 |
| 6. ჰოლანდია | 2 | 1 | 1 | 4 |
| 7. პოლონეთი | 2 | 0 | 3 | 5 |
| 8. ბელგია | 2 | 0 | 0 | 2 |
| 9. ბელარუსი | 1 | 2 | 1 | 4 |
| 10. გერმანია | 1 | 1 | 2 | 4 |
| 11. ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 12. ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 12. პორტუგალია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 12. სლოვაკეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 15. უკრაინა | 0 | 2 | 0 | 2 |
| 16. საფრანგეთი | 0 | 1 | 3 | 4 |
| 17. საბერძნეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 18. ბულგარეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 18. დანია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 18. სლოვენია | 0 | 0 | 1 | 1 |

# ჭადრაკი

მსოფლიო ჩემპიონატი

## ფიდეს ახალი ექსპერიმენტი

### ფედერაცია სამატჩო სისტემას უბრუნდება

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ კიდევ ერთხელ შეცვალა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების სისტემა. მისი პრინციპი ასეთია: კენტ წლებში გაიმართება მსოფლიო თასი, რომელშიც 126 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას, ხოლო ლუწ წლებში - მსოფლიო თასის გამარჯვებული მოქმედ მსოფლიო ჩემპიონს შეხვდება.

თავად მსოფლიო თასის ჩატარების სისტემა შემდეგში მდგომარეობს: 126 მოჭადრაკე ცხრა ჯგუფად დაიყოფა. ქვეჯგუფების გამარჯვებულები და აგრეთვე 4 საუკეთესო მეორეადგილოსანი კიდევ ორ ჯგუფად დაიყოფიან. ამ ჯგუფებში პირველ ადგილზე გასულები ერთმანეთს 4-პარტიან მატჩში შეხვდებიან. მსოფლიო თასი 26 დღეს გაგრძელდება, საპრიზო ფონდი კი, 500 ათასი დოლარი იქნება.

ჟურნალისტებთან საუბრისას, FIDE-ს პრეზიდენტმა **კირსან ილუმჟინოვმა** ეს ცვლილება შემდეგნაირად ახსნა: სამატჩო სისტემაზე დაბრუნება მას ფედერაციის გენერალურმა ასამბლეამ სთხოვა.

*"ვესელინ ტოპალოვისა და ვლადიმირ კრამნიკის ორთაბრძოლის მაგალითზე თავადაც მივხვდი, რომ სამატჩო სისტემაზე გადასვლა აუცილებელი იყო. ტოპალოვი-კრამნიკის მატჩის ოფიციალურ ვებგვერდს, ჯამში 427 მილიონი სტუმარი ჰყავდა! გარდა ამისა, ჩემპიონის გამოვლენის ამგვარი სისტემა სპონსორების მოზიდვას გაგვიადვილებს. მატჩების პოტენციური კომერციული პარტნიორობა უფრო მომგებიანია, ვიდრე რვა დიდოსტატის ტურნირისა"*, - ამბობს კირსან ილუმჟინოვი.

# TV სპორტი

**6 მარტი. სამშაბათი**

**რუსთავი 2**

**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ბარსელონა (LIVE).
**02:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**02:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-ინტერი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
**15:10** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:10** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:25** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:25** სასტვენი.
**18:55** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
**20:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:50** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**21:20** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:20** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:20** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:35** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. (LIVE).
**01:35** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:10** ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. ჟუვენტუდე-სან პაულუ.
**09:55** სპორტკლუბი.
**10:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
**12:40** ექსპერიმენტული სპორტი. მსოფლიო თასი.
**13:05** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-ბრაგა.
**14:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. აკაპულკო. მექსიკა.
**16:25** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. აკაპულკო. მექსიკა.
**17:55** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**18:25** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა.
**20:05** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**20:35** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**21:35** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:35** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩის წინ (LIVE).
**23:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ბარსელონა (LIVE).
**01:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლიონი-რომა.
**03:35** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**04:30** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ნეშვილი (LIVE).
**07:05** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**07:35** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

**EUROSPORT**

**11:30** მულტისპორტი.
**12:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**13:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS100. საპორო. იაპონია.
**14:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. გამოდევნება. ლაჰტი. ფინეთი.
**14:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გამოდევნება. ლაჰტი. ფინეთი.
**15:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ბირმინგემი. ინგლისი.
**16:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ვალენსია.
**17:30** მულტისპორტი.
**17:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ბარსელონა-ლივერპული.
**18:45** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**19:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ბაიერნი-რეალი.
**20:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ბირმინგემი. ინგლისი.
**21:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**23:00** კრივი. დ. ინკინი (რუსეთი)-ე. დუმა (ს. აფრიკა). გერმანია.
**00:00** კრივი. IBF-ის ვერსია. რ. ჰატონი (ბრიტანეთი)-ჯ. ურანგო (კოლუმბია). ლას ვეგასი. აშშ.
**02:00** ავტოსპორტი. FIA WTCC. სეზონის წინ.
**02:30** რალი.
**03:00** პოკერი. ევროპის მასტერსი. ბარსელონა. ესპანეთი.
**04:00** ექსტრემალური სპორტი.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. სკიპროსი. მადონა დი კამპილიო. იტალია (LIVE).
**14:30** ექსტრემალური სპორტი.
**15:30** ახალი ამბები.
**16:00** ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. სკიპროსი. ფინალი. მადონა დი კამპილიო. იტალია (LIVE).
**17:15** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. კილი (გერმანია)-ვეესპრემი (უნგრეთი).
**18:00** არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-დალასი.
**19:00** ექსტრემალური სპორტი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:15** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**20:45** კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა)-სტრასბური (საფრანგეთი) (LIVE).
**22:45** კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჟელეზნიკი (სერბეთი)-ჰაპოელი (ისრაელი).
**00:00** კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. რეალი (ესპანეთი)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) (LIVE).
**02:00** არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-დალასი.
**03:00** ახალი ამბები.
**03:30** ექსტრემალური სპორტი.
**04:30** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| პრესტონი-საუთჰემპტონი | 3:1 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| მანტოვა-ტრიესტინა | 1:1 |

**სერია C1/B**

| | |
|---|---|
| ანკონა-ლანჩანო | 0:2 |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| კარლსრუე-კიოლნი | 2:1 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ტური-კაენი | 2:3 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ბოავიშტა-ბელენენსეში | 0:0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| მოზერველი-პარტიკი | 0:2 |

**ფინეთის ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ვიიკინგიტი-ლაჰტი | 1:1 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| დებრეცენი-კაპოშვარი | 1:0 |

**ჰოკეი**

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| მარტინი-ტრენჩინი | 2:3 |
| პოპრადი-სლოვანი | 3:5 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ლიბერეცი-ტრშინეცი | 1:1 |
| პარდუბიცე-ზნოიმო | 5:2 |



# აკაკიოსის ლანდის ლანდი

**ღია წერილი მამუკა ჩიხლაძეს, რუბრიკის კოორდინატორს**

ძვირფასო კოლეგა,

კარგად მოგეხსენება, რომ ეს ბოლო წლებია, მთლიანად ამოვარდნილი ვარ საგაზეთო რიტმიდან და ნაწილობრივ ამადაც დაგიგვიანე შეხმიანება.

დიახაც, დაგპირდით ბოლო გვერდზე თანამშრომლობას და პირობაზე უარის თქმას არ ვაპირებ. ერთი მხრივ, პატივად მივილე თქვენი ეს შემოთავაზება, მეორე მხრივ - მოვალეობად ჩავთვალე, თუმცა ვთვლი, რომ გაზეთს საკითხავი მასალა არა მარტო კვირაში ორჯერ და არა მარტო ბოლო გვერდზე სჭირდება.

მას მერე, რაც თანამშრომლობის პირობა მოგეცით და საბოლოგვერდო მასალისთვის თემის შერჩევა დავიწყე, „აკაკიოსის ლანდის" ლანდი ამესვეტა წინ და ვერაფრით მოვიშორე. შენი ეს წერილი, რომელიც 2004 წლის 17 მაისს გამოქვეყნდა „სპორტში", იქნებ შენც არ გახსოვდეს ისე, როგორც მე. გაზეთის გამოსვლის დღესვე გადავილე მისი ასლი, რამდენიმე ადგილი მარკერით მოვნიშნე, უნდა გამოვეხმაურო-მეთქი, - მივაწერე და მას მერე სამუშაო მაგიდაზე მიდევს სასწრაფოდ გასაკეთებელ სხვა საქმეებთან ერთად. არა და არ მოვიდა მისი რიგი! როცა შენი ეს წერილი გამოქვეყნდა, თქვენსავე გაზეთში დიდ საათენო პროექტს ვიყავი შეჭიდებული და წუთი მოცლა არ მქონდა; მერეც ვერ გამოვნახე საიმისო დროს, არადა, ვინ იცის, სხვა რამ ქაღალდების ძებნაში რამდენჯერ შემომეფეთა შენი თუ აკაკიოსის ლანდი ამ წელიწადნახევრის განმავლობაში, რამდენჯერ უშედეგოდ შემახსენა თავი, თუმცა ამასობაში იმ ერთ ფარატინა ფურცელს ნელ-ნელა მიემატა სხვა ფურცლებიც - თუ ჩანაწერი, თუ კომენტარი, თუ დოკუმენტი და „აკაკიოსის ლანდი" უკვე საქაღალდედ იქცა.

სერიოზულ შეპასუხებას ვაპირებდი შენ მიერ დასმულ მართლა სერიოზულ საკითხებზე. ქართველ სპორტსმენთა მასობრივ მიგრაციაში შენ ერთი მხრივ სპორტის ფუნქციონერებს ამუნათებ, მეორე მხრივ კი „დიდი ბერძენის" კახი კახიაშვილის მაგალითი მიგაჩნია ამ ბოროტების სათავედ. რაკი ამ პრობლების წარმოშობისთანავე არაერთი პუბლიკაცია მივუძღვენი მას, რაკი ჩემი ოლიმპიური რეპორტაჟები ატლანტიდან, სიდნეიდან თუ სოლტლეიკსიტიდან ამაზე ფიქრითაც იყო დაღდასმული, სპორტმიგრაციაზე მართლა ბევრი მქონდა სათქმელი.

ვერა და ვერ დავწერე გამოხმაურება, თორემ უეჭველად ვიტყოდი, რომ მოვლენა, რომელსაც შენ „აკაკიოსის ლანდი" უწოდე, მხოლოდ საქართველოს არ დასტყდომია თავს: ამგვარ ლანდს ვერ გაექცა ვერც ირ-ლანდია და ვერც ახალი ზე-ლანდია, ვერც ტაი-ლანდი და ვერც... რა, იოჰან მულეგის გაესპანელებაც სპორტის გერმანელი ფუნქციონერების უყურადღებობით და კახი კახიაშვილის მაგალითით იყო გამოწვეული?! თუ უნგრელებიც ქართველები არიან, როცა შესაძლებლობას არ უშვებენ ხელიდან, რომ ჯონ ვაისმიულერისა და მარკ სპიცის უნგრულ წარმოშობას არ გაუსვან ხაზი?!

ვერა და ვერ ჩავუჯექი გამოხმაურებას, რომელშიც მინდოდა მესაუბრა გამოგლობალურებულ მსოფლიოსოფელში სპორტსმენთა მიგრაციის უკვე გამოკვეთილ კანონზომიერებებზე, სადაც აკაკიოსის ლანდიც და სპორტის ქართველი ფუნქციონერიც ერთი კერძო შემთხვევაა და მეტი არაფერი.

არადა, რამდენჯერაც ეს „აკაკიოსის ლანდის" ლანდი გადმომიხტებოდა მაგიდაზე, იმდენჯერ ავენთებოდი საპასუხოდ. ან კი როგორ დავრჩებოდი გულგრილი შენი ასეთი კატეგორიული ტირადა-დამუნათების შემდეგ:

„მაგრამ, 1992 წელს, საქართველო უკვე დამოუკიდებელი გუნდით უნდა გამოსულიყო ბარსელონის ოლიმპიადაზე. ვერავითარი წესით ვერავის უარი ვერ უნდა ეთქვა ქვეყნისათვის, რომლის დამოუკიდებლობა მაშინ უკვე ოფიციალურად იყო აღიარებული მსოფლიო დიპლომატიის მიერ. მართალია, სოკ-ის მამები ფეხს ითრევდნენ - ამათთვის ყოველთვის ძალიან ძნელია ხოლმე ორიოდე ზედმეტი ლოგინის გამონახვა ოლიმპიურ სოფელში, ამიტომაც - მარტო რად გინდათ და მაინცდამაინც ესენგეს გაერთიანებულ გუნდთან ერთად დაწექითო. ესენგეს წევრიც არ ვიყავით მაშინ და შევარდნაძემ, საქართველოში ჩამოსვლისას თქვა კიდეც - ეგ რა პრობლემაა, შეიძლება მაგაზე სამარანჩთან მუშაობაო! მერე და მერე ეს ნათქვამი არავის გახსენებია და ჩვენი სპორტის მაშინდელმა ჩინოვნიკებმა გაერთიანებულ გუნდში შეგვლალეს - დიდ რუსეთში უფრო კარგად მოემზადებიან და ჩვენც ნაკლები თავის ტკივილი შეგვხვდებაო".

რა მიგრაცია, რის მიგრაცია! მთავარი თავის ტკივილი სწორედ აქ გამჩენოდა.

მართალია, როგორც ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, რამდენიმე თვის განმავლობაში სიმბოლურ ხელფასსაც კი ვიღებდი, მაგრამ ჩინოვნიკად თავი არასოდეს ჩამითვლია; იმის იმედიც მაქვს, რომ „სპორტის მაშინდელ ჩინოვნიკებში" მე არ გიგულისხმივარ, მაგრამ რაკი შენ მიერ კომენტირებული ამბების არათუ თვითმხილველი, არამედ უშუალო მონაწილე და შემოქმედიც კი ვიყავი, ვითარცა საქართველოს ოფიციალური დელეგაციის ხელმძღვანელი 1992 წლის 9 მარტს ლოზანაში გამართულ საეტაპო შეხვედრაზე, შენი ეს დამუნათება საკუთარ თავზეც მივილე და არც პასუხისმგებლობას გავურბივარ. მას შემდეგ სულ მინდოდა მეთქვა, რომ სინამდვილეში ყველაფერი რამდენადმე სხვაგვარად მოხდა!

ვერა და ვერ დავწერე გამოხმაურება, თორემ ვიტყოდი, რომ იმ დროისათვის, როცა ლოზანაში საქართველოს საკითხი წყდებოდა, „მსოფლიო დიპლომატიის მიერ ოფიციალურად აღიარებული" საქართველო ერთადერთი გახლდათ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გაეროს წევრი, რაც კარგადაც დაიხვია ხელზე სამარანჩმა.

ჩემს გამოხმაურებაში ვიტყოდი, რომ მას შემდეგ, რაც უკრაინის ეოკ-ის პრეზიდენტმა ვალერი ბორზოვმა, ქართველებთან წინასწარი შეთანხმების საპირისპიროდ, უკრაინაც გაერთიანებულ გუნდში შელალა, საქართველო ერთადერთიღა იყო ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათაგან, რომელიც ბარსელონაში დამოუკიდებლად გამოსვლას ითხოვდა!

ვაპირებდი შემეხსენებინა ისიც, რომ სამარანჩს დიპლომატია არავისგან ესწავლება და, კარგად იცოდა რა საქმის ვითარება, საკითხის განხილვისას „ესენგე" არც უხსენებია, თავიდანვე გაერთიანებულ გუნდს მიაწვა.

რა ვქნა, ვერ დავწერე, თორემ მინდოდა, დამეზუსტებინა, რომ სწორედ იმ დღეს, როცა შევარდნაძე მოსკოვიდან საქართველოში გამოემგზავრა, ჩვენ მოსკოვიდან ლოზანაში გავფრინდით და, როგორ დავუკარგავ, მან სამარანჩთან მუდარით აღსავსე არზა გაგვატანა. სწორედ ამ არზის შედეგი იყო, რომ საკითხის განხილვამდე ნახევარი საათით ადრე სამარანჩმა მთელი ჩვენი დელეგაცია ცალკე მიიღო თავის რეზიდენციაში; პოზიციის წინასწარ მოსინჯვის ასეთი შანსი კი ჩვენ გარდა მხოლოდ უკრაინის დელეგაციას მიეცა.

ვაპირებდი, ვრცლად მეამბნა შენთვის და მკითხველისთვისაც, თუ რა სერიოზული სამუშაო გასწია ჩვენმა დელეგაციამ, რომელშიც ჩემთან ერთად შედიოდნენ სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, სეოკ-ის საგარეო ურთიერთობათა კომისიის ხელმძღვანელი დავით კაკაბაძე და საქართველოს სპორტისა და ტურიზმის მინისტრი კახი ასათიანი.

ამასთან, მინდოდა შემეხსენებინა, რომ თუ ოლიმპიადის გახსნა-დახურვის აღლუმზე ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები საკუთარი დროშებით გამოვიდნენ, თუ ამ რესპუბლიკების წარმომადგენელთა გამარჯვებისას ბარსელონაში მათი დროშები აღიმართებოდა და მათი ჰიმნები ჟღერდა, თუ ოლიმპიურ ანალებში ჩემპიონთა და პრიზიორთა გვარების გასწვრივ გაერთიანებულ გუნდთან ერთად ქვეყანაც არის მითითებული, სწორედ ჩვენი დელეგაციის ძალისხმევის შედეგია.

ჩემს გამოხმაურებაში ვაპირებდი მეთქვა იმ მიზეზებზეც (ჩვენი დელეგაციის შემადგენლობიდან თუ დელეგაციის ხელმძღვანელის სტატუსიდან დაწყებული და საქართველოში იმხანად არსებული ვითარებით დამთავრებული), რამაც, არაერთი სერიოზული არგუმენტისა და პრინციპული პოზიციის მიუხედავად, შეუძლებელი გახადა ჩვენთვის სასურველი მთავარი შედეგის მიღწევა.

იმაზე კი ალბათ აღარ მოვყვებოდი ლაპარაკს, რომ 1991 წლის დეკემბერში საქართველოში დატრიალებული ამბების გამო ვერ შედგა ჩვენი დელეგაციის წინასწარი ვიზიტი ლოზანაში.

არც იმით შეგაწყენდი თავს, რომ ამავე მიზეზის გამო 11 დეკემბერს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან გამოგზავნილი წერილი მხოლოდ მომდევნო წლის 10 თებერვალს მივიღეთ, რის გამოც საქართველოს ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ წავიდა საფრანგეთს, სადაც ზამთრის თამაშები ჩატარდა და სადაც გაიმართა სოკ-ის სესია, რომელზეც ბევრი საბარსელონო საკითხი გაირკვა; ოლიმპიადა და სესია კი არა, ის პერიოდი შენც გახსოვს, საქართველოს მთლიანად მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს და საბჭოთა კავშირიც ისე შემოგვეფშვნა ხელში, იანვრის ბოლომდე ვერაფერი გავიგეთ წესიერად.

იმას კი უეჭველად ვიტყოდი, რომ პირობებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი გვიკარნახებდა ჩვენც და სხვასაც. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვეძლო, ხელები გაგვესავსავებინა, ფეხები დაგვებაკუნებინა და მტკიცე უარი გვეთქვა მათ პირობებზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, არავინ იცის, რამდენი ხნით გადაიდებოდა სეოკ-ის აღიარება და ქართველ სპორტსმენთა გაბერძნება, გარუსება თუ გათურქება შენ მაშინ გენახა!

არ დამავიწყდეს-მეთქი და, აუცილებელ სათქმელთა შორის ის ამბავიც ჩამინიშნია, რომ საბოლოო გადაწყვეტილება გაერთიანებულ გუნდში ქართველ სპორტსმენთა გამოსვლის თაობაზე სეოკ-ის 22 მარტის სესიამ მიიღო და არა ჩვენმა დელეგაციამ, ერთმა რომელიმე ჩინოვნიკმა ან ჩინოვნიკთა დასმა.

ამ ყველაფერზე დაწვრილებით მინდოდა მესაუბრა ჩემს გამოხმაურებაში, მაგრამ, აკი გითხარი, საამისოდ დრო ვერ გამოვნახე. სამწუხაროდ, ყველა საჭირო მასალასაც ვერა და ვერ მოვუყარე თავი.

სათქმელი კი თურმე ისე მაწვალებდა, რომ ამ საბოლოგვერდო საკითხავისთვის თემის ძებნაშიც პირველად, ესეც უკვე გითხარი, სწორედ შენი და აკაკიოსის ლანდები გამახსენდა. ამაზე მეტი ქმედითობა რაღა იქნება, შენსავე გვერდში შენსავე წერილზე გამოხმაურებას რომ დაგიწერენ! ჩემი ლოზანური გამოსვლის ტექსტსაც უეჭველად გამოვაქვეყნებ. ამას ჟურნალ „ოლიმპიელის" გაზაფხულის ნომერში ვიქმ.

მერე იმ შენს „აკაკიოსის ლანდს", მოსვენება რომ დამიკარგა, გრენ-ლანდიისა არ იყოს, საბოლოოდ გავიტან ჩემი მაგიდიდან და იმედი მაქვს, მეტად აღარც არასოდეს შემეფეთება სადმე, აღარც არასოდეს მომელანდება სიზმარსა თუ ცხადში და აღარც ფეხებში გამებ-ლანდება ოდესმე.

საუკეთესო საბოლოგვერდო სურვილებით,

**პაატა ნაცვლიშვილი**

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), ბივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს საარჩევანი

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი:
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
აბაშიძის 10ა, 0159 თბილისი (დიღომი, ახ. კონსტრუქცია, პოლიგრაფ საფონდო);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა